

178 /  
1991/3

ISSN 0868 4537



# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

1991' 11-12

IUS  
TRILISI GEORGIA

მთავარი რედაქტორი

თავმჯდომარე ნინია

სარედაქციო კოლეგია:

ანზი არსენაშვილი

(ბასუხისმგებელი მდივანი),

გელა ზარქანიშვილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე),

ოთარ გამრელიძე,

როლანდ ბილიბაშვილი,

ავთანდილ დემეტრაშვილი,

ტარიელ ჯამბახიძე.

მინდოე კეკელიძე,

მზია ლეკვიშვილი,

გურამ ლილუაშვილი,

ალექსანდრე ტალიაშვილი,


რუსუდან პიტაძა,

ბიბლიოპური რედაქტორი

გულნარა ბოსნიკაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვასტანო აბაშვილი, ლევან ალექსიძე, ვეტიხი ბენდელიანი, ანდრო გაბიანი, რომან  
გვინცაძე, ვივი ინჟიერაძე, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი  
ლორია, ვიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნებერიძე, ვასტანო რაჭველი, ჯურაბ  
რატინი, ვიორგი ტყეშელაძე, მინდოე უბრახელიძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ  
ფუტყაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი,  
ჯონი ხეცურიაძე, სერგო ჯორჯიანი.



# სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 11-12 1991

გამოდის 1926 წლიდან

წიგნბაერი-დამავაერი

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

თეორიის საკითხები

იროდიონ სურგულაძე — სახელმწიფო

2 +

თვალსაზრისი

ვახტანგ ვახტანგიშვილი — ოსები და საქართველო

14

პრაქტიკა

ავთანდილ კობახიძე — დანაშაულის იარაღის კონფისკაცია

23

ალექსანდრე კვაშილავა, ლევან კვაშილავა — სისხლის სამართლის  
პასუხისმგებლობა კონტრაბანდისათვის

31

დავით დავითაძე — პასუხისმგებლობა საბაჟო და სხვა საბუთების  
გამოყენებით ჩადენილი კონტრაბანდისათვის

38

შოთა კოჭმანაშვილი — სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური  
რეგლამენტაციის სრულყოფისათვის

41

სამართლებრივი აზროვნების ისტორიიდან

ლია ადვიშვილი — ეროვნული საკითხი ნიკო ურბნელის შემოქმედებაში

45

იურიდიული განათლების ახალი კონცეფციისათვის

გ. გრავერტი — იურიდიული განათლება გერმანიაში: სისტემა, პრობლემები,  
პერსპექტივები

52

დოკუმენტები

კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ

64 +

ინფორმაცია

გელა ბერძენიშვილი — გაფართოებული კოლეგიის სხდომა

76



ირდიონ სარაულაძე

# სახელმწიფო \*


## სახელმწიფოს შორევი

შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი რესპუბლიკის ტიპი უმთავრესად ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოშია გავრცელებული. ფრანგული ტიპი, პირიქით, უმთავრესად მიღებულია ევროპაში, როგორც მაგალითად, პორტუგალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში. გარდამავალ საფეხურს ამ ორ საწინააღმდეგო ტიპს შორის ის ფორმა წარმომადგენს, რომელიც გერმანიაში იქნა მიღებული უკანასკნელი რევოლუციის დროს. ამერიკის პრეზიდენტის მსგავსად გერმანიის პრეზიდენტიც უშუალოდ ხალხის მიერაა არჩეული და არა რეიხსტაგისაგან. მეორე მხრივ, ამერიკული მაგალითისაგან განსხვავებით სამინისტროს რეიხსტაგი ნიშნავს და ამიტომ იგი პასუხისმგებელია არა პრეზიდენტის, არამედ რეიხსტაგის წინაშე, ამ მხრივ გერმანიის პრეზიდენტის მდგომარეობა ფრანგულ ტიპს უფრო უახლოვდება.

ყოველივე იმის მიხედვით, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: წარმომადგენლობითი რესპუბლიკა ორ მთავარ ტიპს მოიცავს: ფრანგულს და ამერიკულს, თუმცა, მათ შორის არსებობს გარდამავალი საფეხურიც, ამ დაპირისპირების იურიდიული ბუნება მთავარი მომენტების მხრივ იმაში გამოიხატება, რომ ფრანგული ტიპის ფარგლებში მთავრობის პოლიტიკა პარლამენტის მიერ განისაზღვრება და ამიტომ, ასეთ ტიპს სამართლიანად აღნიშნავენ პარლამენტარული რესპუბლიკის ცნებით. პირიქით, ამერიკული ტიპის ფარგლებში მთავრობის პოლიტიკას თვით პრეზიდენტი განსაზღვრავს და ამიტომ, საპრეზიდენტო რესპუბლიკებს უწოდებენ სახელად.

**უშუალო რესპუბლიკა.** ზემოთ განვიხილეთ ის თავისებურებანი, რომლითაც ხასიათდება წარმომადგენლობითი რესპუბლიკა ე. ი. ისეთი რესპუბლიკა, რომელშიც ხალხის უფლება იმაში გამოიხატება, რომ ის თავის წარმომადგენლებს ირჩევს პარლამენტში. სახელმწიფო წყობილების ამგვარი ფორმისაგან განსხვავებით, უშუალო რესპუბლიკა იმით ხასიათდება, რომ აქ ხალხი არა მარტო წარმომადგენლებს ირჩევს, არამედ უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფოს ფუნქციებს, უშუალოდ ამტკიცებს კანონებს, ხშირად თვითონვე ჰქმნის კანონებს, თვითონვე ირჩევს და ცვლის სხვადასხვა თანამდებობის პირებს, წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს და სხვა. შორეულ წარსულში წყობილების ასეთი ფორმა საყოველთაოდ გავრცელებულ ხასიათს ატარებდა. კანონის ადგილი მაშინ ჩვეულებას ეჭირა, რომელიც თვით ხალხის ცხოვრების სიღრმეში იქმნებოდა და რომლისათვისაც ხალხს არ ესაჭიროებოდა წარმომადგენლები. გარდა ამისა, ხალხი საერთო კრებებზე თვით ჰქმნიდა მართლმსაჯულებას იმ პირ-

\* დასასრული; დასაწყისი იხ. 1991 წ. №№ 7-8; 9-10.



20096

ზე, რომელიც ხალხში გავრცელებულ ჩვეულებას არღვევდა; ამავე კრებულში ის იღებდა სხვადასხვა ზომებს მმართველობის დარგში, ირჩევდა მოხელეებს და საერთოდ წყვეტდა ყველა სახელმწიფოებრივი ხასიათის საკითხს. ასეთი იყო ის პოლიტიკური სტრუქტურა, რომლითაც ხასიათდება ძველი საბერძნეთის polis ან რომის civitas შემდეგ შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ იტალიის რესპუბლიკა, ქალაქები რუსეთში — ნოვგოროდი და ფსკოვი. მაგრამ პოლიტიკური ინტეგრაცია, დიდი სახელმწიფოების დაარსება მათი ფართო სამხედრო და ეკონომიკური ამოცანებით ხელს უწყობს უშუალო დემოკრატიული რეჟიმის თანდათანობით რღვევას და ამ წყობილების ნანგრევებზე თითქმის ყველგან ხალხის ბატონობის ნაცვლად აბსოლუტური რეჟიმი მყარდება. XIX საუკუნეში კაცობრიობის პოლიტიკურ განვითარებაში ახალი ერა იწყება. თითქმის მთელი ეს პერიოდი სავსეა იმ ბრძოლით, რომელიც მეფის აბსოლუტური ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და ამ ბრძოლის შედეგად ჩვენ თითქმის ყველგან ვხვდებით სახალხო წარმომადგენლობის შემოღებას, ამ ინსტიტუტის თანდათანობით გაძლიერებას. პარლამენტები თანდათან იკრფევენ თავის ხელში საჯარო ხელისუფლებას მთლიანად, თანდათან ფართოვდება მათი უფლებები და მათი შეზღუდული ბატონობა, ისინი თანდათან უახლოვდებიან იმ სისტემას, რომელშიც სახელმწიფოს ვადამწყვეტ ორგანოს პარლამენტი წარმოადგენს და რომელიც პარლამენტარიზმის ცნებით აღინიშნება. ასეთი სისტემა დამახასიათებელია სწორედ იმ პოლიტიკური წყობილებისათვის, რომელიც ჩვენ ზევით წარმომადგენლობითი რესპუბლიკის ცნებით აღვნიშნეთ. თუ საკითხს ისტორიული ევოლუციის თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ უკვე ამგვარი რეჟიმის ფარგლებში უშუალო დემოკრატიის მომენტები ნაწილობრივ პოულობენ თავის გამოხატულებას, სახელდობრ, ამ თვალსაზრისით ექვგარეშეა, რომ პარლამენტის პოლიტიკურ და უფლებრივ გაძლიერებასთან ერთად თვით ხალხის ხელისუფლებაც მეტ აქტუალობას პოულობს. პარლამენტარიზმის ბატონობის ქვეყნებში XIX საუკუნეში მკაფიო ჩამოყალიბებას პოულობს ის წესი, რომლის მიხედვით ხალხის ნება, რომელიც არჩევნებში პოულობს გამომჟღავნებას, უნდა ხელმძღვანელობდეს სახალხო წარმომადგენლობას მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაჭრის დროს. ამ აზრის ილუსტრაციას წარმოადგენს ის საკონსტიტუციო ჩვეულება, რომლის მიხედვით კაბინეტის და პარლამენტის ანტაგონიზმის დროს, კაბინეტს შეუძლია გაუშვას პარლამენტი, რომ ახალი არჩევნების საშუალებით გამოაშკარავდეს ხალხის შეხედულება სადაო საკითხების შესახებ. კიდევ უფრო მკაფიო და უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ხალხი ამ რეჟიმის ფარგლებში, როგორც პარლამენტის, ისე კაბინეტის მოქმედებაზე პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების პეტიციების, პრესის და უმთავრესად ე. წ. პლატფორმის საშუალებით. მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილ ზომას, რომლითაც ხალხი წარმომადგენლობითი რეჟიმის დროს სარგებლობს თავისი ნების რეალური განხორციელების მიზნით, მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათი აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუმცა, პარლამენტი ჩვეულებრივ უწევს ანგარიშს ამ სახით გამოთქმულ ხალხის ნებას, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით იგი არ არის ამის ვალდებული და პარლამენტი, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს პრესას, პლატფორმებს, პეტიციებს, ამით იგი არ გამოდის იმ უფლებრივი კომპეტენციის ფარგლებიდან, რომლითაც მისი მოქმედება განისაზღვრება. უშუალო დემოკრატია მხოლოდ იმ მომენტიდან იწყება, როდესაც ხალხის ნების ზეგავლენა არა მხოლოდ ფაქტობრივ ხასიათს

საქართველოს მ.რ.წ.

ატარებს, არამედ განსაზღვრულ უფლებრივ ფორმებში პოულობს გამტარებელ  
ლებას, როდესაც ხალხი თავად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას  
კონსტიტუციით ე. ი. სახელმწიფოს უფლებრივი წყობილებით მიჩნეულ ორგა-  
ნოს წარმოადგენს, რომელიც უშუალო და უფლებრივ მონაწილეობას იღებს ამ  
ხელისუფლების სხვადასხვა ფუნქციების რეალურ განხორციელებაში, რაც ყვე-  
ლაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას შვეიცარიაში პოულობს, აქ ოთხ კანტონ-  
ში შუა საუკუნეებიდან შემორჩენილია მმართველობის ისეთი ფორმა, რო-  
მელშიც თვით ხალხი უშუალოდ განახორციელებს სახელმწიფოს ფუნქციებს:  
ყოველწლიურად მაისის თვეში აქ ყველა სრულუფლებიანი მოქალაქე იკრიბება  
საერთო კრებაზე ე. წ. *landsgemeine*-ზე; წინადადების შეტანა ამ კრებაზე შე-  
უძლია ყველა აქ დამსწრეს. ამ კრებაზე ხალხი იღებს ან უარყოფს დასამტკი-  
ცებლად წარმოდგენილ კანონებს, ამტკიცებს ბიუჯეტს, უშუალოდ ირჩევს მთა-  
ვრობას და უმაღლეს სასამართლოს. საინტერესოა აქ პარლამენტის მდგომა-  
რეობა, ეს უკანასკნელი აქ მოკლებულია საკანონმდებლო ორგანოს მნიშვნე-  
ლობას, ვინაიდან მას შეუძლია მხოლოდ ისე, როგორც ყველა მოქალაქეს,  
რომელიც *landsgemeine*-ში იღებს მონაწილეობას შეიძულებს კანონის პრო-  
ექტი, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ იღებს ძალას, როდესაც იგი უკვე მიღე-  
ბულია სახალხო კრების მიერ.

აქედან ცხადია, რომ აქ ჩამოთვლილ კანტონებში ხალხის უშუალო ბატონობა,  
ხალხის მონაწილეობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში რადიკალურ ფორ-  
მებშია გატარებული. შვეიცარიის სხვა დანარჩენ კანტონებში, ისე როგორც  
თვით საკავშირო კონსტიტუციაში ხალხის უშუალო მონაწილეობა სახელმწი-  
ფოს ფუნქციების განხორციელებაში უფრო შეზღუდულ ფორმებს ატარებს:  
მაგრამ აქაც არსებობს რამდენიმე ინსტიტუტი, რომელთა საშუალებით უზრუნ-  
ველყოფილია ხალხის მონაწილეობა საკანონმდებლო ფუნქციის განხორციე-  
ლებაში. ასეთებია რეფერენდუმი და სახალხო ინიციატივა.

სიტყვა რეფერენდუმი იმ ტერმინიდან წარმოდგება, რომლითაც რამდენიმე  
საუკუნის უკან სარგებლობდნენ, როდესაც შვეიცარია დამოუკიდებელი სახელ-  
მწიფოების კავშირს წარმოადგენდა. ეს სახელმწიფოები თავის ელჩებს გზავ-  
ნიან საერთო სეიმზე, მაგრამ არა საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად,  
არამედ გადაწყვეტილების პროექტის მოსასმენად და ამ პროექტის მოსახსენებ-  
ლად მათ გამგზავნ სახელმწიფოსადმი. ამ ელჩების ასეთი მოქმედება აღი-  
ნიშნებოდა გამოთქმით *ad audientum et referendum*. თანამედროვე რეფერენ-  
დუმის იურიდიული ბუნება იმაში გამოიხატება, რომ ესა თუ ის კანონი თავის  
იურიდიულ ძალას მაშინ იღებს, თუ იგი დადასტურებულია საერთო და სახალხო  
ხმის მიცემით. არსებობს ორი სახე რეფერენდუმისა—სავალდებულო და ფაკულ-  
ტატური. სავალდებულო რეფერენდუმი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის ყო-  
ველი აქტი აუცილებლად უნდა გადაეცეს ხალხს დასამტკიცებლად და მხო-  
ლოდ ასეთი დამტკიცების შემდეგ ის იღებს იურიდიულ ძალას. საწინააღმდე-  
გოდ ამისა ფაკულტატური რეფერენდუმი არ მოითხოვს აუცილებლად პარლა-  
მენტის ყველა აქტის დამტკიცებას ხალხის მიერ, არამედ მხოლოდ იმ აქტების  
დამტკიცებას, რომლის სახალხო კენჭისყრაზე დასმას მოითხოვს მოსახლეობის  
განსაზღვრული რიცხვი (30.000).

მეორე ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის უშუალო მონა-  
წილეობას საკანონმდებლო ფუნქციის განხორციელებაში, საკანონმდებლო ინი-  
ციატივის ცნებით აღინიშნება. ეს ინსტიტუტი იმაში გამოიხატება, რომ მოქა-

ლაქეების განსაზღვრულ რიცხვს (50.000) შეუძლია მოითხოვოს კონსტიტუციის გადასინჯვა და თითონვე წარმოადგინოს კონსტიტუციის შეცვლის ან ცვლილების სინჯვის პროექტი.

ჩვენ ვისაუბრეთ იმ კლასიფიკაციაზე, რომელიც სახელმწიფო წყობილების სხვადასხვა ფორმებს ორ მთავარ ტიპად ყოფს; სახელდობრ, მონარქიებად და რესპუბლიკებად. თუ უფრო ღრმად დაუკვირდებით ამ კლასიფიკაციას, დავინახავთ, რომ ამ კლასიფიკაციის გამოსავალ წერტილს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ცნება წარმოადგენს. მონარქიული რეჟიმი ამ თვალსაზრისით იმით ხასიათდება, რომ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს ერთი ფიზიკური ინდივიდი წარმოადგენს, ხოლო რესპუბლიკაში პირიქით, სახელმწიფოს სუვერენული ორგანოს ხასიათს ხალხი ან მის მიერ არჩეული კოლექტიური ე. ი. მრავალი ინდივიდებისაგან შემდგარი წარმომადგენლობა ატარებს. მაგრამ მართო ამ კლასიფიკაციით არ იწურება ის თვისებები, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ფორმებისათვის, მათ ასხვავებენ ერთმანეთისაგან. მართალია, კლასიფიკაცია, რომელიც განვიხილეთ სახელმწიფოს ყველაზე დამახასიათებელი მომენტიდან, სახელდობრ, ხელისუფლების მომენტიდან, გამოდიოდა იმ აზრით, რომ ხელისუფლების სტრუქტურას სახელმწიფოს მთავარ ორგანოებში იღებდა მხედველობაში კლასიფიკაციის საფუძვლის სახით. მაგრამ თვით ხელისუფლების ცნება შემეცნების ისეთ უმარტივეს ობიექტს როდი წარმოადგენს, რომლის შინაარსში შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა მომენტების აღმოჩენა.

პირიქით, ხელისუფლების არსებობა, მისი განხორციელების ფორმები მრავალმხრივობით ხასიათდება და ამ მხრივ სახელმწიფოს იგი ახასიათებს არა მარტო ერთი, არამედ სხვადასხვა მხრივ. ამიტომ ჩვენ ახლა უნდა შევჩერდეთ იმ მომენტზე, რომელიც ერთი მხრივ, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ფორმებს ასხვავებს ერთმანეთისაგან, მაგრამ, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სტრუქტურას ახასიათებს არა მისი მთავარი ორგანოს მხრივ, არამედ სახელმწიფოს ხელისუფლების დანაწილების მხრივ სახელმწიფოს შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებს შორის, ანუ ამ ტერიტორიული ერთეულების შედარებითი დამოუკიდებლობის მხრივ.

თუ განსაკუთრებით თანამედროვე სახელმწიფოებს დაუკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველგან აქ სახელმწიფოს ხელისუფლება მარტო ცენტრალური ორგანოების ხელში კი არ არის მოქცეული, არამედ ამ ხელისუფლების ნაწილობრივი განხორციელება სახელმწიფოს ტერიტორიულ ელემენტებსაც ეკუთვნის. ასე, რომ ეს უკანასკნელნი ნაწილობრივ საჯარო ხელისუფლების სუბიექტის როლში გამოდიან. სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულების ეს თანამონაწილეობა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში სხვადასხვა შემთხვევაში ერთგვარ ხასიათს, ერთგვარ ხარისხს როდი ატარებს, და სწორედ ამ საფუძველზე ხდება სახელმწიფოს ფორმების კლასიფიკაცია. ამ თვალსაზრისით ორი მთავარი ფორმა შეგვიძლია განვასხვაოთ ერთმანეთისაგან, სახელდობრ, ერთის მხრივ არსებობს ე. წ. უნიტარული სახელმწიფო, რომელიც ერთ მთლიან პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, თუმცა ამით სრულებით არ არის უარყოფილი მისი შემადგენელი ტერიტორიული ერთეულების ნაწილობრივი შედარებითი დამოუკიდებლობა; მეორე მხრივ, არსებობს ე. წ. შეერთებული სახელმწიფოები (Staatenverbindungen), რომელნიც უმთავრესად იმით ხასიათდებიან, რომ მისი შემადგენელი ნაწილებით თავისთავად სახელმწიფოს წარ-

მოადგენენ. თითოეული ამ ფორმათაგანი თავის ფარგლებში სხვადასხვა სახეებს შეიცავს და ამიტომ აუცილებელია ყველა მათგანზე ცალკე შევჩერდეთ.

**უნიტარული სახელმწიფო.** როგორც აღვნიშნეთ, უნიტარული სახელმწიფო იმით ხასიათდება, რომ იგი ერთ მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენს, მაგრამ ეს კიდევ არ გულისხმობს, რომ საჯარო ხელისუფლების ყველა ფუნქცია ამგვარ სახელმწიფოში მხოლოდ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების ხელშია მოქცეული. პირიქით, პოლიტიკური ცხოვრების გართულებასთან ერთად ცენტრალური ხელისუფლება მოკლებულია საშუალებას სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ფარგლებზე თვითონვე გასწიოს ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალმხრივი ამოცანების განსახორციელებლად, ამიტომ იგი ძალაუზნებურად, თვით პოლიტიკური ცხოვრების რეალური მოთხოვნილების ზეგავლენით, იძულებულია ადგილობრივი ცხოვრების ინტერესების დაკმაყოფილება თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ არჩეულ ორგანოებს მიანდოს, ადგილი გასაგებია, ამ ორგანოებმა რომ შესძლონ თავიანთი მოვალეობის შესრულება, მათ უნდა უზრუნველყოფილ ექნათ ნაწილობრივი დამოუკიდებლობა, თავისუფალი ინიციატივის და თვითშემოქმედების საშუალება ადგილობრივი ცხოვრების კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებით ეს დამოუკიდებლობა სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვა ხარისხს ატარებს და სწორედ ეს მომენტი უნდა იქნეს გამოყენებული უნიტარული სახელმწიფოების სხვადასხვა სახეების დახასიათებისას. პირველ საფეხურს, ამ მხრივ ე. წ. თვითმმართველობა წარმოადგენს; ამ უკანასკნელის დამახასიათებელი მომენტი იმაში გამოიხატება, რომ ადგილობრივი საქმეების ხელმძღვანელობა სასამართლოსა და მმართველობის დარგში თვით ადგილობრივ პირებს აქვს მინდობილი, რომლებიც ერთგვარი დამოუკიდებლობით სარგებლობენ და, ამასთან ერთად, პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, ეს პირები ჩვეულებრივ თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ აირჩევიან, ხანდახან კი ისინი ცენტრალური მთავრობის მიერ ინიშნება ადგილობრივი მცხოვრებლებთან, როგორც, მაგალითად მომრიგებელი მოსამართლეები ინგლისში, როგორც უკვე აღნიშნული იყო თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია უმთავრესად მმართველობის დარგის საქმეებზე ვრცელდება. ასეთია მაგალითად, ადგილობრივი გზების გაყვანა და მათზე მზრუნველობა, სახალხო განათლების, სანიტარული და საექიმო დახმარების, დაზღვევის და სხვა დარგები. ნაწილობრივ ეს კომპეტენცია სასამართლოს დარგზეც ვრცელდება იმდენად, რამდენადაც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში ხანდახან შეტანილია მოსამართლეების პრივილეგიები.

დეცენტრალიზაციის მეორე საფეხური, რომელშიც ადგილობრივი ორგანოების კომპეტენცია უფრო ფართო ხასიათს ატარებს, ავტონომიის ცნებით აღინიშნება. სიტყვა ავტონომია ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს თვითკანონმდებლობას, როგორც თვით ტერმინიდან ჩანს, ამგვარი თვითმმართველობა იმით ხასიათდება, რომ ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში შედის არა მარტო საქმიანობა მმართველობის და ნაწილობრივ სასამართლოს დარგში, არამედ ეს ორგანოები ადგილობრივი ხასიათის კანონების გამოცემის უფლებითაც არიან აღჭურვილი.

ასეთ ხასიათს ატარებენ მაგალითად ის ავტონომიური ოლქები და პროვინციები, რომელთაც ვხვდებით ავსტრიაში 1918 წლამდე. ამ ადგილობრივ ავტონომიურ ერთეულებში ძირითად როლს ასრულებენ საკანონმდებლო ორგა-



ნოები ე. წ. ლანდტაგები, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ კანონების გამოცემის უფლებით ადგილობრივი მმართველობის განსაზღვრულ დარგში, ამასთან ერთად ცენტრალური მთავრობა აქ მოკლებული იყო უფლებას ადგილობრივი ცხოვრების საკითხებში ჩარეულიყო. ასეთსავე იურიდიულ მდგომარეობაში იმყოფება ინგლისის ზოგიერთი კოლონია, მაგალითად ნიუ-ფაუნდლენდი.

ფართო დამოუკიდებლობის მიუხედავად ავტონომიური ერთეული კიდევ არ წარმოადგენს სახელმწიფოს, ვინაიდან ყველა უფლება, რომელიც მას ახასიათებს, ცენტრალური ხელისუფლებისაგანა დათმობილი ან დავალებული. ამით ავტონომიური ოლქი არსებითად განსხვავდება იმ სახელმწიფოებრივი ერთეულისაგან, რომელიც ფედერალურ სახელმწიფოში შედის, როგორც ფედერაციის ერთ-ერთი წევრი. ამ წევრი-სახელმწიფოების იურიდიული დახასიათების მიზნით აუცილებელია ჯერ შევჩერდეთ იმ მომენტებზე, რომლებითაც ე. წ. ფედერაციული სახელმწიფო ხასიათდება.

**ფედერაცია არასუვერენული სახელმწიფოების შეერთებას ეწოდება.** ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უნიტარულ სახელმწიფოში შემავალი, თვითმმართველობის ან ავტონომიის უფლებებით აღჭურვილი ტერიტორიული ერთეულები სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს და არა პოლიტიკურად დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენენ. ამიტომ, უნიტარული სახელმწიფო ყოველთვის ერთი სახელმწიფოა, ფედერაცია კი, პირიქით, სწორედ იმით ხასიათდება, რომ მასში შემავალი ნაწილები თავისთავად უკვე სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ფედერაციული შეერთების განხორციელებისათვის ამიტომ აუცილებელია იმ თავისებური იურიდიული მდგომარეობის დახასიათება, რომელშიც ფედერაციის შემავალი სახელმწიფოები იმყოფებიან. ხოლო ასეთი დახასიათება, პირველყოვლისა, იმ მომენტების აღნიშვნას გულისხმობს, რომლითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფედერაციული სახელმწიფოს წევრი და უნიტარული სახელმწიფოს ავტონომიური ოლქი. განვიხილოთ ეს მომენტები.

გადამწყვეტი და ძირითადი თვისება, რითაც ხასიათდება ყოველი სახელმწიფო, სუვერენული თუ არასუვერენული, იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ყოველთვის აღჭურვილია თვითორგანიზაციის უფლებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი თავის საკუთარ სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას თვითონვე განსაზღვრავს საკუთარი დამფუძნებელი ხელისუფლების საშუალებით. ეს უკანასკნელი — ხელისუფლება — ამიტომ აუცილებლად იგულისხმება თუნდ არასუვერენულ სახელმწიფოს ცნებაშიც. იგი იგულისხმება აგრეთვე იმ სახელმწიფოების ცნებაში, რომლებიც ფედერაციულ კავშირში შედიან. მართალია, ზოგიერთ ფედერაციებში შემადგენელი სახელმწიფოების დამფუძნებელი ხელისუფლება ნაწილობრივ შეზღუდვას განიცდის ისე, რომ დამფუძნებელი კანონმდებლის სრული თავისუფლება უარყოფილია. ამის მაგალითს შვეიცარიის ფედერაციული კონსტიტუცია წარმოადგენს. უკანასკნელი თავის ერთ-ერთ მოთხოვნაში იმ აზრს გამოხატავს, რომ ყოფილი კანტონების მმართველობის ფორმა აუცილებლად რესპუბლიკურ ხასიათს უნდა ატარებდეს და რომ ყოველი კონსტიტუცია შეიძლება მიღებულ იქნეს საყოველთაო კენჭისყრის — რეფერენდუმის საშუალებით. ასეთსავე მოთხოვნებს ვხვდებით 1919 წლის 11 აგვისტოს გერმანიის კონსტიტუციაში, სადაც ნათქვამია, რომ გერმანიის თითოეულ შემადგენელ ნაწილს შეუძლია იქონიოს მხოლოდ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც თავისუფალ სახელმწიფოს შეეფერება, რომ სახალხო წარმომადგენლობა ოთხ ფორმულიანი არჩევნების სისტემით უნდა იქნეს არჩეული, რომ მთავრობა აუ-

ცილებლად უნდა ეყრდნობოდეს სახალხო წარმომადგენლობის ნდობას და სხვა. მაგრამ მიუხედავად შემადგენელი სახელმწიფოს დამფუძნებელი ხელისუფლების ასეთი შემოფარგვლისა, ეს დამფუძნებელი ხელისუფლება საცესებით არ ისპობა და თუმცა შეზღუდული ფორმით, განსაზღვრული საერთო მოთხოვნების ფარგლებში, მაინც განაგრძობს არსებობას. სწორედ ამ ხელისუფლებიდან გამოდის ფედერალური წყობილების ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვით თვითეული შემადგენელი სახელმწიფოს კონსტიტუცია შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ამავე სახელმწიფოს ნებით და ცენტრალური მთავრობისაგან დამოუკიდებლად.

დამფუძნებელი ხელისუფლების ცნებიდან, რომელიც ფედერაციის შემადგენელი სახელმწიფოების ძირითადი ნიშანია, თავისთავად გამოდის მთელი წყება მომენტებისა, რითაც ეს სახელმწიფოები არსებითად განსხვავდებიან უნიტარული სახელმწიფოების ავტონომიური ოლქებისაგან, ავტონომიური ოლქის ორგანიზაცია უპირველესად, როგორც თავისი წარმოშობით, ისე შემდეგ არსებობაში და მოქმედებაში, არსებითად დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე, საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის ინარჩუნებს ადგილობრივ ხელისუფლებაზე უმაღლესი კონტროლის უფლებას, რაც ჩვეულებრივ გამოიხატება ადგილობრივი კანონების დამტკიცებაში, უმაღლესი მოხელეების დამტკიცებაში, სასამართლო განაჩენების საბოლოო დადასტურებაში და სხვა. ყოველივე ეს წარმოუდგენელია ფედერაციული კავშირის შემადგენელ სახელმწიფოში, რომელიც თავის უფლებებს ცენტრალური ხელისუფლებისაგან სრულებით დამოუკიდებლად და უკონტროლოდ ახორციელებს. საკუთარი ხელისუფლების განხორციელებაში იგი თავისუფალია ყოველგვარი საკანონმდებლო დირექტივებისაგან, ყოველგვარი კონტროლისა და იძულების უფლებისაგან (Hanel, Deutsches Staatsrecht, Leip. 1892. 1. § 801).

მეორე მომენტი, რომლითაც ავტონომიური ოლქი განსხვავდება ფედერაციის შემადგენელი სახელმწიფოსაგან, იმაში გამოიხატება, რომ უმრავლეს შემთხვევაში ავტონომიური ერთეული არავითარ მონაწილეობას არ იღებს ცენტრალური ხელისუფლების შექმნაში და ორგანიზაციაში, ასე მაგალითად, ბრიტანეთის კანადა არავითარ მონაწილეობას არ იღებს ინგლისის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციაში და მოქმედებაში, იმ დროს, როცა თვით კანადის კონსტიტუცია შესაძლოა შეიცვალოს ინგლისის ნებით. ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოები კი პირიქით, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმები, აუცილებლად თანამონაწილეობენ კავშირის უმაღლესი ორგანოების შექმნაში. ასე მაგალითად, შეერთებული შტატების თითოეული შტატი ან შვეიცარიის თითოეული კანტონი ჰგავნის ორ-ორ წარმომადგენელს ცენტრალური მთავრობის საკანონმდებლო ორგანოს მეორე პალატაში (სენატი ამერიკაში და კანტონალური საბჭო შვეიცარიაში). ამგვარად, ავტონომიური ოლქისაგან განსხვავებით ფედერაციაში შემავალ სახელმწიფოს ახასიათებს: დამფუძნებელი ხელისუფლება, მისი აქტების საბოლოო ხასიათი, რომლებიც საჭიროებენ დამტკიცებას უმაღლესი ხელისუფლებისაგან და თანამონაწილეობა საკავშირო ორგანოების საქმიანობაში.

ფედერაციული სახელმწიფოსაგან არსებითად განსხვავდება ე. წ. კონფედერაცია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ, თუმცა, ფედერაციული კავშირი რამდენიმე სახელმწიფოსაგან შედგება, ეს უკანასკნელი მაინც მრავალ სახელმწიფოსაგან შემდგარ სახელმწიფოს წარმოადგენს, კონფედერაცია, პირიქით,

ერთ სახელმწიფოს კი არ ეწოდება სახელად, არამედ სახელმწიფოთა ისეთ მუდმივ და ყოველმხრივ კავშირს, რომელშიც საერთო ხასიათის დაწესებულებების არსებობის მიუხედავად თითოეული შემავალი სახელმწიფო ინარჩუნებს მთლიან დამოუკიდებლობას, მთლიან სუვერენიტეტს. ასეთ ხასიათს ატარებდა შვეიცარია 1815 წლიდან 1848 წლამდე; გერმანია 1815 წლიდან 1866 წლამდე, შვერთებული შტატები 1776 წლიდან 1787 წლამდე და სხვა. ამგვარად ფედერაციის კონფედერაციისაგან არსებითად განმასხვავებელ თვისებას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მისი შემადგენელი სახელმწიფოები მოკლებულნი არიან სუვერენულ ხასიათს. აქედან თავისთავად გამომდინარეობს მთელი რიგი შემდეგი განსხვავებები. უპირველეს ყოვლისა, აქ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ფედერაციაში ცენტრალური, საკავშირო მთავრობა უშუალოდ ახორციელებს თავის ხელისუფლებას ყოველ მოქალაქეზე, ფედერაციის რომელ სახელმწიფოსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი; იმ შემთხვევაში კი, როდესაც საკავშირო და ადგილობრივი ხასიათის განკარგულებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან მოქალაქე ვალდებულია საკავშირო ხელისუფლების განკარგულებას დაემორჩილოს, ვინაიდან სუვერენულ ხასიათს მხოლოდ ის ატარებს. სხვაგვარი მდგომარეობაა დამახასიათებელი კონფედერაციისათვის; ეს უკანასკნელი თავის ხელისუფლებას ახორციელებს მხოლოდ იმ ორგანოების საშუალებით, რომლებიც კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოებს ეკუთვნიან, ვინაიდან სუვერენიტეტის მატარებელი მხოლოდ ეს სახელმწიფოებია და არა მათი შეერთებით შექმნილი კონფედერაცია. ამიტომ მოქალაქისათვის კონფედერაციული ორგანოების განკარგულება მხოლოდ იმდენადაა სავალდებულო, რამდენადაც ამ განკარგულების სავალდებულო ხასიათი დადასტურებულია ნაციონალური მთავრობის განკარგულებით.

მეორე განმასხვავებელი მომენტი ფედერაციასა და კონფედერაციას შორის ისაა, რომ ფედერაციულ სახელმწიფოში, იმისათვის, რათა საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლების ამა თუ იმ აქტმა კანონიერი იურიდიული ძალა მოიპოვოს, სავალდებულო არ არის ფედერაციაში შემავალ თითოეულ სახელმწიფოს თანხმობა, საკმარისია ის, რომ ამ სახელმწიფოების წარმომადგენლები შედიან იმ ორგანოებში, რომლებიც ხელისუფლების აქტებს ახორციელებენ, ფედერაციული სახელმწიფოს სახელით. კონფედერაციაში მდგომარეობა სხვაგვარია: თითოეული სახელმწიფო, რომელიც კონფედერაციაში შედის, არ ჰკარგავს თავის სუვერენულ ხასიათს და სწორედ ამიტომ, შეუძლებელია, რომ იგი როგორც სუვერენული ხასიათის მატარებელი, უფლებრივად დაემორჩილოს ისეთ აქტებს, რომლებზედაც მას თანხმობა არ განუცხადებია. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ კონფედერაციაში იურიდიულ ძალას მხოლოდ კონფედერაციის შემადგენელი სახელმწიფოების კანონები იძენენ, ვინაიდან ეს უკანასკნელი სუვერენული ნებისაგან გამომდინარეობენ. ფედერაციაში კი ასეთ ხასიათს, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ხელისუფლების აქტები ატარებენ. ამიტომ ფედერაციის შემადგენელ სახელმწიფოს არ შეუძლია უარი განაცხადოს ცენტრალური მთავრობის მიერ გამოცემულ კანონების ცნობაზე, კონფედერაციაში კი თითოეულ შემადგენელ სახელმწიფოს შეუძლია უარი განაცხადოს იმ აქტების ცნობაზე, რომლებიც კონფედერაციის ორგანოების მიერაა გამოცემული. ასეთ უფლებას ნულიფიკაცია ეწოდება სახელად.

ფედერალური სახელმწიფოსათვის აგრეთვე დამახასიათებელია ის ნიშან-თვისება, რომ იგი წარმოადგენს მისი შემადგენელი სახელმწიფოების ნებით, გა-

ნუყოფელ კავშირს, ვინაიდან ყველა მისი წევრი კავშირში შედის და უკვე ამით საბოლოოდ უარს აცხადებს თავის სუვერენულ უფლებებზე. სუვერენის ხასიათს აქ თვით საკავშირო ხელისუფლება იღებს. კონფედერაციაში კი პირიქით, სახელმწიფოები არ ჰკარგავენ საკუთარ სუვერენიტეტს; კონფედერაცია აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელშეკრულებას წარმოადგენს და სწორედ ამიტომ, კონფედერაციიდან გამოსვლა უკიდურეს შემთხვევაში ხელშეკრულების დარღვევაა და სხვა არაფერი. აქედან ცხადია, რომ კონფედერაციაში შემაჯავალ სახელმწიფოს უფლება აქვს არა მარტო იმისა, რომ უარი განაცხადოს კონფედერაციის ორგანოების აქტების ცნობაზე (ნულიფიკაციის უფლება) არამედ მას უფლება აქვს სრულებით გამოვიდეს კონფედერაციიდან. ეს უფლება სეცესიის ცნებით აღინიშნება.

ბოლოს ფედერაციის და კონფედერაციის განსხვავებისას უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ფედერაციულ სახელმწიფოს, როგორც ყოველ სახელმწიფოს, უნდა გააჩნდეს ყველა ის ორგანო, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს არსებობის და მოქმედებისათვის; როგორცაა მაგალითად, საფინანსო, სამხედრო, სასამართლო, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სხვა. კონფედერაციაში, რომელიც უფრო სახელმწიფოთა კავშირია ვინემ ერთი სახელმწიფო, სრულებით არ არსებობს ნორმალური სახელმწიფოსათვის ყველა ჩამოთვლილი ორგანოების არსებობის საჭიროება, ვინაიდან ყველა ეს ორგანო უკვე არსებობს კონფედერაციის შემდგენელ თითოეულ სახელმწიფოში, მხოლოდ სპეციალური ხასიათის ფუნქციები გამოიყოფიან აქ ცალკე სახელმწიფოების კომპეტენციისაგან და გადაეცემათ კონფედერაციის შესაბამის ორგანოებში.

აი, ყველა ის მთავარი მომენტი, რომლითაც სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმა ხასიათდება. ჩვენ დავინახეთ, რომ საჭირო ხელისუფლების ყველაზე დიდ კონცენტრაციას ერთ ცენტრში ე. წ. უნიტარული სახელმწიფო შეადგენს, მაგრამ ამ ტიპის ფარგლებშიც ვხვდებით ხელისუფლების ერთგვარ დეცენტრალიზაციას თვითმმართველობისა და ავტონომიის სახით. უფრო ფართო მასშტაბით, თუმცა იურიდიულ ფორმებში და იურიდიულ საფუძველზე გატარებული ეს პრინციპი ფედერალურ სახელმწიფოებში, სადაც დეცენტრალიზაციის პუნქტები უკვე არასუვერენული სახელმწიფოებია. მაგრამ ისინი მაინც გაერთიანებულნი არიან ერთ მთლიან პოლიტიკურ სახელმწიფო ორგანიზაციაში. შემდეგი საფეხური — ე. წ. კონფედერაციული სახელმწიფო — უკვე სხვაგვარ პრინციპზეა აგებული. სახელმწიფოებრივი მთლიანობა აქ უკვე ძალზე შესუსტებულია იმ დამოუკიდებლობით, რომლითაც კონფედერაციის წევრებია აღჭურვილი. ამიტომ ეს ფორმა უკვე აღარ თავსდება კლასიფიკაციის იმ პრინციპის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფოს ხელისუფლების დანაწილებიდან გამომდის და თუ მაინც შევჩერდით მასზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მკაფიო სახე მიგვეცა ფედერაციის დახასიათებისათვის, არა სახელმწიფოს ხელისუფლების დანაწილებაა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოების შეერთების პრინციპია ის პრინციპი, რომლის ფარგლებში კონფედერაცია, როგორც ასეთი შეერთების ერთ-ერთი ფორმა, პოულობს თავის დახასიათებას, მაგრამ ამით უკვე სხვა პრინციპი იგულისხმება კლასიფიკაციისათვის, სახელდობრ, სახელმწიფოების შეერთება.

სწორედ ამიტომ შესაფერისი კლასიფიკაცია სახელმწიფოთა შეერთების

ცნებიდან უნდა გამოვიდეს თავისი კონსტრუქციის დროს. ამ კლასიფიკაციაზე ჩვენ შევჩერდებით ახლა.

ფედერაციული სახელმწიფოს დახასიათების დროს აღვნიშნეთ, რომ ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოები მოკლებული არიან სუვერენულ ხასიათს. კონფედერაციული კავშირი კი პირიქით, იმით ხასიათდება, რომ აქ თითოეული სახელმწიფო, რომელიც კავშირში შედის, არა ჰკავრავს თავის სუვერენულ ხასიათს. მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ სუვერენიტეტი აქ რაიმე შეზღუდვას არ განიცდის?! ცხადია, არა! და რომ ამ დებულების ჰუმბარიტება ნათელ ეყოთ, საჭიროა შევჩერდეთ შემდეგ მომენტზე. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოების შეერთება, ხშირად მუდმივი ხასიათისაა ე. წ. ალიანსები გვხვდება საერთაშორისო სამართლის დარგშიც და რომ არ არსებობდეს რაიმე იურიდიული მომენტი, რომლითაც ეს ალიანსები ანუ საერთაშორისო ადმინისტრაციული კავშირები განსხვავდებოდნენ კონფედერაციული შეკავშირებისაგან, მაშინ ეს უკანასკნელი იქცეოდა არა სახელმწიფო სამართლის, არამედ საერთაშორისო სამართლის მეცნიერების საგნად. თუ ეს ასე არ არის, ეს ნიშნავს, რომ კონფედერაციული კავშირი თავისებური სპეციფიური მომენტებით ხასიათდება, რომლებსაც ადგილი არა აქვს სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებში. ასეთ მომენტს ამ შემთხვევაშიც სუვერენიტეტის ცნება წარმოადგენს. ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება არა შინაგანი სუვერენიტეტი ანუ დამოუკიდებლობა თითოეული სახელმწიფოსი თავისი შინაგანი საქმეების მოწყობაში, არამედ საგარეო სუვერენიტეტი, რაც განხორციელებას სხვადასხვა სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულებაში პოულობს. თუ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, დავინახავთ, რომ აქ ორ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე; სახელდობრ, ერთის მხრივ, სხვადასხვა ხასიათის კავშირები, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის გვხვდება, არავითარ ზეგავლენას არ ახდენენ ამ სახელმწიფოების სუვერენული უფლებების სფეროზე, მეორე მხრივ, ისეთ კავშირებსაც ვხვდებით, რომლებიც ნაწილობრივ ზღუდავენ სახელმწიფოს სუვერენულ ხელისუფლებას, სახელდობრ, საგარეო საქმიანობის დარგში. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საერთაშორისო ხასიათის მოვლენებთან, მეორე შემთხვევაში კი ეს მოვლენები სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დარგს ეკუთვნიან. ე. ი. იმ თვალსაზრისით თუ ესა თუ ის სახელმწიფო რამდენადაა შეკავშირებული უფლებრივად სხვა სახელმწიფოებთან, ან უკეთ რომ ვთქვათ, იგი მთლიანად რაოდენ ახორციელებს თავის სუვერენიტეტს, შეგვიძლია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ სახელმწიფოთა შეკავშირების შემდეგი ძირითადი სახეები: უნია, კონფედერაცია, მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები და ვასალური სახელმწიფოები. შევჩერდეთ თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე:


**უნია** სახელმწიფოთა ისეთ შეკავშირებას ეწოდება, რომელში შემავალ სახელმწიფოებს საერთო მონარქი ჰყავთ, სხვა მხრივ კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. ამიტომ ამ სახელმწიფოების სუვერენიტეტი არ ისპობა ასეთი შეერთებით. ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ უნიის დარღვევასთან ერთად თითოეული სახელმწიფოთაგანი, რომელიც უნიაში შედიოდა ავტომატურად იღებს თავისი განუსაზღვრელი სუვერენიტეტის მთლიანობას, ვინაიდან უკვე მოისპო ის ხელშეკრულება, რომლითაც ეს სახელმწიფოები უნიაში ყოფნის დროს თვითონვე იზღუდავდნენ თავისთავს. განასხვავებენ უნიის ორ სახეს: არსებობს, ერთი მხრივ, პერსონალური უნია და მეორე მხრივ, რეალური უნია. პერ-

სონალური უნია ისეთ შეერთებას ეწოდება, რომელშიც უნიაში შემავალი სა-  
ხელმწიფოებისათვის მონარქის ერთ და იგივეობას შერთხვევითი ხასიათი ექნება.

ამიტომ, იურიდიული თვალსაზრისით, ასეთ სახელმწიფოებს არ აკავშირებთ  
ერთმანეთთან არაფართო საერთო ინტერესი, სახელმწიფოთა უმაღლესი ორგანოს  
communio incidens არსებითად შემთხვევით ხასიათს ატარებს. ჩვეულებრივ  
პერსონალური უნია წარმოიშობა ტახტის მემკვიდრეობითი წესების სხვადასხვა-  
ობის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა დამოუკიდებელი  
უფლებები ტახტზე ერთმეორეს ხვდებიან. ასეთ ხასიათს ატარებდა მაგალი-  
თად, პერსონალური უნია ბრიტანეთს და ჰანოვერს შორის 1837 წელს, ნიდერ-  
ლანდებსა და ლუქსემბურგს შორის 1893 წელს. უნია ამ შემთხვევებში შესაძ-  
ლებელი გახდა სწორედ იმიტომ, რომ ბრიტანეთში და ნიდერლანდებში ტახ-  
ტის მემკვიდრეობის უფლება კოგნატიური სისტემით იყო გათვალისწინებუ-  
ლი, ხოლო ჰანოვერში და ლუქსემბურგში აგნატიური სისტემით.

პერსონალური უნიისაგან განსხვავებით რეალური უნია უმთავრესად იმით  
ხასიათდება, რომ აქ სხვადასხვა უნიაში შემავალი სახელმწიფოებისათვის მო-  
ნარქის იგივეობა შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებს, არამედ იურიდიულად  
აუცილებელ ფაქტს წარმოადგენს და ამ მხრივ იგი განსაზღვრულ უფლებრივ  
საფუძველს ეყრდნობა. ამ თვალსაზრისით რეალური უნია ერთისა და რამდენ-  
იმე სახელმწიფოს ისეთ შეთანხმებას ეწოდება, რომლის ძალითაც მათ ერთი  
საერთო მონარქი ჰყავთ. ეს შეთანხმება ერთადერთი საფუძველია რეალური  
უნიის არსებობისათვის. ამ შემთხვევაში ისე, როგორც პერსონალური უნიის  
ფარგლებში, უნიაში შეყვანილი სახელმწიფოება არ ჰქარაჯენ თავის სუვერენ-  
ულ ხასიათს. ამიტომ აქ არც ლაპარაკი შეიძლება იმაზე, თითქოს უნიის და-  
არსებით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანიზაცია იქმნებოდეს, რომელიც  
დამოუკიდებელი იქნება თავის არსებობაში. რეალური უნიის მაგალითს წარმო-  
ადგენდა ავსტრო-უნგრეთი 1867-1918 წლებში, შემდეგ შვეიცია და ნორვეგია  
1814-1905 წლებში.

სახელმწიფოთა შეერთების მეორე ფორმას ე. წ. კონფედერაცია წარმოად-  
გენს. აღარ შევჩერდებით ამ ფორმის დახასიათებაზე, ვინაიდან ძირითადი მო-  
მენტები, რომლებიც აქ იგულისხმებიან ჩვენს მიერ გაშუქებული იყო ზემოთ,  
როდესაც ფედერაციის და კონფედერაციის განმასხვავებელ თვისებებზე ვლა-  
პარაკობდით. დამატებით მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კონფედერაციაში შემავალი  
სახელმწიფოები მათ ურთიერთდამოკიდებულებებში თანაბარი უფლებებით  
არიან აღჭურვილი. ამით კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფო არსებითად  
განსხვავდება მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოსაგან, რომლის დახასია-  
თებაზე ჩვენ ახლა გადავალთ. მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს დახა-  
სიათების დროს მთავარი ყურადღება იმ ფაქტს უნდა მიექცეს, რომ ასეთი სა-  
ხელმწიფო, კონფედერაციის წევრებისაგან განსხვავებით, მის მფარველ სახელმ-  
წიფოსთან შედარებით თანაბარი უფლებებით როდია აღჭურვილი. ასე რომ, აქ  
არ არსებობს უფლებამოვალეობათა თანასწორობა ამ ორ სახელმწიფოს შორის.  
მფარველი სახელმწიფო ამ შემთხვევაში ხელშეკრულების საფუძველზე თავის  
თავზე იღებს ვალდებულებას დაიცვას მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო,  
ეს უკანასკნელი კი სამაგიეროდ მოვალეა თავისი საგარეო პოლიტიკა მფარველი  
სახელმწიფოს ინტერესებს დაუმორჩილოს. მიუხედავად ამისა, თავის შინაგან  
ცხოვრებაში მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო შეზღუდული არ არის სუ-  
ვერენიტეტის მხრივ; საგარეო მოქმედების დარგში ასეთი სახელმწიფო ფაქტო-



ბრევად მოკლებულია სუვერენობას, მაგრამ იურიდიულად იგი აქაც სარგებლობს სუვერენიტეტით, ვინაიდან ის შეზღუდვა საგარეო ურთიერთობათა დარღვევაში, რომელსაც აქ აქვს ადგილი, თვით ამ სახელმწიფოს იურიდიული თვალსაზრისით, თავისუფალ გადაწყვეტილებას წარმოადგენს და არა სხვა ხელისუფლების მიერ თავზე მოხვეულ აქტს. ამას ნათლად ამტკიცებს მთელი რიგი საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია, ერთის მხრივ, სანმარინოს და მეორე მხრივ სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ასეთია აქ მდგომარეობა იურიდიული თვალსაზრისით, ფაქტობრივად კი, ადვილი გასაგებია, რომ მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ერთგვარ ზეგავლენას განიცდის თავისი მფარველისაგან და ძალაუვნებურად საერთაშორისო პოლიტიკის დარგში მოქმედების გეზი მფარველი სახელმწიფოს პოლიტიკას უნდა შეუთანხმოს.

ის რაც აქ მხოლოდ ფაქტობრივ შინაარსს ატარებს, ე. წ. ვასალურ სახელმწიფოში უკვე უფლებრივ ხასიათს იღებს. ამაში ის აზრი იგულისხმება, რომ ვასალური სახელმწიფო არა მხოლოდ ფაქტობრივად, არამედ იურიდიულადაც მოკლებულია საგარეო სუვერენიტეტს. იგი დამოკიდებულებაში იმყოფება სხვა სახელმწიფოებისაგან, რომელიც მის სუვერენს წარმოადგენს. ასეთი დამოკიდებულება არსებობდა ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის 1878 წლიდან 1908 წლამდე, ვინაიდან 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის მიხედვით, ბულგარეთზე დატოვებული იქნა ოსმალეთის, როგორც მისი სუვერენის უფლება და ამის ძალით ბულგარეთს არ შეეძლო ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე ხელშეკრულება დაედო სხვა სახელმწიფოსთან ოსმალეთის გარეშე.

ასეთია ოთხი მთავარი ფორმა, რომლებიც უნდა აღინიშნონ სახელმწიფოების კლასიფიკაციის დროს სახელმწიფოთა შეერთების მომენტის მიხედვით. ამ შეერთების ნაწილობრივ განსხვავებულ ფორმას ე. წ. თანამედროვე პროტექტორატი წარმოადგენს. თავისი მთავარი მომენტების მხრივ პროტექტორატი დაახლოებულია მფარველ და მფარველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულებასთან. მაგრამ, მეორე მხრივ, აქ ერთგვარ განსხვავებასაც აქვს ადვილი იმდენად, რამდენადაც ამ ფორმის დამოკიდებულების ფარგლებში პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს დამოკიდებულება პროტექტორისაგან უფრო ძლიერია, ვინაიდან შეზღუდულია არა მარტო მისი საგარეო სუვერენიტეტი, არამედ მისი შინაგანი სუვერენიტეტიც. კონკრეტულად პროტექტორი საერთაშორისო ურთიერთობის საკითხში ანხორციელებს მისი მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, სდებს მის მაგივრად ხელშეკრულებებს, ომიანობის დროს უზრუნველყოფს მის არსებობას და სხვა. თავის მხრივ, პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქმედებით ხელი შეუწყოს პროტექტორის ძლიერებას.

ვახტანგ ვახტანგიშვილი

## ოსები და საქართველო

**ჩრდილოეთ** კავკასიაში დასახლებული ხალხების თუ ეთნიკური ჯგუფების საქართველოსთან და ქართველ ერთან ურთიერთობის საკითხი უკანასკნელ პერიოდში მეტად აქტუალური გახდა. განსაკუთრებით რთული ურთიერთობა დამყარდა ოსებსა და ქართველებს შორის. დღეს ეს ურთიერთობა ისეთი ფორმით ჩამოყალიბდა და იმ სტადიამდე მივიდა, რომ უნებლიედ იბადება კითხვა: შეიძლება კი გამოინახოს ამ ორი ერის შერიგებისა და შექმნილი ვითარების მშვიდობიანი გზით გადაჭრის რაიმე საშუალება?

ჩემი აზრით, ეს საკითხი საკმაოდ გაშორდა ამ ორი ერის ინტერესებს და ისეთი დიდი ძალის მიერ წარმართება, რომელიც ბევრად აღემატება ამ ორი ერის ძალებს. ეს საკითხი, ამავე დროს მოხვედრილია დიდი ერების საერთაშორისო პოლიტიკური ინტერესების სფეროში.

პარადოქსია, მაგრამ სადაო აღარ არის, რომ სოციალისტური სტრუქტურის ნგრევამ და კომუნისტური იდეალების ანტიმეცნიერული საფუძვლების გაშიშვლებამ არა მარტო ხელი შეუწყო, დააჩქარა კიდევ მსოფლიო იმპერიალიზმის დაშლის პროცესი, გზა გაუხსნა ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის მაქსიმალურ განვითარებას. ასპარეზი მისცა მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყნების ერთმანეთისადმი შემობრუნების, ურთიერთპატივისცემისა და ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ურთიერთობის პრინციპების დამკვიდრებას. კაცობრიობის ეპოქალურმა მოვლენებმა ფართო გზა გაუხსნა არა მარტო ცალკე ერების, ქვეყნებისა და ეთნიკური ჯგუფების პროგრესს და ურთიერთგაგებას, არამედ დააჩქარა მათი დაახლოვება და კომპრომისულ გზაზე დაყენება.

დაუინტერესებელი მეთვალყურის პოზიციიდან თუ შეგნედავთ ეპოქალურ მოვლენებს, რომლის მონაწილეც ჩვენ ვაგვხდით, ძალაუნებურად იბადება კითხვა: სოციალისტური და კომუნისტური სტრუქტურა ხომ არ იყო მსოფლიო იმპერიალიზმის განმტკიცებისა და მისი ხანგრძლივი პროცესის ხელის შემწყობი?! შეიძლება ვცდები კიდევ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ასე უნდა იყოს.

ამ პირობებში მეტად გასაკვირია თუ როგორ წარმოიშვა და კატასტროფულ დონემდე მივიდა ეს ურთიერთობანი, რომლებიც არსებობს საქართველოსა და ოსებს შორის. ამის შესახებ ბევრს ვმსჯელობთ, რადგან დღეს, ფაქტობრივად, საქართველოსა და ოსებს შორის ნაძვლილი ომია, ომი მეტად სასტიკი, დაუნდობელი და ცხადია, უაზრო. იღვრება სისხლი, იხოცებიან უდანაშაულო ადამიანები, ნადგურდება ქართული სოფლები, სახალხო დოვლათი.

გამოთქმა „ეთნო-კონფლიქტი“ დღეს მოდური გახდა, რადგან ომი მარტო საქართველოში როდია. ომია სომხეთსა და აზერბაიჯანში, მოლდოვაში, შუა აზიასა და რუსეთის იმპერიის ბევრ კუთხეში. ომი, რომელიც მიმდინარეობს

\* ამ რუბრიკით გამოქვეყნებული წერალები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.



ოსებსა და საქართველოს შორის, ეთნოკონფლიქტი არ არის. ეს სულ სხვა სახის ომია, რომელსაც თავისი ისტორიული წინამძღვრები აქვს.

ჩემი წერილის სათაურში გამოკვეთილმა კონტექსტმა შესაძლოა მკითხველი გააკვირვოს კიდევ. მართლაც, რატომ „ოსები და საქართველო“ და არა „ოსები და ქართველები“; ან „ოსეთი და საქართველო?...“ სანამ ამ საკითხს განვმარტავდე წინასწარ უნდა აღვნიშნო, რომ ის, რაც დღეს სამაჩაბლოში ხდება, ერთგვარი კანონზომიერი მოვლენაა. ოსის ომი საქართველოსთან მოვლენათა განვითარების კულმინაციაა. საგულისხმოა, რომ ოსი დღეს ებრძვის არა მარტო საქართველოს, არამედ ჩეჩნებს, ინგუშებს და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა მეზობელ ტომებსაც. იმპერიალისტური რუსეთის მიერ კბილებამდე შეიარაღებული, უფლებამოსილი და თანადგომით წაქეზებული, იგი დაბრმავებულია. ოსს შთაბერეს და შთააგონეს არა მისი უფლება, არამედ, მისი ნებიდან გამომდინარე ქცევის განუსაზღვრელობა და შეიარაღებული მიუხიეს უიარაღო ხალხებს: უფლება მისცეს ქართველთა და ქართული სოფლების აწიოკების, ადამიანების ფიზიკური განადგურების, ყაჩაღური და ბანდიტური თავდასხმებით ქონების გატაცების და რასაც ზურგზე ვერ მოიკიდებენ იმის გადაწვა-გაჩანაგების, დედაბუდიანად ამოგდების. ოსის მოქმედების განუკითხაობას საზღვარი აღარა აქვს რადან ყოველივე ამას უკან უდგას და იცავს რუსეთის სახელმწიფო შეიარაღებული ძალები, რომლებიც ყოველივეს თვითონ წარმართავენ და „ზემოთ“ შემუშავებულ სტრატეგიას ახორციელებენ.

ოსი დარწმუნებულია, რომ მისი „სპონსორი“ და დანაშაულზე წამქეზებელი თითქოსდა მისი აღორძინებისა და კეთილდღეობისათვის იბრძვის. ოსს დაავიწყდა იგივე იმპერიამ თუ როგორ დაუკარგა მას ეროვნული ნიშანი, არ დაუტოვა არც ერთი ეროვნული სკოლა, მოახდინა ხალხის სრული ასიმილაცია, წაართვა ენა, კულტურა, თვითმყოფადობა და მიადწია მის მთლიან რუსიფიკაციას. ქართველი კაცის უდიდესი სტუმართმოყვარეობა და ოსის ეროვნული ღირსებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, დანათესავება, დამოყვრება და შესისხლბორცება ქართველისათვის სავალდებულო ნორმად მიიჩნია და სხვის მიწაზე, სახლკარზე ბატონობა, საერთოდ ბატონობის უფლება, კანონზომიერ მოვლენად გამოაცხადა. იქ, სადაც წინააღმდეგობა წარმოიშვა, ტყვეით და ცეცხლით დაიწყო დამკვიდრება. ოსს სამაჩაბლო უკვე აღარ ჰყოფნის, იგი თითქმის გორამდეა მოსული და თავს ისე გავიდა, რომ მალე თბილისის მიჯნებსაც მოადგება. გასაკვირიც არ არის. საქართველოში, დედაქალაქიდან დაწყებული, არ არის კუთხე, სადაც იგი არ იყოს ფეხმოკიდებული და ხვალ, რუსეთის იმპერიალიზმის მხარდაჭერით, ალბათ, მთლიანად თუ არა, ნახევარ საქართველოზე მანაც წამოაყენებს პრეტენზიას.

რუსეთის საინფორმაციო ორგანოები არ მალავენ თუ რა ხდება სამაჩაბლოში, მაგრამ ეს ინფორმაციები „მცირედ“ უზუსტობას შეიცავს და ოსების და მათი თანამონაწილეების ბანდიტიზმს ქართველების ქმედებათ აცხადებს, ჯანადგურებულ ქართულ სოფლებს — ოსურ სოფლებად, დაზოცილ ქართველებს — ოსებად და დამნაშავეებს — დაზარალებულებად.

ღმერთი ყველაფერს ხედავს, ხალხმაც ყოველივე კარგად უწყის, მაგრამ როდემდე და რამდენის მოთმენა შეიძლება? ოსეთის შესახებ ბევრი იწერება და ბევრიც დაიწერება. მართალია, ისტორიკოსი არა ვარ და ისტორიული მოვლენების შეფასებასაც არ ვაპირებ, რადგან ამ საკითხს თავისი პატრონები ჰყავს და ზუსტ ანალიზსაც ისინი გააკეთებენ, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმა იმი-

ტომ მოვინდომე, რომ იმაში გარკვევა, რაც ხდება სამაჩაბლოში, ყველაწინააღმდეგობა რმაღურად მოაზროვნე ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენს. მოვლენების სრულყოფილი ანალიზის პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია წარმოვადგინო ნაკლებად ცნობილი ისტორიული დოკუმენტები, ხოლო დასკვნები მკითხველმა თავად გააკეთოს. ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტები სრულყოფილი დასტურია იმისა, რაზეც თავიდან მიგვანიშნებდა: კერძოდ, რასაც ოსი დღეს სჩადის, მოვლენათა გენეზისის კანონზომიერი შედეგია.

რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტში ინახება კავკასიის მთავარმართებლის მთავარი სამმართველოს „აქტები“, რომელიც გამოცემულია 1866 წელს. ამ კრებულის პირველი ტომის IX თავი მთლიანად ეთმობა დოკუმენტებს, რომლებიც შეგროვებულია 1801-1802 წლებში ოსეთის შესახებ კავკასიის არქეოგრაფიული სამმართველოს მიერ<sup>1</sup>.

„აქტებში“ წარმოდგენილია ოცამდე დოკუმენტი, მათ შორის, გენერალ-ლეიტენანტ კნორინგის<sup>2</sup> მიმოწერა იმპერატორებთან — პავლე პირველთან და შემდეგ ალექსანდრე პირველთან, თავის ზეღვევით გენერალ-მაიორებთან ლაზარევთან<sup>3</sup> და სიმონოვიჩთან<sup>4</sup> დოკუმენტები შეეხება კავკასიაში რუსეთის მმართველობის მიერ ცალკეული ეთნიკური ჯგუფების გაფრთხილების, ბანდიტური თავდასხმების, ქართული სოფლების და ქართველი მოსახლეობის აწიოკების, მკვლელობების, ტყვედ გატაცების, ქონების და საქონლის წართმევის, სხვა დანაშაულებრივი ქმედობების შეწყვეტის აუცილებლობის, რუსეთის მმართველობისადმი დამორჩილების შესახებ ფიცის დადების და სხვა ფაქტებს.

ვინც იცნობს მთავარმართებლის კანცელარიის და იმდროინდელი საქართველოს მმართველობის დოკუმენტაციას, დამეთანხმება, რომ აქტებში წარმოდგენილი მასალები მეტად მცირე ნაწილია იმ დოკუმენტაციისა, რომელიც იმ პერიოდშია შექმნილი, უნდა ვიფიქროთ, რომ დოკუმენტები დასტამებულია შერჩევით. მიუხედავად ამისა, ეს მასალები სრულ წარმოდგენას იძლევა შექმნილ მდგომარეობაზე და დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.


„აქტებში“ წარმოდგენილი რიგი „რესკრიპტების“, მიუთითებს იმ თავდასხმებზე, რომლებსაც აწარმოებენ ურთიერთშორის კავკასიის ქედის გადაღმა ოსები და ე. წ. ლეზინები. როგორ დაუნდობლად ანადგურებენ ერთმანეთს, იტაცებენ და ხოცავენ ადამიანებს, დოვლათს, საქონელს, ცეცხლის აღში ახვევენ მოწინააღმდეგის ცალკეულ საცხოვრებლებს და მთელ სოფლებს. ჩვენ ამ დოკუმენტებზე ფართო მსჯელობისაგან თავს ვიკავებთ, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევთ ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ თითქმის ორი საუკუნის წინ მიმდინარე მოვლენები, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე წააგავს დღევანდელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ოსის მოქმედება რუსეთის მთავრობასაც აწუხებდა. დღეს ოსი ბევრად უფრო ძლიერი და თამამია, მისი მოქმედება რუ-

1 აღნიშნულ მასალებზე მიგვანიშნა ცნობილმა მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებთ (ავტ.).

2 კნორინგი კარლ თედორეს ძე — გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც საქართველოში და ფაქტობრივად კავკასიაში პირველი მთავარმართებელი იყო, თანამდებობით კი რუსეთის ჯარის მთავარსარდლად და სამოქალაქო მმართველობის მთავარსამმართველოს უფროსად იწოდებოდა.

3 ლაზარევი ივანე პეტრეს ძე — გენერალ-მაიორი, კავკასიის ხაზის ჯარების უფროსი.

4 სიმონოვიჩი — რუსული პოლკის მეთაური, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის მიღების შემდეგ თავისი ჯარით საქართველოში პირველი შემოვიდა.



სეთის იმპერიის მფარველობის და ყოველმხრივი ხელის შეწყობის — შეიარაღებისა და სამხედრო ძალის დახმარების პრობებში ხდება.

„თავს მოვალედ ვთვლი ჩვენს უდიდებულესობას მოვახსენო, რომ სწავლასხვა ქართველ თავადთა დაქვემდებარებაში მყოფი ოსები... ძარცვავენ და იტაცებენ ხალხს,— მითითებულია გენერალ-მაიორ ლაზარევის მიერ 1801 წლის 1 მაისის № 234 გენერალ-ლეიტენანტ კნორინგისათვის გაგზავნილ პატაკში, — და თავიანთ მებატონეებს, რომლებმაც მრავალჯერ მოგვმართეს საჩივრებით დახმარებისათვის, არ ემორჩილებიან, თავის უხამს დამოკიდებულებას სულ მეტად ავლენენ; იმის გამო, რომ ლეონტიევის მუშკეტერთა პოლკი, რომელიც საქართველოს საზღვრებში იმყოფებოდა და უკან წამოვიდა, დარწმუნებული არიან, რომ რუსეთის ჯარები უკან ბრუნდებიან“...

პოპოვი

მიმოწერა იმ საკითხებზე, თუ რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს ოსების ამ მოქმედების აღსაყვეთად, მომდევნო პერიოდში რამდენიმეა. კნორინგი თავის მხრივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ ახსენებს იმპერატორს. მეფის რუსეთი მთის ხალხის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებს, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის პირობებში არც დამსჯელი რაზმების გაგზავნას და ძალის გამოყენებას ერიდება. არის პირადად პავლე პირველის მიერ ხელმოწერილი პასუხები, სადაც იგი კნორინგს უთითებს იმოქმედოს შექმნილი ვითარების მიხედვით, თავისი შეხედულებით.

გენერალი ლაზარევი 1801 წლის 10 მაისის № 102 მიწერილობით აძლევს მითითებას პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩს ოსების ქართულ სოფლებზე თავდასხმის პირობებში. იმ ადგილებთან ახლოს, სადაც რუსეთის ჯარის ნაწილებია განლაგებული, უბრძანონ ქართველებს დაიცვან თავიანთი სოფლები თავდასხმელებისაგან, ხოლო ჯარის ნაწილებმა აღმოუჩინონ დახმარება და არ დაუშვან ოსების მიერ ქართველებზე მცირე ვნების მიყენებაც კი. სოფელ დარცლედან, რომლის დასაპყრობადაც ოსები ისწრაფვიან, ჯარის ნაწილები მანამდე არ იქნენ გამოყვანილი, სანამ არ შეიქმნება სრული უსაფრთხოება.

„...თბილისში დაბანაკებული ეგერთა პოლკის ორი ასეული პოდპოლკოვნიკ ლიახოვის მეთაურობით, — უბატაკებს ლაზარევი კნორინგს, — მივლინებულია... ლაშქრობისათვის, რათა იძულებით მოყვანილ იქნენ მორჩილებაში კანონიერი ხელისუფლების ქვეშევდრომი, მდინარე ფაცისა და დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები საქართველოს ოსები“.

სქადასხვა დროს დაწერილი ასეთი პატაკი „აქტებში“ რამდენიმეა. ირკვევა, რომ სამხედრო ხელისუფალნი ოსების მიმართ სისტემატურად ატარებდნენ მათზე ზეგავლენის განხორციელების მშვიდობიან ღონისძიებებს. ამათგანდნენ შეღავათებს, თუ დანაშაულს მოინანიებდნენ მათ მიმართ არ გამოეყენებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

სამხედრო ხელისუფლების ერთ-ერთ განცხადებაში, რომელიც მიმართული იყო დიდი და პატარა ლიახვის და ფაცის ხეობაში, არავის და წარასმარაში მცხოვრებ საზოგადოებისადმი, ვკითხულობთ: „...კანონიერი ხელისუფლებისადმი თქვენი დაუმორჩილებლობის, მტაცებლობის და ყაჩაღობის შესახებ ცნობილი გახდა მისი იმპერატორული უდიდებულესობისათვის, რომელმაც ყურად იღო რა სხვადასხვა დროს თქვენი ყაჩაღობით, ძალადობით და სისხლით აღვისილ ქართველთა გოდება, ბრძანა თავისი ძლევამოსილი ჯარის ნაწილები შემოვიდნენ თქვენს სამფლობელოებში, გაანთავისუფლონ ყველა საცოდავი ტყვედ წაყვანილი, იძულებული გაგზადოთ კანონიერ ხელისუფლე-

სამართალმოს  
გროველი

ბას დაემორჩილოთ და აღდგენილი იქნეს სათანადო წესრიგი, რომელიც თქვენში ბოროტმოქმედებით, ჯერ კიდევ უკანასკნელი ქართველი მეფეების სიცოცხლეში, რომლებსაც ძველთაგან ექვემდებარებოდით, შეეცადეთ დაგერღვიათ... გიცხადებთ, იჩქაროთ. გამომიგზავნოთ თქვენი თემის თითოეული სოფლიდან სამი ამორჩეული უხუცესი, ყველა სოფელში არსებულ ტყვე ქართველებთან და გატაცებულ საქონელთან ერთად. არჩეულებმა თავისი სოფლის სახელით მისი უმაღლესი უკეთილშობილესი იმპერატორისადმი უნდა დადონ თავისი ქვეშევრდომობის ერთგულების ფიცი და მიიღონ მისი შემდგომი განკარგულებები; დანარჩენი მოსახლეობა უნდა დარჩეს თავის საცხოვრებელში და შეინარჩუნოს სიმშვიდე, ნუ გამოავლენენ შიშს, რომ მათ მიაყენებენ რაიმე შეურაცხყოფას, შევიწროებას ან ხელყოფენ მათ ქონებას. ყოველივე დაცული იქნება შესაბამისად უზენაესი ხელისუფლების მიერ ჩემი მოცემული მითითებისა. თუ მოსახლეობის მიერ შეგნებული იქნება და აღიარებული თავისი შეცდომები და შემდგომში მოეკიდებიან მშვიდ ცხოვრებას, ისარგებლებენ უპირატესობით და შეღავათებით მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელზე და მიწაზე, ისევე როგორც ეს იყო ადრე, ქართველ მეფეთა დროს. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე თქვენთაგანი გაბედავს და აშკარად თუ ფარულად გადააბიჯებს ამ უზენაეს მოთხოვნას, მთელი სოფლები ცნობილ იქნებიან დაუმორჩილებლად და თითოეული მცხოვრები მათი ქონებით რუსეთის ძღვევამოსილი ჯარის მიერ დევნილი იქნება მთელი მხედრული სიმკაცრით, ამის აღსრულებას წინ ვერ აღუდგება ვერც ეხლანდელი ზამთარი და დიდი თოვლი, რომლითაც დაფარულია თქვენი საცხოვრებელი კავკასიის კლდოვანი ადგილები“.

იგივე პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის 1802 წლის 20 თებერვლის № 770 პატაკი გენერალ-მაიორ ლაზარევს, რომელიც გაგზავნილია სოფელ ჯავაში განლაგებული ბანაკიდან: „მიმდინარე თვის 19 რიცხვს ოსურ და რუსულ დიალექტზე შედგენილი განცხადებით ოსებთან მივავლინე წარმოშობით ოსი აზნაური იალგუზიძე (მაქვს პატივი მოგართვათ განცხადების ასლი), გამოცხადდი მე დეტაშტამენტით სვერისხევში, დღეს კი ოსურ სოფელ ჯავაში, სადაც რამდენიმე არაკეთილსაიმედო ოსს მისი უმაღლესი უდიდებულესობისადმი ერთგულების ფიცი მივალბინეთ. ხვალინდელი რიცხვიდან ფიცს მივალბინებ სხვა ოსებს, რომლებიც გამოცხადდებიან, 22-ში კი, თუ სოფელ კემელტიდან არ იქნებიან ნდობით აღჭურვილნი, დეტაშტამენტით იქ გავემართები, სიმძიმეებს კი აქ საფარში დავტოვებ“.

ოსების მიერ ფიცის ქვეშ მიცემული პირობა: „ჩვენ ქვემოთ დასახელებულნი პირობას ვდებთ და ვფიცავთ ყოვლისშემძლე ღმერთის და მისი მოციქულების წინასწარმეტყველი წმინდა ილიას და ყოვლადწამებული წმინდანების გიორგი და თედორეს წინაშე, რომ მისი იმპერატორული უდიდებულესობის ქვეშ, გვინდა და ვალდებულნი ვართ, ვიყოთ ერთგული და არა პირფერი ქვეშევრდომნი რუსეთის თვითმპყრობელი დიდი ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესადრე პავლეს ძის და მისი იმპერატორული უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის, რომელიც დანიშნული იქნება, და დაუზოგავად ჩვენი სიცოცხლისა და უკანასკნელი წვეთი სისხლისა დავემორჩილოთ მის უზენაეს ნებას, და სრული შეგნებით ვემორჩილებით მის მიერ მოცემულ და მომავალში გამოსაცემ კანონებს და წესწყობილებებს, ჩვენი ძალისა და შესაძლებლობის მიხედვით ვუვლიდეთ და ვიცავდეთ მათ. მისი იმპერატორული უდიდებულესობის მიერ ჩვენს მხარეში დამყარებული სიმშვიდე და სიჩუმე უკიდურ-

რესი შესაძლებლობით დავიცვათ; არავითარი კავშირი არ დავიკავოთ პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ფარულად თუ აშკარად ჩვენი სამშობლოს და ხალხის ამმღვრევე და ამრევე პირებთან, ასეთი არც საქმითა და არც შთაგონებით და სწვა განზრახვით არ გვქონდეს. როგორც შევამჩნევთ და გავიგონებთ მისი უდიდებულესობისადმი ვნების მიყენების სურვილის შესახებ, დაუყოვნებლივ გაცნობოთ ასეთი; ყველა ღონეს ვიხმართ და ზომებს მივიღებთ მისი თავიდან აცილებისათვის და მოვიქცევით ისე როგორც შეეფერება მისი იმპერატორული უდიდებულესობის მიერ დაყენებული უზენაესი ხელისუფლების ერთგულ ქვეშევრდომებს. ისე როგორც შეეფერება მშვიდ მამულიშვილებს და ქვეშევრდომებს. შემდგომში არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდნეთ ქართველთა ძარცვას და აჩაღობას; მათთან დავის გადასაწყვეტად მივმართავთ ხელისუფლებას და ამასთან ყოველთვის ვიქნებით მშვიდობიანად და მეგობრულად, ჩვენი მოქმედებით შევძლებთ პასუხი ვავოთ ისევე როგორც ღმერთის და მისი საშინელი სასამართლოს წინაშე, რისთვისაც ღმერთი ჩვენ სულიერად და ხორციელად ხელს გავგიწვდის.

ამ ჩვენი ფიცის ბოლოს ვეამბორებით მისი იმპერატორული უდიდებულესობის დროშას, ამინ“...

მაგრამ არავითარი ფიცი, არავითარი ღმერთი, ხატი, და „ამინ“ არ არის მათი დამაოკებელი, რაზეც მეტყველებს მომდევნო პერიოდის პატაკები, რომლებიც გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს და აღნუსხავენ ოსების პირფერობას და განუსაზღვრელ სიბოროტეს, რასაც ისინი სჩადიან ქართველების მიმართ და რასაც ბოლო არ ეღება. ჩვენს ხელთ არსებული პატაკების სიმრავლე მოწმობს, რომ ყველა პატაკმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ამ პატაკებში თუ უმაღლეს ხელისუფალთა რესკრიპტებში მოჩანს ისიც, რომ ვერავითარი რეპრესიები, რომლებსაც რუსეთის ხელისუფალნი თავიანთი დამსჯელი რაზმებით და მართლმსაჯულების ორგანოების დახმარებით ატარებდნენ, შედეგს ვერ იღებდა. კავკასიონის კლდოვანი მხარე, სადაც ოსები თოვლის ზგავივით საქართველოს დასაპყრობად მოიწვედნენ, მათთვის საიმედო თავშესაფარი იყო და ისინი თავს განუკითხავად მიიჩნევდნენ.

„აქტებში“ მოყვანილია ციფრები თუ 1801-1802 წლებში რომელი ნაწილი და რა რაოდენობის სამხედრო მსახური იღებდა ოსების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას: კავკასიის გრენადერთა პოლკის უფროსის პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის ხელქვეით 440 სამხედრო მსახური, მე-17 ევერთა პოლკის მე-3 ასეული 197 კაცის რაოდენობით, საარტილერიო ჩინები სრული საჭურველით და ზარბაზნებით 28; 742 დაბალი ჩინისაგან შემდგარი დონის კაზაკთა შჩედროვის შენაერთი... აქ არ არის მითითებული ოფიცერთა მაღალი ჩინები, რომლებიც შემადგენლობას ედგნენ სათავეში.

1902 წლის 26 თებერვალს შედგენილი დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ თავად მაჩაბლისადმი დაქვემდებარებული ოსების დანაშაულებრივი ქმედობების განსახილველად სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი იძულებულნი გამხდარან შეექმნათ სპეციალური სასამართლო, რომელიც მუდმივად ჭავჭავში იმოქმედებდა. ეს სასამართლო იქმნებოდა შერეული შემადგენლობით ხელისუფლების მიერ დანიშნული პირებისა და თვით ოსების მიერ არჩეული და დასამტკიცებლად წარმოდგენილი მოსამართლეებისაგან. ამ სასამართლოებს საქმეები მოქმედი ქართული კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გაერჩია, ამ მხარეში არსებული ადათ-წესების გათვალისწინებით. დოკუმენტებში გაფრთხილე-

ბაა იმის შესახებ, რომ იმ ხალხის მიმართ, რომლებიც ამ მხარეში ახალი გად-  
მოსახლებული იყვნენ, მეტი სიფაქიზე და ყურადღება გამოეჩინათ, რადგან ისი-  
ნი ეჩვეოდნენ ახალ ყოფას და ახალ ურთიერთობას. ჩამოთვლილია ოსების დანა-  
შაულებრივი ქმედობები, რომლებმაც ამ მხარეში ჰპოვა გავრცელება (ხალხის  
ტყვედ წაყვანა, ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობები, საქონლის და სხვა ფასეუ-  
ლობათა გატაცება) და მითითებულია, რომ სოფლები, რომლებსაც მისი იმპე-  
რატორული უდიდებულესობისადმი ფიცი არა აქვთ დადებული (ჩამოთვლილია  
კავკასიის ქედზე დასახლებული ადვილად მიუწვდომელი სოფლები — ხემულ-  
თა, ძივი და სხვები), დამორჩილებოდნენ და ფიცი დაედოთ. ეს კატეგორიული  
მოთხოვნა მიზნად ისახავდა შემდგომში მათ მიმართ მოქმედი კანონმდებლობის  
სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობას. ხაზგასმით მითითებულია,  
რომ ფიცის დამდები პირები პერსონალურად ყოფილიყვნენ აღრიცხული.

რიგ დოკუმენტებში, რომლებსაც გენერალი კნორინგი პატაკის სახით უგ-  
ზავნის იმპერატორს, ხაზგასმითაა აღნიშნული და შემფოთებაა გამოთქმული,  
რომ ყველა ღონისძიება, რაც ოსების მოსათვინიერებლად ტარდება, სასურველ  
შედეგებს ვერ იღებს. მათზე ზეგავლენას ვერ ახდენს ვერც დამსჯელი ექსპედი-  
ციები და ვერც კეთილი განწყობილება, რომელსაც რუსეთის სამოქალაქო და  
სამხედრო ხელისუფლება ახორციელებს და ქართველთა მიმართ მათ ძალადობას,  
ყაჩაღურ თავდასხმებს და სხვა მძიმე დანაშაულს ბოლო არ ედება. ზმირად  
ყოველივე ამას ორგანიზებული ხასიათი ეძლევა და ამ ბოროტმოქმედებას სა-  
თავეში ოსების წარჩინებული პირები უდგანან. როგორც წესი, ისინი დაუსჯელი  
რჩებიან, რადგან მიუხედავად პატიების დაპირებისა და რეალურად პროფილაქ-  
ტიკის ამ ფორმის გამოყენებისა, კვლავ სჩადიან დანაშაულს და შემდეგ მთებს  
აფარებენ თავს. ასეთი მოვლენები განსაკუთრებით გავრცელებულია მდინარე  
ფაცისა და დიდი ლიხვის მაზრებში, არაგვის და კემელტის ხეობებში, რაროს  
უღელტეხილთან და სხვა რაიონებში, არის ფაქტები მასიურად ხალხის მოტაცე-  
ბის და მათი სხვა ქვეყნებში გაყიდვის, მთელი სოფლების ამოწყვეტისა, მათ შო-  
რის თავადი მაჩაბლების ოჯახებზე თავდასხმების და მათი ამოყლეტისა; რომ  
ასეთი ხდებოდა აღრეც ქართველთა მეფე გიორგის სიცოცხლეშიც და გრძელდე-  
ბა საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ. დანაშაულებრი-  
ვი ქმედობის ჩადენა ტრადიციული ხასიათის მატარებელია და თაობებს შთამო-  
მავლობით გადაეცემა (იხ. გენ. კნორინგის 1802 წლის 26 მარტის № 8 პატაკი).

ოსების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებისათვის, მათი დამორჩილები-  
სა და ჭკუაზე მოყვანისათვის, 1802 წლის 23 აპრილს უზენაესი რესკრიპტით  
გენერალ კნორინგს დაევალა დაეჯილდოვებინა დიდი ჯგუფი სამხედრო მსა-  
ხურთა და სამღვდელოების და მოსახლეობის წარმომადგენლებისა, რესკრიპტში  
დასახელებული არიან: პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩი, რომელსაც უნდა გადას-  
ცემოდა წმინდა თავადი ვლადიმერის მესამე ხარისხის ორდენი, პოდპოლკოვნიკი  
ლიახოვი, მაიორი ფონ-კლესტი, კაპიტნები ლისანოვიჩი და რეიხი. შტაბს-  
კაპიტნები ოსიპოვი და თავადი ბაგრატიონი, ბატალიონის ადიუტანტი, პოდპორ-  
უჩიკი კოპტევი — წმინდა ანას. მესამე კლასის ორდენები; თავად ამილახვარს —  
ოქროს მედალი მარგალიტით, ცისფერი ბაფთით სატარებლად; ქართველ აზ-  
ნაურს იალგუზიძეს (დოკუმენტებში მოიხსენიება როგორც გაქართველებული  
ოსი) — ოქროს მედალი, წითელი ბაფთით და გორელ მღვდელს გოგიბავის  
(აღბათ გოგებაშვილი — ვ. უ.) — ვვარი ოქროს ჯაჭვით. რესკრიპტს თან ერთ-  
ვის აღნიშნული ჯილდოები. რესკრიპტს ხელს აწერს პირადად მისი იმპერატო-

რული უდიდებულებობა „ალექსანდრე“ და აქვს მინაწერი, რომ იგი კნორინ-  
გისადმი კეთილგანწყობილებას ავლენს.

სამაჩაბლოში სიმშვიდის დამყარება თურმე იმპერიის დამსჯელი რაზმების  
თვისაც, რომლებიც არტილერიითაც ყოფილან აღჭურვილი, შეუძლებელი აღ-  
მოჩნდა. მომდევნო პერიოდი ამ რეგიონის ქართველი მოსახლეობისათვის ისევ  
შფოთიანი და უბედურების მომტანი იყო. 1802 წლის 28 ივლისს იგივე კნორინ-  
გის იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში მითითებულია, რომ საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები არ ემორჩილებიან თავიანთ მოურავებს,  
მაჩაბლებს და ახდენენ ყაჩაღურ თავდასხმებსა და ძარცვებს: „...ამჟამად ჩემი  
საქართველოში ყოფნის დროს, — ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — კავკასიის  
უღელტეხილის ხეობაში მცხოვრები ხალხის წინამძღოლი, დუდარიკო ახმე-  
ტოვი, რომელსაც დიდი მიდრეკილება აქვს ყაჩაღობის და ძარცვისადმი, თა-  
ნამზრახველებთან ერთად... თავს დაესხა თბილისიდან მოზღოკში ფოსტით წარ-  
გზავნილ კურიერს და მის ექვს გამცილებელ კაზაკს და გაიტაცა მათი ცხენები  
და იარაღი; მეორე შემთხვევაში საქართველოდან რუსეთში მიმავალი ნაწილის  
შტაბს და ობერ-ოფიცრებს... რომლებსაც 40 შეიარაღებული კაზაკი იცავდა.  
იმისათვის, რომ კურიერს გზა გაეგრძელებინა, იძულებული შეიქნა 200 მანე-  
თი გადაეხადა. უფრო ადრე გაძარცვა სომეხი ეპისკოპოსი გრიგოლი...“

კნორინგი წერს, რომ ტაგაურელთა წინამძღოლზე არავითარმა შთავგნებამ  
არ იმოქმედა და იგი იძულებული შეიქმნა მისი თავხედობა და ყოყლოჩინობა  
დამსჯელი რაზმით და კაზაკების შენაერთის ექსპედიციით აღეკვეთა. ახმეტოვი  
კნორინგს თავდაცვისათვის მომზადებული შეხვედრია. ტაგაუროვი სამ კოშკში  
იყო გამაგრებული და ექსპედიციისათვის გააფთრებული წინააღმდეგობა გაუ-  
წვია, ბრძოლის დროს დუდარიკოს მხარეს 19 კაცი მოუტლავთ და 6 მძიმედ  
დაჭრილა. რუსებისაგან მოკლული ყოფილა 2 გრენადერი და 2 მსუბუქად  
დაჭრილა.

ამ ექსპედიციის შედეგად ახმეტოვს, სოფლის ექვსი თავკაცის თავდე-  
ბობით მიუცია სადღესასწაულო ფიცი, რომ შეწყვეტდა ყაჩაღურ თავდასხმებს,  
უზრუნველყოფდა საქართველოდან რუსეთისაკენ მიმავალი გზის უსაფრთხოე-  
ბას, ქართველი და სხვა ხალხის სიმშვიდეს. კნორინგის ექსპედიციის შემადგენ-  
ლობას, დაბანაკების ადგილამდე უზიფათოდ დაბრუნების უზრუნველსაყოფად,  
ახმეტოვმა მძევლად საკუთარი შვილები გააყოლა.

როგორც ცნობილია ოსები, რომელთა წინაპრები ალანები იყვნენ, მომთა-  
ბარე ტომს წარმოადგენდნენ. ისტორიული წყაროების მიხედვით, ჩვენი წელთა-  
ღრიცხვის II-IX საუკუნეებში ისინი დასახლებული იყვნენ ჩრდილოეთ კავკა-  
სიაში, იალბუზის მიდამოებში და ქვედა დნებრისა და სამხრეთ ურალის დაბლო-  
ბებში. ჰუნების მიერ დაპყრობის შემდეგ, განიცადეს დიდი შევიწროება, მი-  
იღეს მონაწილეობა ე. წ. „ხალხთა დიდ გადასახლებაში“ და ნაწილი აღმოჩნდა  
პირინეის ნახევარკუნძულზე და ევროპის სხვადასხვა რეგიონში. ნაწილი ქერჩის  
მიდამოებში, ხოლო ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა ყუბანის ველები  
და შევიწროებულიყო კავკასიის ქედის გადაღმა იალბუზის მიდამოებში. მონ-  
ღოლთა შემოსევის შემდეგ, მე-14 საუკუნეში, ოსებმა კვლავ განიცადეს შევიწ-  
როება ყაბარდინელთა მხრიდან და ამ მიზეზით დაიწყეს გადმოსახლება კავკა-  
სიის ქედის გადმოღმა კალთებზე, ქართველთა სამფლობელოებში, ძირითადად  
სამაჩაბლოში. ოსური ენა მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს, ისინი ისლამურ  
რელიგიას აღიარებდნენ და მხოლოდ მე-19 საუკუნის დამდეგიდან, რუსეთის

იმპერიის აქტიური ჩარევით, მათ შორის მნიშვნელოვნად გავრცელა ქრისტიანული რელიგია.


ოსთა შორის ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საკითხი რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივი პოლიტიკის გატარების პრინციპებით არ შეიძლება იქნეს განხილული. იმპერიის წარმომადგენლები ოსების გაქრისტიანებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ოსი მოსახლეობის თანხმობა რელიგიის შეცვლაზე იყო ერთ-ერთი ფაქტორი მათი რუსეთის იმპერიის მორჩილებაში გადასვლისა, საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა მათი კანონებისადმი მორჩილებას და ბოლოს მოუღებდა იმ გაუთავებელ ომებს, რისი წარმოებაც უხდებოდა იმპერიას კავკასიის მთიანეთის ხალხებთან. აქტებში ვნახულობთ მსჯელობას ამ თემაზე და როგორც ეტყობა, მთავრობისათვის მიზნის მიღწევა არც თუ ისე რთული იყო. სამხედრო ხელისუფალთა მიერ ოსების გაქრისტიანება და ამის აუცილებლობაში „დარწმუნება“ ხდებოდა იმპერატორისადმი ფიცის მიცემის დროს, როდესაც მათ უნდა მიეღოთ პატიება ქართველთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ ამ საკითხს ღრმად ჩავწვდებით, ნათელი გახდება, რომ მათ სხვა გამოსავლი არც ჰქონდათ. მაღალი სამხედრო ჩინის, კოვალენსკის 26 აგვისტოს პატაკში მითითებულია იმ დიდ იმედებზე, რომ ოსები ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელიც რამდენიმე საუკუნეა დაკარგეს, კვლავ დაუბრუნდებიან. „აზნაურ იალღუზიძის“<sup>5</sup> გადმოცემით, ნარას და ზახას ხეობაში მცხოვრებმა ოსებმა დაბეჭითებით ითხოვეს მათთან ქრისტიანული კანონების სასწავლებლად მიავირონ მოზღვაკელი მღვდელი (გვარი არ არის მითითებული), რომელიც მათთან ადრე იმყოფებოდა სახარების ქადაგებისათვის და ხალხის პატივისცემა დაიმსახურა“...

ამავე დოკუმენტში მითითებულია ერთ ყურადსაღებ გარემოებაზე, რომლის გაცნობა, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს: „...ისინი (ოსები—ვ. ვ.) საკმაო ერთგულებას ავლენენ რუსეთისადმი, — წერს თავის პატაკში კოვალენსკი, — და სურთ, რომ განთავისუფლებული იქნენ ქართველთა მმართველობიდან და გადაყვანილი რუს ხელისუფალთა მმართველობის ქვეშ. ამასთანავე არის იმედი, რომ მოკლე დროში მიიღებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას“.

თუ რას ნიშნავს მოკლედ ნათქვამი ქართველთა მმართველობიდან (თავადი მაჩაბლის მეურვეობიდან) გამოსვლა და რუსეთის ხელისუფალთა ხელში გადასვლა, ამის გარკვევა რთული არ არის. აქ ძალაუფლებურად კვლავ გენეზისის საკითხი იბადება. მეტად უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხის დიდი ნაწილი, ოღონდ თავისი სურვილები დაიოკოს, იმისდამიუხედავად ეს სურვილები მართლიანია თუ დანაშაულებრივი, ივიწყებს მტერ-მოყვარეობას, საუკუნეობრივ პატივისცემას, მისდამი გამოვლენილ განუხსაზღვრელ სტუმართმოყვარეობას და ექედლება ძლიერს, ანგარიშმიუცემლად მისკენ მიისწრაფის. ვერ ხედავს, რომ ის „ძლიერი“ „მფარველობას“ მხოლოდ პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე იღებს თავის თავზე და თანაც მაშინ, როდესაც ეს ხელს აძლევს, რატომ რვაასიან წლებში არ მიიღო იმპერიამ იგივე წინადადება და არ გააკეთა ის, რასაც დღეს ყველა ხერხით და დაუფარავად ახორციელებს?.. ერთი სიტყვით ისტორია მეორდება, მაგრამ მეტად რთული და მძიმე წინააღმდეგობით.

<sup>5</sup> როგორც ითქვა, გაქართველებული და გააზნაურებული ოსი იალღუზიძე რუსეთის იმპერიის ერთგული მოხელე იყო. მან დიდი როლი ითამაშა ხელისუფლებასა და დანაშაულებს შორის საერთო ენის გამონახვაში და ეს სპეციალურად იყო აღნიშნული იმპერატორის რესკრიპტში.





...სი კორპორაციის დახმარებით დაიწყო მისი საქმიანობა. მისი მიზანია, დაეხმაროს იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც ქვეყნის იურიდიული სისტემაში ცვლილებების განხორციელებაში დახმარება სჭირდება. მისი მთავარი მიზანია, დაეხმაროს იმ პირებს, რომლებსაც ქვეყნის იურიდიული სისტემაში ცვლილებების განხორციელებაში დახმარება სჭირდება.

**ათანადო კონსტიტუცია** წლის დასაწყისში მსგავსი შედეგების მიღწევაში დაეხმარება იმ პირებს, რომლებსაც ქვეყნის იურიდიული სისტემაში ცვლილებების განხორციელებაში დახმარება სჭირდება.

## დანაშაულის იარაღის კონფისკაცია

...სი კორპორაციის დახმარებით დაიწყო მისი საქმიანობა. მისი მიზანია, დაეხმაროს იმ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც ქვეყნის იურიდიული სისტემაში ცვლილებების განხორციელებაში დახმარება სჭირდება.

სისხლის სამართალში კონფისკაციის, როგორც დამატებითი სასჯელისაგან, უნდა განვასხვავოთ ე. წ. სპეციალური კონფისკაცია ანუ დანაშაულის იარაღის, საგნებისა და დანაშაულებრივი გზით შექმნილი ქონების კონფისკაცია. ასეთი საგნების ბედის გადაწყვეტა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლი).

კონფისკაციის ეს სახე, თავისი იურიდიული ბუნებით განსხვავდება დამატებითი სასჯელის სახით შეფარდებული კონფისკაციისაგან.

დამატებითი სასჯელად კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით, ე. ი. ის შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ პირს, ვინც სასამართლოს განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ და შეეფარდა სათანადო ძირითადი სასჯელი, რომელიც არ გამორიცხავს კონფისკაციის გამოყენებას. დანაშაულის იარაღის ჩამორთმევა კი შეიძლება მოხდეს არა მარტო სასამართლოს განაჩენით, არამედ განჩინებით და გამოძიების ორგანოს დადგენილებით, რომლითაც შეწყდა საქმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ არამარეაბილიტირებელი საფუძვლით (ხანდაზმულობის ვასვლა, გარდაცვალება, ამნისტია, სასჯელისაგან განთავისუფლება). მთავარია, რომ ნივთმტკიცებად ცნობილი საგანი ჩაითვალოს დანაშაულის იარაღად, იგი კონფისკაციაქმნილი იქნება საქმის შეწყვეტის შემდეგაც.

დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციას კი საქმის შეწყვეტის შემთხვევაში ვერ შეუფარდებს ვერც სასამართლო და მით უფრო ვერც გამოძიების ორგანო.

დამატებითი სასჯელის სახით კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს, რომლის სანქცია სპეციალურად ითვალისწინებს სასჯელის ასეთ სახეს, სპეციალური კონფისკაციისათვის კი ეს სანქცია არ არის. ის შეიძლება შეეფარდოს ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენ პირს, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საგანი გამოყენებული იყო დანაშაულის იარაღად ანდა იგი შექმნილი იქნა დანაშაულებრივი გზით.

კონფისკაცია, როგორც დამატებითი სასჯელი, არის მატერიალური სამართლით გათვალისწინებული სასჯელის სახე, რომელიც სასამართლომ უნდა შეუფარდოს დამნაშავედ ცნობილ პირს, როცა სანქცია ამას ითვალისწინებს, სპეციალური კონფისკაცია კი საპროცესო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიებაა და სწორედ სასამართლოს (გამოძიების) საქმიანობის პროცესში უნდა დადგინდეს, ესა თუ ის საგანი დანაშაულის იარაღად ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ

ქონებად ჩაითვალოს თუ არა. ეს განსაკუთრებით ითქმის დანაშაულებრივმა გზით შეძენილ ქონებაზე. ყველა შემთხვევაში ქონება დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად რომ ჩაითვალოს საჭიროა, სასამართლომ ცნოს ის ასეთად, სხვანაირად ამ ქონების კონფისკაცია არ დაიშვება. სწორედ ამიტომ უწოდებენ კონფისკაციის ამ სახეს ე. წ. პროცესუალურ კონფისკაციას.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს დანაშაულის იარაღის მიმართ. კონფისკაციის ეს სახე საქმაოდ ხშირად მატერიალური კანონმდებლობითაცაა გათვალისწინებული და მის კონფისკაციასაც დიდი პროცესუალური მტკიცება არ სჭირდება. პირიქით, ის უფრო სავალდებულოა სასამართლოსა და გამოძიებისათვის, თუ დადგინდება, რომ ეს საგანი დანაშაულის ჩადენისათვის იქნა გამოყენებული. ამიტომ მას შეიძლება ვუწოდოთ თავისებური, გარდაუვალი დამატებითი სასჯელი, რომელიც გულისხმობს დანაშაულის იარაღად მიჩნეული საგნის აუცილებელ კონფისკაციას, მიუხედავად იმისა, დანაშაულის ჩამდგენმა პირმა პასუხი უნდა აგოს თუ არა სისხლის სამართლებრივი წესით.

იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს დანაშაულის იარაღის სამართლებრივი ბუნება, საჭიროა დავაზუსტოთ ამ ცნების შინაარსი, ხაზი გავესვათ მის სპეციფიკურ თავისებურებებს. თეორიაშიც და პრაქტიკაშიც ხშირად არეულია ერთმანეთში დანაშაულის იარაღი, დანაშაულის საგანი, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება და საერთოდ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. ფაქტიურად კი, ეს ცნებები, მათი დიდი ურთიერთმსგავსების მიუხედავად, არ შეიძლება ერთმანეთში აირიოს.

ნივთიერი მტკიცებულება შედარებით ფართო ცნებაა და მოიცავს, როგორც დანაშაულის იარაღს, საგნებს, ისე დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას. მაგრამ მართო ამით არ ამოიწურება ნივთმტკიცების შინაარსი. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება საერთოდ ყოველგვარი საგანი, რომელიც წარმოადგენდა არა მართო დანაშაულის იარაღს ანდა დანაშაულებრივი გზით იყო შეძენილი, არამედ ისეთი საგანიც, რომელზედაც შეიძლება დარჩენილი იყოს დანაშაულის კვალი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტს შეადგენდა ანდა, რომელიც საერთოდ შეიძლება გამოდგეს დანაშაულის გამოამკარავების, დამნაშავის მხილების საშუალებად, ბრალდების უარყოფის თუ პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძვლად.

დანაშაულის იარაღის ცნება ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის პროცესუალურ ლიტერატურაში. კერძოდ, ზოგჯერ იგი გაიგივებულია დანაშაულის საგნებთან<sup>1</sup>. სინამდვილეში დანაშაულის საგანი შედარებით ფართო შინაარსს მოიცავს, ის ყოველთვის არ წარმოადგენს დანაშაულის იარაღს. დანაშაულის საგანი არის ყოველგვარი ნივთი, რომელიც გამოყენებული იყო არა მართო დანაშაულის ჩასადენად, არამედ ისეთიც, რომელიც თვით ამ დანაშაულის მიზეზს წარმოადგენდა. (მაგალითად, ფული თუ სხვა ფასეულობა). ე. ი. დანაშაულის საგანი უფრო ემთხვევა ნივთიერი მტკიცებულების ცნებას, თუმცა დანაშაულის საგანს მაინც აქვს სპეციფიკური შინაარსი. დანაშაულის საგნის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ის საგნები,

<sup>1</sup> Комментарий к УПК РСФСР, 1981, с. 118; И. М. Гальперин, Ю. Б. Мельникова, Дополнительные наказания, М., 1981, с. 57.

რომლებიც დანაშაულის იარაღად იყო გამოყენებული ანდა, რომლებზედაც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულებრივი ქმედება.

ამდენად, დანაშაულის საგანი მოიცავს როგორც დანაშაულის იარაღს, ისე დანაშაულებრივი გზით შეძენილ ფასეულობას და საერთოდ ყოველგვარ ნივთს, რასაც რაიმე მნიშვნელობა აქვს. საქმისათვის, მათ შორის, არა მარტო დანაშაულის ჩამდენი პირის, არამედ სხვა პირების (დაზარალებულის, მოწმის), კუთვნილებას.

მაშასადამე, დანაშაულის საგანი ყოველთვის არ არის დანაშაულის იარაღი. ეს საგანი მხოლოდ მაშინ უნდა მივიჩნიოთ დანაშაულის იარაღად, როცა მისი საშუალებით მოხდა უშუალოდ დანაშაული ანდა გაადვილდა მისი ჩადენა. ამიტომ არ უნდა იყოს ზუსტი, როცა ყოველთვის დანაშაულის იარაღად მიიჩნევენ ქრთამის სახით გადაცემულ თუ გადასაცემ ფულს ან სხვა ფასეულობას. ქრთამი მაშინ უნდა ჩაითვალოს დანაშაულის იარაღად, როცა ის გადაცემული არ არის ქრთამის მიმღებზე, როცა ქრთამის მიმცემი ამ საგანს იყენებს დანაშაულის ჩასადენად თუ გასაადვილებლად, ხოლო როცა ქრთამის საგანი მიიღო პირმა, ის უკვე დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონებაა.

დანაშაულის იარაღად უნდა ჩაითვალოს საგანი, ნივთი, რომელიც დანაშაულის (თანამონაწილის) მიერ განზრახ იყო გამოყენებული უშუალოდ დანაშაულის ჩადენისათვის, ანდა რომლის საშუალებითაც გაიადვილა მან დანაშაულის ჩადენა ან დაფარა დანაშაული. თუ საგანი პირმა არაგანზრახ გამოიყენა დანაშაულის ჩასადენად (მაგალითად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევა) ის არ წარმოადგენს დანაშაულის ისეთ იარაღს, რომლის კონფისკაცია უნდა მოხდეს. ამ საკითხს სპეციალური დადგენილება მიუძღვნა სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა კანონის არასწორად გაგებასა და სასამართლოების მიერ შეცდომების დაშვებას. 1984 წლის 16 აგვისტოს № 19 ერთპუნქტიანი დადგენილებით სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ ნივთმტკიცების, როგორც დანაშაულის იარაღის კონფისკაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა განზრახ გამოიყენა თვით მსჯავრდებულმა ან მისმა თანამონაწილემ დანაშაულის იარაღად ეს საგანი დანაშაულის შედეგის მისაღწევად<sup>2</sup>.

იურიდიული ტერმინი „დანაშაულის იარაღი“ სპეციალური მნიშვნელობის ცნებაა, რომელიც გულისხმობს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს — კონფისკაციას, მის უსასყიდლოდ ჩამორმევას. ე. ი. ყველა საგანი, რაც დანაშაულთან არის დაკავშირებული, არ არის დანაშაულის იარაღი. იმისათვის, რომ დანაშაულის საგანი ჩაითვალოს დანაშაულის იარაღად თავისი იურიდიული შედეგით, საჭიროა შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

- 1) ეს საგანი გამოყენებული უნდა იყოს უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად ან მის გასაადვილებლად დანაშაულის ან დანაშაულში თანამონაწილემ პირის მიერ;
- 2) იგი უნდა ეკუთვნოდეს პირად საკუთრებაში დანაშაულის ჩამდენ (თანამონაწილემ) პირს;
- 3) საგანი მიმართული უნდა იყოს განზრახვი დანაშაულის ჩასადენად ან მის გასაადვილებლად. მაგალითად, ავტომანქანა, თუ მისმა მესაკუთრემ გაუფრთ-

<sup>2</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, М., 1987, с. 838.

ხილებლად დააჯახა ვინმეს, არ ჩაითვლება დანაშაულის იარაღად. შედგენის შემთხვევაში უხედავად, მაგრამ, თუ განზრახ დააჯახა ვინმეს და დაზიანა ან და გამოეყენა ნაქურდალი ქონების გადასატანად, ის უკვე დანაშაულის იარაღს წარმოადგენს და კონფისკაციას ექვემდებარება.

დანაშაულის საგანი, როგორც ითქვამს, ფართო ცნებაა. საქვევლისებრ ყველა ის ნივთი, რომელიც არა მარტო დანაშაულის ჩასადენად (გასადვილებლად), იყო გამოყენებული არამედ ისეთივე, რომლისთვისაც მოხდა დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, ქართამად აღებული ფული). მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაშიც არ შეიძლება უსასყიდლოდ ჩამოერთვას და გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში ეს ნივთები, სწორედ ამიტომ არის, რომ სსსკ 77-ე მუხლი ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტისას მხოლოდ ორ შემთხვევაში (პირველი და მეოთხე პუნქტები) ითვალისწინებს ამ ნივთების კონფისკაციას, ერთი, როცა დანაშაულის იარაღს წარმოადგენდა და მეორე, როცა დანაშაულებრივი გზით იყო შექმნილი.

მაინც რა მიეკუთვნება კონკრეტულად დანაშაულის იარაღს?

**დანაშაულის იარაღს**, პირველყოვლისა, მიეკუთვნება ცეცხლსასროლი იარაღი, აგრეთვე ცივი იარაღი, რომელიც განზრახი დანაშაულის ჩასადენად იყო გამოყენებულ (მკვლელობა, სხეულის დაზიანება და სხვა); სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოყენებული იქნა განზრახ დანაშაულის ჩადენის, მისი გაადვილების ან დაფარვის მიზნით; **ტექნიკური საშუალებები**, რომლის გამოყენებით დამნაშავე ახერხებს დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას (მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და სხვა); **ფული თუ სხვა ძვირფასეულობა**, როცა მას იყენებენ დანაშაულის ჩასადენად; სხვა საგნები, რომელთა დახმარებით დამნაშავე აღწევს დანაშაულის ჩადენას ან ფარავს ჩადენილ დანაშაულს.

დანაშაულის იარაღის დასახელება და მისი ბედის გადაწყვეტა საკმაოდ ხშირად, პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის კანონში და ამ დროს, შედარებით იოლი გადასაწყვეტია მისი კონფისკაცია. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის ცხრამეტ მუხლში მითითებულია დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების კონფისკაციის შესახებ. აქედან, მეცხრე მუხლში უშუალოდ დანაშაულის იარაღია მოხსენებული, ხოლო ათი მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენით შექმნილი საგნების კონფისკაციას, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლი, რომელიც საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევას ეხება, ძირითად სასჯელთან ერთად, ალტერნატიული წესით ადგენს საპაერო ხომალდის კონფისკაციასაც; 172-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას აკრძალული ძაწეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის (აკრძალული რეწვა), პირველ ნაწილში სასჯელთან ერთად მიუთითებს დამზადებულ პროდუქციის, წარმოების იარაღებისა და ნედლეულის კონფისკაციაზე; 174-ე მუხლი (უკანონოდ გზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა) ადგენს ავტომანქანის კონფისკაციას ალტერნატიული წესით; 175-ე მუხლი, თევზისა და სხვა მოპოვებითი სარეწების უკანონო წარმოებისათვის, ძირითად სასჯელთან ერთად ითვალისწინებს მთელი მოპოვებული პროდუქციისა და საჭერი იარაღის კონფისკაციას; 177-ე მუხლი (უკანონო ნადირობა) ადგენს ნანადირევის, თოფისა და სხვა სანადირო საშუალებების კონფისკაციას; 225-ე მუხლი, რომელიც ეხება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სავაჭრო გემზე სახელმწიფო აღმის უკანონო აღმართვისათვის, ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთასთან

ერთად, ადგენს ალტერნატიული წესით გემის კონფისკაციას; 232-ე მუხ-  
ლი ითვალისწინებს პორნოგრაფიული საგნებისა და მათ დასამზადებელ  
ალეხათა კონფისკაციას.

ცხადია, ყველა დანაშაულზე არ შეიძლება კანონში იქნეს მითითებული  
რა წარმოადგენს დანაშაულის იარაღს და როგორ გადაწყდეს მისი ბედი. ბევრ  
შემთხვევაში ეს არც არის საჭირო. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღით და-  
ნაშაულის ჩდენისას ადვილი საგულისხმებელია, რომ ეს იარაღი დანაშაულის  
იარაღს წარმოადგენს და მისი ბედის გადაწყვეტაც არ არის რთული.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სატრანსპორტო საშუა-  
ლებების მიმართ.

სასამართლოების პრაქტიკაში რთული გადასაწყვეტია საკითხი, ჩაითვალოს  
თუ არა სატრანსპორტო საშუალება დანაშაულის იარაღად და მოხდეს თუ არა  
მისი კონფისკაცია. კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკაც გამოდიან იქი-  
დან, რომ სატრანსპორტო საშუალება დანაშაულის იარაღად შეიძლება ჩაითვა-  
ლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დადგინდება, რომ ის უშუალოდ იყო  
გამოყენებული დანაშაულის ჩადენის პროცესში დანაშაულებრივი შედეგის მი-  
ზნის მისაღწევად, ე. ი. ისეთი მოქმედების შესასრულებლად, რაც ქმნის დანაშა-  
ულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს<sup>3</sup>.

საკითხის სირთულით აიხსნება ის გარემოება, რომ უმაღლესი სასა-  
მართლოების პლენუმებიც ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვის სასა-  
მართლო პრაქტიკის შესწავლის დროს განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურად-  
ღებას ამ საკითხზე და აძლევენ სასამართლოებს შესაბამის განმარტებებს.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ შემთხვევაში ავტომანქანის გამოყე-  
ნების ხასიათს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პროცესში.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეთა სასამართ-  
ლო პრაქტიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972  
წლის 11 ივლისის დადგენილების 26-ე პუნქტში მითითებულია, რომ „ავტო-  
მობილები, მოტოციკლები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც  
ეკუთვნის გატაცებისათვის პასუხისგებაში მიცემულ პირებს, რსფსრ სსკ 86-ე  
მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლე-  
ბის შესაბამისად, ექვემდებარება კონფისკაციას იმ შემთხვევაში, თუ ისინი  
გამოყენებული იქნა ქონების ამოღების ან დაუფლების პროცესში და ცნო-  
ბილი იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღად“<sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, პლენუმი ხაზს უსვამს, რომ სატრანსპორტო საშუალება  
გამოყენებული უნდა იქნეს გასატაცებელი ქონების ამოღების ან დაუფლების  
დროს. თუ, მაგალითად, ავტომანქანა გამოყენებული იქნა მას შემდეგ, რაც უკვე  
დამთავრდა ქონების გატაცება, ამ ქონების გადასატანად, ის არ შეიძლება ჩა-  
ითვალოს დანაშაულის იარაღად და მისი კონფისკაცია კანონიერი არ იქნება.  
სწორია დასკვნა იმის შესახებ, რომ „მთავარ კრიტერიუმს, რომლითაც ავტო-  
მანქანები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები შეიძლება მიეკუთვნოს დანა-  
შაულის იარაღს, წარმოადგენს, ჯერ ერთი, ამ საგნების გამოყენება უშუალოდ  
დანაშაულის განხორციელების პროცესში დანაშაულებრივი შედეგის მიზნის

<sup>3</sup> Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1975, № 6, с. 14.

<sup>4</sup> Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, М., 1987,  
с. 613.

ბისაღწევად, ე. ი. ხელყოფის დაწყების შემდგომ პერიოდში მის სრულ დაძოვრებადღე, და მეორეც, მათი ისეთი გამოყენება, რომლითაც დამნაშავემ განაჩორციელა ქმედება, რომელიც შეიცავს ამ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს<sup>5</sup>.

კონკრეტულად, გატაცების საქმეებზე ავტომანქანა დანაშაულის იარაღად შეიძლება ჩავთვალოთ, როცა იგი გამოყენებული იქნა დამნაშავეის მიერ უშუალოდ მატერიალურ ფასეულობათა სხვისი მფლობელობიდან ამოღების და თავის მფლობელობაში გადასვლის დროს ანდა იმ წინააღმდეგობათა დასაძლევად, რაც ხელს უშლიდა ამ ქონების დაუფლებას (მაგალითად, საცავის შემტვრევა ამ ავტომანქანის დაზიანებით და სხვა).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1984 წლის 15 ნოემბრის დადგენილებაში „აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში და ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების სახელმწიფო, სახელშეკრულებო შრომის დისციპლინის დაცვის შესახებ“ სპეციალურად გაამახვილა სასამართლოების ყურადღება იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატაცების საქმეთა განხილვისას გაირკვეს, ხომ არ იყო გამოყენებული დამნაშავეთა კუთვნილი ავტომანქანები, მოტოციკლები თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებები ჩადენილი დანაშაულის იარაღად და გადაწყვიტონ მათი კონფისკაციის საკითხი სსკ 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად<sup>6</sup>.

ავტოსატრანსპორტო შემთხვევების დროს, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, სატრანსპორტო საშუალება შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის იარაღად ნხოლოდ მაშინ, როცა ის განზრახი დანაშაულის ჩასადენად იქნა გამოყენებული. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1969 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებაში განმარტა, რომ სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მსჯავრდებულს ეკუთვნის პირადი საკუთრებით, სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად, კონფისკაციას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი გამოყენებული იქნა როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაულის, ანდა გატაცების ჩადენის საშუალება. დამნაშავეის ქმედების მხოლოდ რსფსრ სსკ 211-ე მუხლით (საქართველოს სსკ 241-ე მუხლი) დაკვალიფიცირების დროს კი სატრანსპორტო საშუალების დანაშაულის იარაღად ცნობა და კონფისკაცია არ დაიშვება<sup>7</sup>.

რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების უკანონოდ გამოყენებას გამორჩენის მიღების მიზნით, როგორც ზემოთაც იყო მითითებული, მისი როგორც დანაშაულის იარაღის კონფისკაცია პირდაპირ არის მითითებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას უკანონოდ მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის განმეორებით შემთხვევაში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მუხლის ძველი რედაქცია არ ითვალისწინებდა ავტომანქანის კონფისკაციას, მხოლოდ 1964 წელს შეტანილი ცვლილებებით დაემატა ეს სანქცია ალტერნატიულად ამ მუხლს, ალტერნატიული სახით

<sup>5</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1985, № 1.

<sup>6</sup> И. М. Гальперин, Ю. В. Мельникова, Дополнительные наказания, М., 1981, с. 61.

<sup>7</sup> Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1970, № 1; 1971, № 4; 1986, № 4.

ამ სანქციის შემოღება საგნებით გამართლებულია, რამდენადაც, თავისთავად, ეს დანაშაული, თავისი ხასიათით ყოველთვის არ წარმოადგენს ისეთ სანჯგა-დობრივ საშიშროებას, რომ აუცილებელი იყოს მისი ჩამდენი პირის კუთვნი-ლი ავტომატური ყველა შემთხვევაში კონფისკაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ბუნების დაცვის კანონ-მდებლობის გამოყენების პრაქტიკასთან დაკავშირებით მიღებულ 1983 წლის 7 ივლისის დადგენილებაში მიუთითა, რომ უკანონო ნადირობის, თევზისა და სხვა მოპოვებით სარეწების უკანონო წარმოების, ტყის უკანონო გაჩეხვის საქ-მეებზე მსჯავრდებულთა კუთვნილი დანაშაულის იარაღი, მათ შორის, ავტო-მანქანები, მოტოციკლები, ნაგები და სხვა სატრანსპორტო და მცურავი საშუა-ლებები, რომელთა დახმარებით მათ ჩაიდინეს ან გაიადვილეს დანაშაულებრი-ვი ქმედება (დაიჭირეს თევზი, დაჭრეს მხეცები და ა. შ.) ექვემდებარება კონ-ფისკაციას რსფსრ სსსკ 86-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ წესსაბამისი მუხლების საფუძველზე<sup>8</sup>.

ფული და სხვა ძვირფასეულობა დანაშაულის იარაღად შეიძლება ჩაითვა-ლოს მხოლოდ მაშინ, როცა ის გამოყენებული იქნა დანაშაულის ჩასადენად, გასაადვილებლად ან დასაფარავად. მაგალითად, როცა ფული თუ სხვა ფასეუ-ლობა გამოყენებული იყო ქრთამის სახით გადასაცემად, ის ჩაითვლება დანაშა-ულის იარაღად, მაგრამ, როცა ეს საგნები უკვე მიიღო ქრთამის ამღებმა, უკვე აღარ წარმოადგენს დანაშაულის იარაღს, ის არის დანაშაულებრივი გზით შე-ძენილი ქონება და მათი ბედი გადაწყდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის არა პირველი, არამედ მეოთხე პუნქტით, ე. ი. მექრთა-მეობის საქმეებზე ნივთმტკიცების სახით დართული საგნების — ფულისა და სხვა ფასეულობათა ბედის გადაწყვეტის დროს საჭიროა გაეარკვიოთ ეს საგნები უკვე გადაეცა თუ არა ქრთამის ამღებს. თუ უკვე მოხდა ამ საგნების ქრთამის ამღებზე გადაცემა, ისინი უნდა ჩავთვალოთ როგორც დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება და ჩაირიცხოს სახელმწიფო შემოსავალში ზემოაღნიშნუ-ლი 77-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ხოლო როცა ეს საგნები ჯერ არ გადაუციათ ქრთამის ამღებისათვის და ამოღებული იქნა ქრთამის მიმცემისა-გან, რომელსაც უნდა გამოეყენებინა როგორც ქრთამის იარაღი, მაშინ უკვე ეს საგნები კონფისკაციაქმნილი იქნება იგივე 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, არ შეიძლება ზაზი არ გავუსვათ სისხლის სამართლის პროცესუალურ ლიტერატურაში გა-ნოთქმული მოსაზრების უზუსტობას, როცა ქრთამის საგნებს ყოველთვის და-ნაშაულის იარაღს მიაკუთვნებენ<sup>9</sup>, აგრეთვე მექრთამეობის საქმეებზე სსრ კავ-შირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებში ამ საკითხის სი-ზუსტეს მოკლებულ განმარტებებს. კერძოდ, პლენუმის როგორც ძველი, ისე 1990 წლის 30 მარტის დადგენილებაში, როცა ლაპარაკია საქმეზე დართული ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტაზე, განმარტებულია, რომ ამოღებული ფუ-ლი და სხვა ფასეულობა, რომელიც ქრთამის საგანს წარმოადგენს და ცნობი-ლია ნივთიერ მტკიცებულებად, ექვემდებარება სახელმწიფო შემოსავალში გა-

<sup>8</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1983, № 4; 1986, № 2; 1986, № 3.

<sup>9</sup> Комментарий к УПК РСФСР, М., 1982, с. 118.

დაცემას რუსეთის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რუს-  
პუბლიკებზე შესაბამისი მუხლების მე-4 პუნქტის საფუძველზე<sup>10</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ქრთამის საგანი შეიძლება იყოს როგორც დანაშაულის იარაღი, ისე დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება. ე. ი. მისი ბედ-  
უნდა გადაწყდეს საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის ხან პირველი და ხან  
მეოთხე პუნქტის საფუძველზე. ასეთი სიზუსტის დაცვა საჭიროა როგორც კა-  
ნონის მეცნიერული კომენტარის, ისე უმაღლესი სასამართლო ორგანოს განმარ-  
ტების დროს.

სხვათა შორის, მექრთამეობის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასა-  
მართლოს პლენუმის ადრე მოქმედი დადგენილების მე-12 პუნქტი, რომელიც  
შეეხებოდა ნივთმტკიცების ბედის გადაწყვეტას, სხვა უზუსტობასაც შეიცავდა.  
კერძოდ, ამ მუხლის მესამე ნაწილი მიუთითებდა, რომ როცა ქრთამის მიმცე-  
ის მიმართ ადგილი ჰქონდა გამოძლვას და ის ნებაყოფლობით განაცხადებდა  
ამის შესახებ ქრთამის გადაცემამდე, ფული და სხვა ფასეულობა, რაც მას  
ქრთამის სახით უნდა გადაეცა, უბრუნდებოდა მას. ეს განმარტება იყო არასწორი,  
რამდენადაც მიგვანიშნებდა, რომ თითქოს ასეთ პირებს დანაშაული არ ჰაუდე-  
ნიათ. ეს პრაქტიკაში ზოგჯერ ქრთამის პროვოკაციის საფუძველიც ხდებოდა,  
რამდენადაც ცრუ დამსმენ პირს აღარ ეშინოდა თითქოსდა ქრთანად გადასაცემი  
ფულის დაკარგვის. აღნიშნული ნაკლი საფუძველიანად გაასწორა ამ კატეგორიის  
საქმეებზე მიღებულმა პლენუმის ახალმა დადგენილებამ, რომლის მე-20  
პუნქტში პირდაპირ ჩაიწერა, რომ ქრთამის მიმცემ პირებს არც ერთ შემთხ-  
ვევაში არა აქვთ უფლება, პრეტენზია განაცხადონ ქრთამის სახით გადაცემულ  
ფასეულობაზე<sup>11</sup>.

საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მეორე პუნქტი ეხება ნივთებს, რო-  
მელთა ბრუნვაში მოქცევა აკრძალულია. ასეთი ნივთებია: ფეთქებადი და რა-  
დიოაქტიური ნივთიერებები, იარაღი, რადიოგადამცემი და გასამრავლებელი  
აპარატები, რომლებიც სათანადო წესით არ არის რეგისტრირებული; ძლიერ-  
მოქმედი, მომწამლავი და ნარკოტიკული ნივთიერებები, რომლებიც სპეციალური  
ნებართვის გარეშე ან დადგენილი წესების დარღვევით ინახება; ოქრო, ვერ-  
ცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონი მონეტებში, გადაუმუშავებელი  
სახით და ზოდებად: უცხოური ვალუტა; უცხოური საფონდო ღირებულებანი,  
სხვა საგნები, რომელთა შეძენის სპეციალური წესებია დადგენილი მათი გან-  
საკუთრებული მნიშვნელობის გამო; გასავრცელებლად აკრძალული ლიტერა-  
ტურა, პორნოგრაფიული გამოსახულებანი და სხვა.

როცა აღნიშნული საგნები გამოყენებული იქნა, როგორც დანაშაულის  
იარაღი, ისინი კონფისკაციაქმნილი იქნება საპროცესო კოდექსის 77-ე მუხ-  
ლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, როცა დადგინდება, რომ ეს საგნები  
დანაშაულებრივი გზით იქნა შეძენილი, მოხდება მათი კონფისკაცია და სა-  
ხელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვა ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველ-  
ზე, მაგრამ თუ არც დანაშაულის იარაღად ყოფილა ისინი გამოყენებული და  
არც დანაშაულებრივი გზით შეუძენიათ და საერთოდ მათი შეძენა და შენახვა  
არ ქმნის დანაშაულის შემადგენლობას, ეს ნივთები უბრალოდ გადაეცემა შე-  
საბამის დაწესებულებებს ანდა განადგურებული იქნება. ასეთ შემთხვევაში

<sup>10</sup> Советская Юстиция, 1990, № 13, с. 26.

<sup>11</sup> Советская Юстиция, 1990, № 13, с. 26.



გამორიცხული არ არის ამ ნივთების შეპატრონეს დადგენილი წესით აუნაზღაურდეს მათი ღირებულება. თუ ასეთი ანაზღაურება არ ხდება, ეს ნივთები არ უნდა იქნეს განადგურებული და უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს შესაბამის დაწესებულებებს, ეს უკვე არის ამ ნივთების კონფისკაცია. ეს არის ნამდვილი პროცესუალური კონფისკაცია, რომელიც ხორციელდება საპროცესო კანონის შესაბამისად.

ალექსანდრე კვაშილავა

ლევან კვაშილავა

## სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კონტრაბანდისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, კონტრაბანდა მიეკუთვნება არა „განსაკუთრებით საშიშ“ არამედ „სხვა სახელმწიფო დანაშაულთა“ რიცხვს. ადგილი, რომელიც ამ დანაშაულს უკავია კოდექსში, დავას არ იწვევს, რადგანაც იგი მოთავსებულია ისეთ მძიმე დანაშაულთა შორის, როგორცაა ბანდიტიზმი, მასობრივი არეულობა, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება და სხვა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად, საქართველოში კონტრაბანდასთან ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პირადი გამდიდრებით დაინტერესებულ ზოგიერთ პირს გააქვს რესპუბლიკიდან ყველაფერი, რაც რესპუბლიკის მოსახლეობას სჭირდება. გამორიცხული როდია ამ დანაშაულში იმ პირთა მონაწილეობაც, რომლებიც ხელისუფლებისადმი მტრული ინტერესით, აუცილებელი მოთხოვნილების საგნებზე დეფიციტს ქმნიან საზოგადოებაში უკმაყოფილების გამოწვევისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენების მიზნით. ეს ამჟამად კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს, მაგრამ ყველაზე უფრო ბრძოლის გაძლიერების მოთხოვნას, დღეისათვის მაინც, საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესები აძლიერებს. განსაკუთრებით კვების პროდუქტების, ზოგიერთი ნედლეულის და სხვა ფასეულობათა გატანა, რომლებზეც ჩვენთან მწვავე მოთხოვნილებაა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აყენებს პატროსან ადამიანებს. ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ საქონლის უკანონოდ შემოტანა თითქოს დასაშვებია იყოს. ჯერ ერთი, საზღვარგარეთ უფასოდ არავინ არაფერს იძლევა და იქიდანაც საქონლის შემოტანა ხდება რესპუბლიკიდან ფარულად

გატანილი, აქ გადგეფიციტებული ფასეულობის ხარჯზე. მეორე, საერთოდ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, დაუშვებლად მიგვაჩნია უკონტროლოდ მდგომარეობაში და რა მიზნით. ეს კონტროლი უკავშირდება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესებს.

1991 წლის 2 აგვისტოს კანონით საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის პირველ თავში არსებითი და უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ამჟამად საუბარი გვექნება იმ ცვლილებებზე, რომლებიც ვანიცადა ნორმებმა კონტრაბანდის შესახებ.

კანონის მიხედვით, კონტრაბანდის შემადგენლობა გადმოცემულია როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე საქონლის ან სხვა ფასეულობათა უკანონოდ გადატანა-გადმოტანა, ჩადენილი სპეციალურ საცავებში საგნების დამალვით ან საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებით, ანდა დიდი ოდენობით, ან კონტრაბანდის გასაწევად ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ, ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

იმისათვის, რომ პირი მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში კონტრაბანდისათვის, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის I ნაწილით, საჭიროა საქონლის, ე. ი. გასაყიდად გამზადებული ფასეულობის, პროდუქტების, ნივთების, ნებისმიერი ქონების, რომლის საქართველოს საზღვარზე გადატარება აკრძალულია, ამ საზღვარზე უკანონო გადატანა ან გადმოტანა. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს საქართველოდან გატანას ექნება ადგილი, თუ საქართველოში შემოტანას. საკმარისია საქართველოს საზღვარზე უკანონოდ მატერიალური ფასეულობის გადატარება ნებისმიერი მიმართულებით. კანონის მიხედვით, მნიშვნელობა არა აქვს თურქეთში იქნება ქონება გატანილი, რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში თუ სხვაგან ან პირიქით, რომელი ქვეყნებიდან იქნება იგი შემოტანილი და რა ტრანსპორტით: თვითმფრინავით, ავტომანქანით, გემით, მატარებლით, თუ სხვა საშუალებით. შეიძლება კონტრაბანდის საგანი შემოტანილი ან გატანილი იქნეს ტრანსპორტის გარეშეც, ჩემოდნით, ან ჯიბით და ა. შ. ამ განსაზღვრების მიხედვით, დანაშაულია როგორც უკანონოდ გატანა ნებისმიერი ქონებისა, ისევე უკანონო შემოტანა. ჩვენი აზრით, სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს კანონით დადგენილ სხვა გარემოებებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს, რა საქონლის, რა მიზნით და რა ვითარებაში გატანამ როგორი ზიანი მიაყენა საქართველოს სახელმწიფოს, საზოგადოებრივ და მოქალაქეთა კანონით დაცულ ინტერესებს. და აქედან გამომდინარე — დანიშნოს სასჯელი. ამის საშუალებას კანონი იძლევა, რადგან სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით. რაც შეეხება 79-ე მუხლის მეორე ნაწილს, ის ითვალისწინებს ცალკე, განსაკუთრებით გამოყოფილი საგნების კონტრაბანდას, რის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება მსჯელობა. ქმედობის 79-ე მუხლის პირველი ნაწილით კვალიფიციტებისათვის საჭიროა:

— საქონლის ან სხვა ფასეულობის (გარდა ამავე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული ნივთიერებებისა, იარაღისა და მასალებისა) გადატანა ან გადმოტანა საქართველოს საზღვარზე, ე. ი. სასაზღვრო ხაზზე ნებისმიერი მიმართულებით ქონების გადატარება;

— სასაზღვრო ხაზზე ქონების გადატანის ან გადმოტანის (გადატარების) აკრძალვა, ე. ი. ქონების სასაზღვრო ხაზზე გადატარება უნდა იყოს აკრძალული

საბაჟო კოდექსით ან კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული სხვა რომელიმე აქტით. ამჟამად მოქმედებს 1991 წლის 15 სექტემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 16 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გადატანის აკრძალვის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის, ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის ლიცენზიის გაცემის წესის შესახებ“; საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 3 სექტემბრის საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ნუსხა პროდუქტებისა, რომელთა გატანა საქართველოს რესპუბლიკის გარეთ აკრძალულია 1991 წლის 3 სექტემბრიდან 1992 წლის იანვრამდე; საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის და სამრეწველო საქონლის გატანის რეგულირების დროებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 18 სექტემბრის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ამ დადგენილების დანართი — საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასატანი ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნუსხა, რომელთა გატანა დროებით შეიძლება მხოლოდ ლიზენციით. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ დროებით მხოლოდ ლიცენზიით შეიძლება გატანილი იქნეს შემდეგი სახის ნედლეული, სასურსათო და სამრეწველო საქონელი: ალკოჰოლიანი სასმელები, ხილის წვენები, ხილის კომპოტები, ჩაი, მინერალური წყლები, თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნაწარმი, ციტრუსები, ვაშლი, ხილის კონცენტრატები, ნაყენები (სპირტიანი და სხვა), ბავშვთა კვების პროდუქტები, ბოსტნეული, მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, ფუტკრის შხამი და სხვა), ბამბუკის შოლტები, ეთერზეთოვანი პროდუქტია, სამკურნალო მცენარეები, მედიკამენტები, კერამიკული ნაწარმი, საყოფაცხოვრებო სამზარეულო მოწყობილობანი, სანტექნიკური ნაწარმი, კერამიკული მოსაპირკეთებელი ფილები, მეტლახის ფილები, ლინოლეუმი, ბაზალტის, მარმარილოს, გრანიტის, ტუფის, ეკლარის და ნიჟაროვანი ფილები, რბილი სახურავი (რუბეროიდი, პერგამინი), პლასტმასის მილები, ხარისხოვანი ჭურჭელი, ლითონის ჭურჭელი, დიატომიტი, ტექნიკური აგატი, ტექნიკური ნაწარმი პოლიეფირული ბეტონისაგან, მარგანეცის მადანი, სპილენძი, კვარციტები, დარიშხანი, თუთია, ტყვია, მარმარილო, გრანიტი, ბაზალტი და სხვა, ქვანახშირი, მინერალური სასუქები, კოშკური ამწეები, ავეჯი, ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ნაწარმი, ნართი და ძაფები, სათამაშოები, ტელევიზორები, პიანინო, საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტია, ლოგინისა და სუფრის თეთრეული, სასკოლო-საკანცელარიო საქონელი, სამეურნეო ინვენტარი და მცირე მექანიზაციის საშუალებები. რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, ლითონის ნაირსახეობა (ლურსმანი, ფურცლოვანი ფოლადი, ფოლადის სახურავი), აზბესტოშიფერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 3 სექტემბრის № 22 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ნუსხაში შეტანილი პროდუქტების დასახელება, რომელთა გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ 1991 წლის 5 სექტემბრიდან 1992 წლის იანვრამდე აკრძალულია. ამ პროდუქტებს მიეკუთვნება შემდეგი: რძე და რძის ნაწარმი, ცოცხალი პირუტყვი და ფრინველი, ხორცი და ხორცის ნაწარმი, აბრეშუმის პარკი, მატყლი, ბოსტნეულის კონსერვი, კარტოფილი, ხახვი, მარცვლეული ბურღული, ბრინჯი, კალცი-ნირებული სოდა, ფქვილი, მკარონის ნაწარმი, მცენარეული ზეთი, შაქარი, თევზი და თევზის პროდუქტები, ცემენტი, ყველა სახის აგური, კრამიტი, წვრი-ლი საკედლე ბლოკი, კირი, თაბაშირი, ხე-ტყე (მორები, ხის სხვადასხვა მასალა, დაწნეხილი ფილები, პარკეტი), ბაზალტის, მარმარილოსა და ტუფის ბლოკები, ტყავნედლეული, ნავთობპროდუქტები. გარდა შემკვეთის (რესპუბლიკის ფარგ-ლებს გარეთ მყოფი) ნედლეულითა და მასალით დამზადებული პროდუქციისა. რომლის გატანაზეც ლიცენზიას გასცემს მატერიალური რესურსების სამინისტ-რო. კანონის ეს მოთხოვნები სახეზე უნდა იყოს კონტრაბანდის ყველა შემთხ-ვევაში. თუ რომელიმე დასახელებული მოთხოვნა სახეზე არ არის, კონტრაბან-დად ქმედობა არ უნდა დაკვალიფიცირდეს, ჩვეულებრივი კონტრაბანდა. ე. ი. სასაზღვრო ხაზზე ქონების გადატანა ან გადმოტანა უკანონოდ, თუ ამ ქონების რაოდენობა და მისი საცალო სახელმწიფო ფასი აღემატება ოდენობას, გათვა-ლისწინებულს კოდექსით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, მაგრამ, როცა ქონება დიდი ოდენობის არ არის, ქმედობა უნდა დაკვალიფი-ცირდეს, როგორც კონტრაბანდა, ამასთან, კანონის შინაარსის მიხედვით, საჭი-როა, რომ ქმედობა ჩადენილი იყოს საცავეებში საგნების დამალვით ან ყალბი დოკუმენტების გამოყენებით. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ ზემოაღნიშ-ნულ ჩვეულებრივ (ზოგჯერ მას უბრალო, არაკვალიფიცირებულ კონტრაბანდას უწოდებენ) კონტრაბანდაზე. რაც შეეხება კონტრაბანდას დიდი ოდენობით, კონტრაბანდას, ჩადენილს ორგანიზებულ პირთა ჯგუფის ან თანამდებობის პი-რის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აღნიშნული დანაშა-ულის ამ სახეებისათვის კანონი არ ითხოვს არც საგნების საცავეებში დამალვას და არც საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებას. კონტ-რაბანდის ამ სახეებისათვის საემარისია სასაზღვრო ხაზზე საქონლის ან სხვა დასეულობათა (ფულის, ძვირფასი ლითონის, ძვირფასი ქვების და სხვა ქო-ნების) უკანონოდ გადატანა ან გადმოტანა. არ არის სავალდებულო, რომ გა-დატანა და გადმოტანა მოხდეს საბაჟო პუნქტის გავლით, არა აქვს მნიშვნელობა სასაზღვრო ხაზის რომელ მონაკვეთზე ექნება ადგილი დიდი ოდენობით სა-კონტრაბანდო საგნების გადატანას, ამ დანაშაულის ჩადენას ორგანიზებულ პირთა ჯგუფისა თუ თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეო-ბის გამოყენებით. შეიძლება ეს მოხდეს საბაჟო პუნქტში, მის ფარგლებს გა-რეთ და სასაზღვრო ხაზის საერთოდ დაუცველ მონაკვეთზე. მაგალითად, შეიძ-ლება — მდინარეში, ზღვაში, ყველგან, სადაც საზღვარი გადის, რაც შეეხება კონტრაბანდას, ჩადენილს საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენებით, აღნიშნული დანაშაულის ამ სახეს ძირითადად ადგილი აქვს სა-ბაჟო პუნქტებზე, მაგრამ მისი ჩადენა შესაძლებელია აგრეთვე სასაზღვრო ხაზის დაცულ მონაკვეთზეც. რაც შეეხება სპეციალურ საცავს, მისი გამოყე-ნების სფერო ვრცელია. შესაძლებელია შემთხვევა, რომ კონტრაბანდისტებმა


მოილაპარაკონ, დათქვან დრო, პირობები, ადგილი, ერთდროულად მიუახლოვდნენ სასაზღვრო ხაზს და მდინარის მეშვეობით სპეციალურ საცავში მდინარეზე მდებარე საკონტრაბანდო საგანი გადასცენ ერთმანეთს. მდინარეს მისი დინების მიმართულებით ტვირთის გადატანის თვისება აქვს და ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონტრაბანდისთვისაც. არც თეორიულად და არც პრაქტიკულად გამორიცხული არ არის, რომ საგნები გადააცურონ მდინარეზე.

კონტრაბანდა რომ თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილად ჩაითვალოს, საჭიროა არა მარტო ის, რომ აღნიშნული პირის მდგომარეობა შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მოთხოვნებს, არამედ მას უნდა შეეძლოს სამსახურებრივად ზეგავლენის მოხდენა საბაჟოს თანამშრომლებზე ან საზღვრის დამცველებზე. ასეთ პირებს შეიძლება მიეკუთვნონ საბაჟოსა და მესაზღვრეების საქმიანობის მაკონტროლებელი თანამდებობის პირები, ან სასაზღვრო ნაწილების მეთაურები და სხვა პირები, რომლებსაც უფლება აქვთ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვა საბაჟოს თანამშრომლებისა და მესაზღვრეების მეშვეობით, მათი შეცდომაში შეყვანით, მითითებით, განკარგულებით ან სხვა გზით, ოღონდ, საბზე უნდა იყოს ერთი აუცილებელი გარემოება. კერძოდ, კონტრაბანდის საგნის უკანონოდ გადატანა ან გადმოტანა საზღვარზე, მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და შედეგს შორის.

რაც შეეხება თვით საბაჟოს მუშაკებსა და მესაზღვრეებს, ისინი უდავოდ შეიძლება წარმოადგენდნენ კონტრაბანდის ამ სახის სუბიექტებს.

კონტრაბანდისათვის ორგანიზებულ პირთა ჯგუფად უნდა ჩაითვალოს ორი და მეტი პირი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან კონტრაბანდის ჩადენის მიზნით. მათ შორის შეიძლება სხვა კავშირიც იყოს (ნათესაური, სამსახურებრივი, მეგობრული და ა. შ.), მაგრამ სხვა კავშირის არსებობა არ გამორიცხავს კონტრაბანდის ჩასადენად ორგანიზებულ დანაშაულებრივ კავშირში ყოფნას. აქ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა როლს ასრულებს ჯგუფის წევრი კონტრაბანდის ჩადენაში, შევიდა თუ არა ის ამ ჯგუფში მოცემული დანაშაულის სისტემატურად ჩადენის მიზნით, რა როლენობის საქონლის კონტრაბანდას ითვალისწინებს ჯგუფი, რა არის ამის შესახებ ცნობილი მისი წევრებისათვის და კონტრაბანდასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები. ამ დანაშაულის ჩადენა სისტემატურად ან დიდი ოდენობით ჯგუფის ორგანიზებულად ცნობისათვის საგალღებულო არ არის.

კონტრაბანდის ჩადენის მიზნით, ორგანიზებულმა ჯგუფმა შესაძლოა ვერ მოასწროს ამ დანაშაულის ჩადენა ერთზე მეტად და ისიც არა დიდი ოდენობით, შესაძლოა აგრეთვე ჯგუფი იყოს ორგანიზებული კონტრაბანდის ერთხელ ჩადენის მიზნით, ამ დანაშაულის ჩადენა სისტემატურად ან დიდი ოდენობით მოითხოვს უფრო მჭიდრო დანაშაულებრივ კავშირს და მეტ ორგანიზებულობას. ამიტომ ამ ფაქტორების გათვალისწინებლობას შეიძლება მოჰყვეს ორგანიზებულობის, სიმტკიცისა და დანაშაულის სიმძიმის არასწორი შეფასება, რაც უკავშირდება სასჯელის განსაზღვრის კანონიერებას, სამართლიანობასა და მიზანშეწონილობას. ამიტომ ამ გარემოებების შესწავლასა და სწორად შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჯგუფს, კონტრაბანდისათვის ორგანიზებული შეიძლება ეწოდოს, ჩვენი აზრით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრების ერთობლივი შესაძლებლობები მიმართულია კონტრაბანდის საგნების საზღვარგარეთ გატანის ან საზღვარგარეთიდან შემოტანის უზრუნველყოფისაკენ. რო-



ლების განაწილების შემთხვევაში, ორგანიზებული ჯგუფის ყველა წევრი მუდმივად შეიძლება ან უმოქმედობა (საბაჟო მუშაკის და სხვა პირების) ერთობლივად უნდა იძლეოდეს კონტრაბანდის დასრულებულ სახეს.

ბრალის ფორმის მიხედვით სახეზე უნდა იყოს მხოლოდ პირდაპირი განზარაზხვა: თუ მესაჭურვე ყიდის თავის ქონებას პირზე, რომელსაც ეს ქონება უკანონოდ გააქვს საზღვარგარეთ და ამის შესახებ იცის გამყიდველმა, რომელიც მხოლოდ თავისი ქონების გაყიდვითაა დაინტერესებული, მისი მოქმედება არ ქმნის დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში მსჯელობა შეიძლება მხოლოდ განუცხადებლობაზე, მაგრამ ამ დანაშაულის განუცხადებლობაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ არის კანონით გათვალისწინებული.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ფეთქებადი, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების, იარაღის, საბრძოლო მასალისა და სამხედრო საჭურველის კონტრაბანდისათვის ცალკეა გამოყოფილი და გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მეორე ნაწილით. რომელიც საკავშირო ნორმაა. იგი სიტყვასიტყვით უცვლელად იყო შეტანილი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში, ერთი ნაწილისაგან შედგებოდა და არ ყოფილა ცალკე გამოყოფილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აღნიშნული საგნებით კონტრაბანდისათვის. სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე. საქართველოს ახალი კანონით 79-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ხოლო მეორე ნაწილი— თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით. სანქციებიდან ამოღებულია გადასახლება, ხოლო პასუხისმგებლობა ცალკეული საგნების კონტრაბანდისათვის გაძლიერებულია. ნაცვლად თავისუფლების აღკვეთისა სამიდან ათ წლამდე, დადგენილია სასჯელი ათიდან თხუთმეტ წლამდე. რაც შეეხება ქონების კონფისკაციას, მას ითვალისწინებს როგორც ძველი, ისე ახალი კანონი.

79-ე მუხლის მეორე ნაწილით ქმედობის კვალიფიკაციისათვის საჭიროა დადასტურდეს საქართველოს საზღვარზე იმ ფასეულობათა უკანონოდ გადატარება (გადატანა ან გადმოტანა), რომლებიც ჩამოთვლილია ამ მუხლის აღნიშნულ ნაწილში. მნიშვნელობა არა აქვს ჩამოთვლილი ნივთიერებების, იარაღის, მასალებისა და საჭურველის ოდენობას. საკმარისია იყოს არა იმდენად მცირე, რომ საქართველოს სსკ მე-8 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, არ ქმნიდეს საზოგადოებრივ საშიშროებას. მაგალითად, თუ პირმა საზღვარზე გადაიტანა ან შემოიტანა ცეცხლსასროლი იარაღის ერთი ცალი ვაზნა, მას ჩვენი აზრით, ვერ დაედება ბრალი კონტრაბანდის ჩადენაში. ასევე არ არის აუცილებელი, რომ 79-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული კონტრაბანდა ჩადენილი იყოს ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ, თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებით.

აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხერხებით იმ სახის კონტრაბანდის ჩადენა არ შეიძლებოდეს, რომელზეც მიმდინარეობს მსჯელობა. მისი ჩადენა შეიძლება 79-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლი-

ლი ყველა ხერხით. მაგრამ ეს აუცილებელი პირობა არ არის. საკმარისი იქნება მუხლის მეორე ნაწილში მითითებული ფასეულობების უკანონო გადატანა ან გადმოტანა საქართველოს საზღვარზე. მაგალითად, სახეზე იქნება კონტრაბანდა, თუ პირი დანაშაულებრივ კავშირში შევა მესაზღვრეებთან და გაიტანს ან შემოიტანს საგანს, რომლის გატანა ან შემოტანა აკრძალულია. იგივე დანაშაული იქნება სახეზე თუ პირი ისარგებლებს მესაზღვრეების დაუდევრობით და გაიტანს ან შემოიტანს ისეთივე საგნებს ან ამ მიზნით გამოიყენებს საზღვრის დაუცველ მონაკვეთებს.

კონტრაბანდის არსი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ საქონლის უკანონოდ გატანაში ან მისი საზღვარგარეთიდან შემოტანაში მდგომარეობს და არა იმ ხერხებში, რომლებიც მითითებულია კანონში. ამიტომ კანონის მოქმედების შეზღუდვა მისი ჩადენის ხერხების ჩამოთვლით ისეთ დანაშაულზე, როგორც კონტრაბანდა არ არის მიზანშეწონილი. ჩვენი აზრით, 79-ე მუხლი უფრო პრაქტიკული და ეფექტური იქნებოდა, თუ მისი პირველი ნაწილის დისპოზიცი-აში „გადატანა-გადმოტანა“ შეიცვლებოდა სიტყვებით: „გადატანა ან გადმოტანა“. „გადატანა-გადმოტანა“ აღბათ შეცდომაა. „გადატან-გადმოტანა“ ნიშნავს ორ მოქმედებას—გადატანას და გადმოტანას, რაც არ შეესაბამება 79-ე მუხლის მოთხოვნას, რადგანაც ამ სიტყვების შინაარსიდან გამომდინარე, კონტრაბან-დისათვის საკმარისი არ ყოფილა საზღვარზე კონტრაბანდის საგნის უკანონო არც გადატანა და არც გადმოტანა ცალ-ცალკე. გამოდის თითქოს კანონი ითვა-ლისწინებს ორივე მოქმედებას, რაც კონტრაბანდის შინაარსს ცვლის. პირმა, თუ უკანონოდ გაიტანა საქონელი რესპუბლიკის ფარგლებიდან და მისგან და-მოუკიდებელი მიზეზების გამო მოუხდა იმავე საქონლის უკანონოდ ისევ შე-მოტანა, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიციროდეს, როგორც კონტრაბანდის ორჯერ ჩადენა. ერთხელ საქონლის გატანის, ხოლო მეორედ მისი შემოტანის სახით. ასე უნდა შეფასდეს ქმედება, მაგალითად, თუ პირმა გაიტანა ნარკო-ტიკული ნივთიერება, რაც უნდა მიეტანა კონკრეტული პირისათვის, რომელიც მან საზღვარგარეთ ვერ იპოვა და ამიტომ ისევ უკან შემოიტანა. პირმა თუ გაი-ტანა საქონელი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ისევ უკან შემო-ტანის მიზნით, თუ მას არ ჰქონდა ამ საქონლის საზღვარგარეთ გასხვისების მი-ზანი, მაშინ მისი მოქმედების დაკვალიფიცირება კონტრაბანდად სადაოა, რად-განაც კანონი გულისხმობს საქონლის არა დროებით, არამედ სამუდამოდ გა-ტანას.

კონტრაბანდის ჩადენაში შეიძლება ადგილი ექნეს თანამონაწილეობის ნე-ბისმიერ სახეს.

კონტრაბანდის ჩადენისას ყალბი დოკუმენტების გამოყენება, გატაცებული და აკრძალული ფასეულობის კონტრაბანდა უნდა დაკვალიფიციროდეს დანაშა-ულთა ერთობლიობის პრინციპის შესაბამისად.



# პასუხისმგებლობა საბაჟო და სხვა საგუთავის გამოყენებით ჩადენილი კონტრაბანდისათვის

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი მიმდინარე წლის 2 აგვისტოდან ახალი რედაქციით მოქმედებს. ამ რედაქციის მიხედვით, კონტრაბანდა ჩადენილი საბაჟო და სხვა დოკუმენტების გამოყენებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ახალი. დამოუკიდებელი საფუძველია. ეს საკანონმდებლო ნოველა პრაქტიკულ და თეორიულ ინტერესს იწვევს.

კონტრაბანდის აღნიშნული სახეობა გავრცელებული არ არის. მაგრამ თავისი ეკონომიკური შედეგებით, ზიანით, რომელსაც სახალხო მეურნეობას აყენებს, იგი უთუოდ დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფიქტიური საბაჟო და სხვა დოკუმენტების გამოყენებით კონტრაბანდა უპირატესი კრიმინალური ფორმაა სტრატეგიული მასალების და სამრეწველო პროდუქციის (ქვანახშირის, შავი და ფერადი ლითონების, ნავთობპროდუქტების, მინერალური სასუქების, ხე-ტყის) საზღვარგარეთ გატანისა. იგი დამატებით სიძნელეებს ქმნის საწარმოო საშუალებების, ნედლეულისა და მასალების საშინაო ბაზარზე, ხელს უწყობს ენერგეტიკულ შიმშილს, რაც არცთუ იშვიათია ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში.

კონტრაბანდის ეს სახე, ხერხების მიხედვით, გამოიხატება მოტყუებაში, მოტყუების საშუალებას წარმოადგენს საბაჟო ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფალსიფიცირებული იქნენ ინტელექტუალური ან ფიზიკური (მატერიალური) გაყალბებით. ფიზიკური გაყალბების შემთხვევები, საგამოძიებო პრაქტიკის მიხედვით, იშვიათია. უფრო ხშირად ვაწყდებით ინტელექტუალურად გაყალბებულ საბაჟო და სხვა დოკუმენტებს.

საგულისხმოა, რომ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს დეკლარაციის იურიდიული ბუნების დაუზუსტებლობა. იშვიათად როდი ისმის კითხვა, მივიჩნით თუ არა დეკლარაცია ფიქტიურ საბაჟო დოკუმენტად თუ მასში შეტანილი მონაცემები შემდგენლის მიერ ფალსიფიცირებულია და სინამდვილეს არ შეესაბამება (ჩამოთვლილი არ არის ნივთები ან შეცვლილია მათი დასახელება, მითითებული არ არის ნივთების ოდენობა, დაკლებულია ფასები, შეცვლილია დასახელება). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განმარტებით, საბაჟო დეკლარაციის ბლანკი, სადაც შესაძლოა შეტანილი იყოს ტვირთის სახეობის, ოდენობის, ღირებულების არასწორი მონაცემები, არ მიეკუთვნება კონტრაბანდისათვის პასუხისმგებლობის აუცილებელ საბაჟო დოკუმენტს. დეკლარაციის ბლანკი განკუთვნილია საბაჟო დაწესებულებისადმი წარსადგენად, ამიტომ, თავისთავად, საბაჟო დეკლარაციის ფალსიფიცირება შეიძლება შეფასდეს როგორც კონტრაბანდისათვის მომზადება.



ასეთი საქმეები პრაქტიკულად არ გვხვდება. იმის შემდეგ, რაც შევსებული დეკლარაცია დადასტურებული იქნება დადგენილი წესით და წარდგინდება ოფიციალურ საბაჟო დაწესებულებას, იგი უკვე საბაჟო დოკუმენტია. ასეთი ფიქტიური საბუთის წარდგენა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად უნდა ჩითვალოს, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით.

რაში გამოიხატება „დოკუმენტის მოტყუებით გამოყენება?“

საბაჟო ან სხვა დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებაში იგულისხმება პირის მოქმედება, რომელიც გამოიხატება საბაჟო კონტროლისათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ან არასწორი მონაცემებით შედგენილი დოკუმენტის წარდგენაში.

საბაჟო დოკუმენტებს მიეკუთვნება დოკუმენტი (საბუთი), რომელიც დადგენილი წესით დადასტურებულია და გაცემულია საბაჟო დაწესებულების უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ (საბაჟო დეკლარაციები, ცნობები ვალუტის შესახებ და სხვა). სხვა დოკუმენტებს 79-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიეკუთვნება დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები საზღვარგარეთ ფასეულობებისა და სხვადასხვა ნივთების გადატანის თაობაზე (ნებართვები, საშვები, მოწმობები და სხვა.); (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1978 წ., № 6, გვ. 33.).

მოტყუებით გამოყენებად სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს აგრეთვე ისეთი დოკუმენტების გამოყენებას, რომლებშიც შეცვლილია ტვირთის სახეობა, წონა, მოცულობა.

რამდენადაც კონტრაბანდის ეს ნაირსახეობა გამოიხატება საბაჟო კონტროლისათვის ყალბი საბუთების წარდგენის გზით მოტყუებით, ან ისეთი საბუთების წარდგენაში, რომლებშიც ასახულია ყალბი მონაცემები მოცემული ტვირთის, წონის, სახეობის შესახებ, დგება საკითხი სისხლის სამართლის სხვა შესაბამისი ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობისა. კერძოდ, შთანთქავს თუ არა ამ სახის კონტრაბანდა ისეთ დამოუკიდებელ დანაშაულებებს, როგორიცაა სამსახურეობრივი სიყალბე, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღება, თუ მოქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის პრინციპით. ეს პრობლემა იურიდიულ ლიტერატურაში ჭეროვნად ახსნილი არ არის.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დოკუმენტების გაყალბება არ წარმოშობს დამოუკიდებელ დანაშაულს, ვინაიდან ეს მოქმედება კონტრაბანდის ამ სახეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამიტომ, ამ გზით ჩადენილი კონტრაბანდა უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო დანაშაულის შესახებ სსრ კავშირის კანონის მე-15 მუხლით.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლში ნათქვამია „დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებით კონტრაბანდაზე“. ამდენად, სისხლის სამართლის ნორმის დანაშაულის შემადგენლობაში შეაქვს მხოლოდ ასეთი დოკუმენტების გამოყენება, ხოლო არაფერს ამბობს ყალბი საბუთების დამზადებაზე როგორც დამოუკიდებელ შემადგენლობაზე.

ყალბი დოკუმენტების დამზადება და გამოყენება სხვადასხვა მოქმედებებია, ჩადენილი სხვადასხვა დროში, სივრცეში და ხშირად სხვადასხვა პირის მიერ. ყალბი დოკუმენტების დამზადება კონტრაბანდის ნიშნებს სცილდება. თუ პირი მოტყუებით იყენებს ყალბ დოკუმენტებს მისი მოქმედება შეესაბამება

79-ე მუხლს და 214-ე მუხლით დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობასთან. „თუ ერთი მოქმედება წარმოადგენს სხვა უფრო საშიში დანაშაულის ნიშნებს, მათი იდეალური ერთობლიობის დროს, საჭიროა გამოყენებული იქნეს ის კანონი, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს“<sup>1</sup>.

სწორედ ამ თანაფარდობაში უნდა განვიხილოთ 79-ე და 214-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობები და მათი იდეალური ერთობლიობის დროს ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს კონტრაბანდის მუხლით.

ამასთან, სამართლებრივი სიტუაცია და მოქმედების იურიდიული შეფასებაც იცვლება თუ კონტრაბანდისტმა თვითონ დაამზადა (დაუფშვით რამდენიმე დღით ადრე) ყალბი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალურ ერთობლიობასთან და მოქმედებს დანაშაულის კვალიფიკაციის სხვა წესი — რეალური ერთობლიობის წესი; ჩვენ მაგალითზე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე და 213-ე მუხლები.

ასეთი კვალიფიკაციის სისწორე შეიძლება ავსხნათ მარტივად. მაგალითად, პირმა განიზრხა კონტრაბანდის ჩადენა და ამ მიზნით წინასწარ მოამზადა ყალბი დოკუმენტები. შემდეგ მან ნებაყოფლობით ხელი აიღო კონტრაბანდის ჩადენაზე მზადების პერიოდში. კანონის შესაბამისად, ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ ამასთან, პასუხს აგებს ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის; კონკრეტულ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტების დამზადებისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლით.


ცხადია, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრება მთლიანად შეეხება სამსახურებრივ სიყალბესაც, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლით. ამ ნორმის შინაარსში საერთოდ არ არის „ყალბი დოკუმენტების გამოყენება“. 191-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას სამსახურებრივი სიყალბისათვის, რაც გამოიხატება თანამდებობის პირის მიერ ოფიციალურ დოკუმენტაციაში ან დავთრებში ყალბი ცნობების ან ყალბი ჩანაწერების შეგნებულად შეტანაში; შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენა ან გაცემა, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საქმეებში არსებულ ოფიციალურ ან კერძო დოკუმენტებში სიყალბის გაკეთება, ან სხვა რიცხვით მათი დათარიღება, თუ ეს მოქმედებანი ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით. ცხადია, რომ თუ სუბიექტმა კონტრაბანდის ჩადენამდე ჩაიღინა სამსახურებრივი სიყალბე, შემდეგ კი გამოიყენა ეს ყალბი დოკუმენტები საზღვარგარეთ საქონლის უკანონო გასატანად, მისი მოქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (91-ე და 79-ე მუხლით); თუ სამსახურებრივი სიყალბის ჩამდენი დამზადებულ ყალბ დოკუმენტებს გადასცემს სხვა პირს კონტრაბანდის მიზნებისათვის, ასეთი პირი პასუხს აგებს როგორც ჩადენილი ქმედობების თანამონაწილე.

სწორედ ასეთ პოზიციას ადგას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმიც. „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცების საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ 1972 წლის 11 ივლისის დადგენილების მე-5 პუნქტში გან-

<sup>1</sup> Владимирова В. А., Ляпунов Ю. И., Ответственность за корыстные посяательства на социалистическую собственность, М., 1986, с. 159.

მარტებუღია, რომ თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია შეგნებულად ყალბი დოკუმენტის გატაცებასთან სახელმწიფო ინტერესების მიზნით პენსიის, დახმარების სახით, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამხმარე თაღლითური გზით დატაცებაში და სამსახურებრივი სიყალბისათვის.

— „თანამდებობრივი დანაშაულობები“, — ნათქვამია „რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლში (შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის 191-ე მუხლი — დ. დ.), პრაქტიკაში დამოუკიდებლად ძალზე იშვიათად გამოიყენება. ხშირად სამსახურებრივი სიყალბე ერწყმის სხვა დანაშაულობებს. თუ სამსახურებრივი სიყალბე წარმოადგენს სხვა დანაშაულის ჩადენის საშუალებას, ქმედობები უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის შესაბამისი მუხლებით დანაშაულთა ერთობლიობის პრინციპით.



შოთა კოჭმაიანიშვილი

## სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური რეგლამენტაციის საუწყოფისათვის

მართლმსაჯულების განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ექსპერტიზას. როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 72-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზა ინიშნება პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევის მიერ. ამავ კოდექსის 191-ე მუხლით გამომძიებელი ვალდებულია აუცილებლად გაითვალისწინოს ექსპერტის კომპეტენცია იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტიზა ინიშნება არასაექსპერტო დაწესებულებაში.

საექსპერტო გამოკვლევის შედეგების ანალიზი ხდება ორი ასპექტიდან: იურიდიული შეფასების თვალსაზრისით, რაც გამომძიებლის და სასამართლოს პრეროგატივაა და სპეციალური ცოდნის პოზიციიდან. ექსპერტის დასკვნის შეფასებისას გამომძიებელმა და სასამართლომ იგი უნდა შეაჯერონ საქმესთან დაკავშირებით შეგროვილ სხვა მასალებთან. ამასთან, როგორც პრაქტიკა მოწმობს, ხშირად მათ არ შეუძლიათ დასკვნის მეცნიერული დასაბუთების, ექსპერტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მეთოდების სწორი შეფა-


სება და ამის შედეგად ექსპერტის კომპეტენტურობის დადგენა. ამდენად, გამოძიებისა და სასამართლოს მიერ, ერთპიროვნულად ექსპერტის არჩევის დროს, არ სრულდება საქართველოს რესპუბლიკის სსკ 191-ე მუხლის მოთხოვნა ექსპერტის კომპეტენტურობის შემოწმების ნაწილში, რაც პროცესუალური წესების მნიშვნელოვანი დარღვევაა. აქედან გამომდინარე, ექსპერტის ის დასკვნა, რომელსაც იგი იძლევა პროცესუალური კანონის მნიშვნელოვანი დარღვევით, და ფაქტიურად არამართებულია. არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც მტკიცების წყარო.

პროცესუალური კანონი, ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის პირადი მასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, არ განასხვავებს ერთიმეორისაგან მკოდნე პირს, რომელსაც ექსპერტად ნიშნავს გამომძიებელი. სასამართლო და საექსპერტო დაწესებულების თანამშრომლისაგან. ამასთან ერთად, მართლმსაჯულების განხორციელებაში ეპიზოდურად ჩართულ პირსა და სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულების თანამშრომელს შორის, რომელიც პროფესიონალია, არის მნიშვნელოვანი განსხვავება, მათი კვალიფიკაციისა და სპეციალური ცოდნის ნაწილში.

მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საბაზო განათლება საკმარისი არ არის სასამართლო ექსპერტიზის ჩასატარებლად. სასამართლო ექსპერტიზის საკვალიფიკაციო სპეციალობები სულ უფრო და უფრო ცილდებიან მეცნიერებისა და ტექნიკის რომელიმე დარგის სპეციალურ მოცულობას. ცოდნის იმ არსენალის დაუფლება, რომელიც მოიცავს კონკრეტული სახის ექსპერტიზის გამოკვლევის მეთოდებსა და მეთოდებს, შესაძლებელია კარგად ორგანიზებული და სათანადოდ ფუნქციონირებული სწავლების სისტემით და საექსპერტო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებით.

საექსპერტო დაწესებულებების ექსპერტთა მაღალი კომპეტენტურობა, უზრუნველყოფილია კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემითა და ფორმით: სპეციალობის ათვისება გამოცდილი ექსპერტის ხელმძღვანელობით, სტაჟირებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე სწავლა, სამეცნიერო-პრაქტიკულ სემინარებში მონაწილეობა. ექსპერტიზის წარმოების უფლებას ისინი იღებენ მინიმუმ ექვსთვიანი სტაჟირების გავლის შემდეგ სათანადო საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე. ამასთან, პერიოდულად გადიან ატესტაციას, ხოლო ექსპერტების დასკვნები ყოველწლიურად რეცენზირდება გამოცდილი ექსპერტების მიერ. კერძო პრაქტიკის მქონე ექსპერტებს კი არა აქვთ არც სწავლის და არც მათი ცოდნის კონტროლის საშუალება. უფრო მეტიც, არ ხდება მათი კომპეტენტურობის განსაზღვრა, დასკვნების შემოწმება და რეცენზირება, რადგანაც არ არის გამომუშავებული ასეთი შემოწმების ფორმები და ხერხები.

საექსპერტო შეცდომების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტური მიზეზია ექსპერტის არასაკმარისი კვალიფიკაცია, ხოლო არასრულფასოვანი გამოკვლევის შედეგად მიღებული მცდარი დასკვნა შეიძლება გახდეს სასამართლო შეცდომების წყარო. სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებებში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შედეგად მუდმივად იზრდება და ფართოვდება ექსპერტების მიერ გადასაწყვეტი ამოცანების სფერო: სასამართლო ექსპერტიზის პრაქტიკაში ინერგება მათემატიკური, კიბერნეტიკული, ახალი



ინსტრუმენტული გამოკვლევის მეთოდები. ექსპერტი, რომელიც ჯერ ადრევესული გუშინ კვალიფიციური სპეციალისტი იყო, შეიძლება სერიოზულად ჩაბნეული იყოს. თუ არ ადრევენებს თვალყურს ახალ სამეცნიერო მიღწევებს. მაგალითად, ხელწერის ექსპერტიზის ჩატარებისას დღეისათვის გამოიყენება საექსპერტო კვლევის 15 მეთოდზე მეტი, ავტოტექნიკური ექსპერტიზის წარმოებისას — 25, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის დროს 40-ზე მეტი და ა. შ.

ბუნებრივია, კერძო ექსპერტებს ან კომპერატივებს არა აქვთ კვლევის თანამედროვე აპარატურა, მოწყობილობა, ასევე არა აქვთ საშუალება დროულად გაეცნონ და აითვისონ ეს უახლესი მეთოდები, რომლის შემუშავება ხდება სპეციალურ საექსპერტო-სამეცნიერო დაწესებულებებში ჩვენთან და საზღვარგარეთ. მაგალითად, მარტო 1990 წელს სხვადასხვა ინსტანციიდან ლაბორატორიაში შემოვიდა 286 ახალი მეთოდიკა და მეცნიერული რეკომენდაცია.

ჩასატარებელი ექსპერტიზის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და საექსპერტო შეცდომების თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური რესპუბლიკური სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ლაბორატორიის უფროსის (ან შესაბამისი ქვედანაყოფის უფროსის) სპეციალურ კონტროლს ლაბორატორიაში წარმოებულ ექსპერტიზებზე. ექსპერტის დასკვნის ხარისხის ამგვარი შემოწმება ხელს უწყობს ექსპერტიზის დამნიშნავი პირისა თუ ორგანიზაციისათვის მკდარი დასკვნის გაგზავნის თავიდან აცილებას. ექსპერტის დასკვნის გაგზავნა ხდება მას შემდეგ, რაც გულდასმით შემოწმდება ყველაფერი, გაირკვევა ისიც, თუ როგორაა დაცული პროცესუალური ნორმები და შესრულებულია თუ არა ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ახდენენ სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ექსპერტიზების წარმოების რეგლამენტირებას; ხომ არ სცილდება ექსპერტი თავისი კომპეტენციის ფარგლებს; სრულად არის თუ არა შესრულებული საექსპერტო დასკვნა; ყველა კითხვაზე გაეცა თუ არა პასუხი; გამოკვლეულია თუ არა ყველა წარმოდგენილი გამოსაკვლევი ობიექტი; სწორად არის თუ არა გადმოცემული ექსპერტის დასკვნაში საქმის გარემოება; არჩეულია თუ არა სათანადო კვლევის მეთოდები; მთლიანადაა გამოყენებული თუ არა ასეთ შემთხვევაში რეკომენდებული მეთოდიკა; საკმაოდ სრულად არის თუ არა აღწერილი გამოკვლევის პროცესი; არის თუ არა ლოგიკური შესაბამისობა გამოკვლევის შედეგებსა და ექსპერტის დასკვნას შორის; საკმაოდ არის თუ არა დასაბუთებული დასკვნა.

ლაბორატორიის მიერ კარგად ორგანიზებული ექსპერტის დასკვნის შემოწმება საშუალებას აძლევს დასკვნის შემდგენელს გადაამოწმოს თავისი გადაწყვეტილება და თუ საჭიროდ ჩათვლის შეცვალოს იგი ან მოიყვანოს დამატებითი არგუმენტები მის დასამტკიცებლად. როგორც ვხედავთ, საექსპერტო დაწესებულების თანამშრომელი, კერძოდ კი, ექსპერტი, ფაქტიურად მოკლებულია საექსპერტო „თვითნებობას“, რადგან იგი იმყოფება მკაცრი კონტროლის ქვეშ იმათთან ერთად, ვინც პასუხს აგებს დასკვნის ხარისხისათვის.

ექსპერტისათვის ექსპერტიზის ჩატარების დავალება არის მისი პროფესიული აღიარების გარანტი, რადგან გარდა სპეციალური ცოდნისა, ექსპერტს აუცილებლად მოეთხოვება საჭირო პირადული თვისებები, ისეთი როგორიცაა კეთილსინდისიერება, ობიექტურობა, ექსპერტის კომპეტენტურობის განსაზღვრა ამ შემთხვევაში ექისრებათ ლაბორატორიის ხელმძღვანელს და საატესტა-

ციო კომისიას, რომლებსაც აქვთ მონაცემები ექსპერტის სპეციალურ ცოდნაზე და თვითონ არიან ამ დარგის სპეციალისტები.

ამრიგად, ექსპერტიზის დანიშვნა საექსპერტო დაწესებულებაში როგორც კომპეტენტური ექსპერტის შერჩევის, ისე მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნის მიღების გარანტიას.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკის სსსკ 72-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ექსპერტად შეიძლება იყოს პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ექსპერტის კვალიფიკაცია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს საატესტაციო-საკვალიფიკაციო კომისიის მიერ შესაბამისი სპეციალობით და, რომელიც შეტანილია იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო ექსპერტთა სიაში.

ექსპერტიზა ინიშნება მომკვლვეი პირის, გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს დადგენილებით (განჩინებით) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევით ცენტრში, რომლის ხელმძღვანელობა ავალებს ცენტრის ერთ ან რამდენიმე ექსპერტს ექსპერტიზის ჩატარებას.


გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს, აგრეთვე საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის მოტივირებული მოთხოვნით ექსპერტიზის წარმოებაში შეიძლება ჩაირთონ სხვა ექსპერტები ან სპეციალისტები.

ექსპერტი დასკვნას იძლევა თავისი სახელით და პირადადაა პასუხისმგებელი მიცემული დასკვნისათვის.

საქმის სირთულისა და ობიექტების თავისებურების მიხედვით, ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს რამდენიმე ექსპერტს.

როდესაც საქმეზე რამდენიმე ექსპერტი ინიშნება, დასკვნის მიცემამდე მათ ურთიერთშორის უნდა მოითათბირონ. თუ ექსპერტები შეთანხმდებიან საერთო დასკვნის მიცემაზე, მას ხელი უნდა მოაწეროს ყველა ექსპერტმა, თუ ექსპერტები ვერ შეთანხმდებიან, თითოეულმა ექსპერტმა ცალკე უნდა შეადგინოს თავისი დასკვნა“.

ამ წინადადების რეალიზაცია, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ექსპერტების პროფესიული კომპეტენტურობისა და დასკვნების მეცნიერული დონის ამაღლებას. ეს კი უპირველესი გარანტია იმისათვის, რომ მართლმსაჯულების განხორციელების დროს თავიდან ავიცილოთ საექსპერტო შეცდომები.



ლია ალექსიძე

## ეროვნული საკითხი ნიკო ურბნელის

### შემოქმედებაში

რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ქართველ ხალხში ეროვნული საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამოიწვია. XIX ს. 90-იან წლებში ამ პროცესს კიდევ უფრო შეუწყო ხელი მარქსისტული ეროვნულ-ნიპილისტური იდეების გავრცელებამ საქართველოში. ამდენად, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, ერის გამთლიანება, ეროვნული იდეალის დამკვიდრება, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პირველხარისხოვან ამოცანად იქცა. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, სამართლის მკვლევარ-მეცნიერის ნ. ხიზანიშვილის (ურბნელის) მოღვაწეობა.

ნ. ურბნელი გრძნობდა ქართველი ხალხის იდეურ დაქსაქსულობას, ეროვნულ ნიპილიზმს, ერის გაერთიანების აუცილებლობას და სავსებით იზიარებდა დიდი ილიას მიერ წამოყენებულ წოდებათა გაერთიანების იდეას, მეტიც, ამ იდეის ხორცშესხმის მიზნით მან ქართველ მოაზროვნეთა შორის პირველმა გამოიყენა XIX ს-ის დამდეგს ევროპაში პოპულარული სოციოლოგიურ-ორგანული თეორია, რომელიც დაუკავშირა ე. წ. ფაქტორების თეორიას.

სოციოლოგიური მეცნიერების ამ ორი მიმდინარეობის სინთეზის მეშვეობით ნ. ურბნელმა მიაგნო წოდებათა ერთიანობის თეორიის მეცნიერული გზით დასაბუთების ორიგინალურ ფორმას და მკაფიოდ გამოხატა თავისი ეროვნული პოზიცია, გამოთქვა მოსაზრებები ერის რაობის, მისი განვითარების კანონზომიერების, ეროვნული ურთიერთობის და ერთან დაკავშირებულის სხვა პრობლემების შესახებ. ვიდრე, საკითხის განხილვას შევეუდგებოდეთ, სიცხადისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ ორგანული მეცნიერული მოძღვრების არსი.

ორგანული სკოლა, როგორც სოციოლოგიური მეცნიერების მიმართულება, ევროპაში ჩამოყალიბდა XIX ს-ის დამლევა და XX ს-ის დამდეგს. ეს თეორია „საზოგადოებას აიგივებდა ორგანიზმთან და ცდილობდა სოციალური ცხოვრება აუხსნა ბიოლოგიური კანონზომიერებით“.<sup>1</sup>

ცნობილია ორგვარი ორგანული თეორია — სახელმწიფოს ორგანული თეორია და საზოგადოების ორგანული თეორია. საზოგადოებაზე, როგორც ორგანიზმზე შეხედულება, პირველად ო. კონტმა შეიმუშავა, შემდეგ იგი განავითარა სპენსერმა, შეფლემ, ლილიენფელდმა, რენე ვორსმა და

<sup>1</sup> ქსე, 1985, ტ. 7, გვ. 563.

სხვ. სახელმწიფოს ორგანული თეორია კი ანტიკური ხანიდან იღებს საფუძვლს. პირველად ჩანასახი მოძღვრებისა, რომლის თანახმად სხვადასხვა სოციალური კლასი და მისი შესაბამისი დაწესებულება მიჩნეულია ერთი ორგანული მთელის ნაწილებად. გვხვდება პლატონთან. არისტოტელესთან. შემდეგ პლუტარქესთან, ხოლო XII ს-ში იოანე სალისბერკისთან. სახელმწიფოს, როგორც ორგანიზმის შესახებ თეორია, განსაკუთრებით დაკავშირებულია ჰობსის სახელთან, მას შემდეგ კონტმა და სპენსერმა ახლებურად გაიაზრეს და გამოხატეს იგი.

ნ. ურბნელი არ აღიარებდა სახელმწიფოს ორგანულ თეორიას და მიუთითებდა მის ნაკლზე — მეტაფიზიკურობაზე: „პლატონი და არისტოტელე, — წერდა იგი, — აღიარებდნენ იმ თეორიას, რომელიც სახელმწიფოს ადარებს კაცის სხეულს, წინა საუკუნეებში ამას აღიარებდა შელინგი, ბლუნჩლი და სხვა ამ თეორიას მისდევდნენ. ამ თეორიის ნაკლი მეტაფიზიკურობაა. იგი ანალოგიას და შედარებას უადგილოდ ხმარობს, კაცსა და სახელმწიფოს შორის სრულ მსგავსებას პოულობს. ბლუნჩლის აზრით, საერთო განათლება — ხედვას უდრის. სისხლის სამართალი — კაცის ჭიპს და სხვ. ე. ი. სახელმწიფო იგივე ორგანოა, როგორც კაცი“<sup>2</sup>

ნ. ურბნელი მიმდევარი და დამცველია საზოგადოების ორგანული თეორიისა. იგი მას სოციოლოგიური მეცნიერების საუკეთესო მიმდინარეობად თვლის. ეს თეორია კაცის მავიერ საზოგადოებას იღებს და დაასკვნის „საზოგადოებასა და ორგანიზმს შორის ანალოგია სუფევს, ორივენი ერთსა და იმავე ზრდისა და განვითარების კანონს ექვემდებარებიან, თუმცა ერთმანეთისაგანაც განირჩევიან და ერთი საგნის ანუ არსების განსხვავებულ სახეს წარმოადგენენო. პირველად ეს თეორია დააფუძნა ოგიუსტ კონტმა, ცნობილმა პოზიტივისტმა, რომელმაც თუ სრულად არ შემუსრა, ძლიერ მაინც შელახა მეტაფიზიკა. შემდეგ ამ თეორიას ხელი მოჰკიდა ჰერბერტ სპენსერმა და სოციოლოგიურის ფაქტებით დაასაბუთა იგი, მეცნიერულ ნიადაგზედ დაამყარა“<sup>3</sup>

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების ორგანული თეორია, როგორც სოციოლოგიური მეცნიერების მიმართულება, მკაცრად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ (ი. ჯაბადართან კამათში ქართული ისტორიისა და კულტურისადმი მისი ნიჰილისტური შეხედულებების გამო და ხალხოსან მწერალ ნ. ხუდადოვთან პაექრობისას) და იგი არამეცნიერულად და დრომოკმულად გამოაცხადა, ჩვენი მხრივ, უნდა დავძინოთ, რომ ნ. ურბნელს ორგანული მოძღვრებიდან არ გამოჰყავდა ისეთი უკიდურესი დასკვნები, როგორიც ი. ჯაბადარს (ერის სიბერისა და სიკვდილის გარდუევალობა). პირიქით, ნ. ურბნელმა ეს თეორია გამოიყენა ერის მარადისად არსებობის გამართლებისა და კაცობრიობასთან მიმართულებაში მისი მნიშვნელოვანი როლის დასაბუთების მიზნით.

ორგანულ თეორიას „არარეალურ დებულებებზე“ აგებულ მოძღვრებად და მეტაფიზიკურად თვლიდა ა. ჯორჯაძეც და ამ ნიადაგზე აკრიტიკებდა ნ. ურბნელს. ამ კრიტიკულ შენიშვნას გამოეხმაურა ნ. ურბნელი, გააბათილა

<sup>2</sup> „ივერია“, 1902, № 16.

<sup>3</sup> იქვე.



ა. ჯორჯაძის შეხედულებები და ორგანული თეორიის ერთგული დამცველი დარჩა.

ახლა გავეცნოთ ფაქტორების თეორიის არსს. ეს არის სოციოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმად, საზოგადოება და მისი ცვალებადობა განსაზღვრულია სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და თანაბარმნიშვნელოვანი ფაქტორებით — როგორც მატერიალური სფეროს, ასევე სულიერი მოვლენები. ფაქტორების თეორია შეიმუშავეს XIX ს-ის დამლევს მ. ვებერმა, მ. კოვალევსკიმ და ნ. კარევემა.

ნ. ურბნელი ერს განიხილავს ორგანულ სხეულად და მას წარმოადგენს როგორც მატერიალური (ხორციელი), ასევე სულიერი ბუნების მქონედ და ამ საფუძველზე თვლის რომ ერის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისა და ზრდა-განვითარებისათვის ორივე ამ ფაქტორს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება, ისინი თანაბრად და ჰარმონიულად უნდა ვითარდებოდეს და ამით მთლიანად ერის წარმატებას უწყობდეს ხელს. ერის მატერიალურ მხარედ იგი მიიჩნევს ეკონომიკურ ცხოვრებას, ხოლო სულიერად — ხალხის ფსიქიკურ წყობას. „ერის ორგანებრივი ზრდა, შეძლებისამებრ, მწყობრად უნდა მიმდინარეობდეს, ჰარმონიულად უნდა მოძრაობდეს. ეს ორგანებრივი ზრდა უნდა შეიცავდეს ერის მთელსა და სრულ ბუნებას — სულიერს და ხორციელს. როცა ერთი ნაწილი ამ ბუნებისა, მეორესთან შედარებით, ზრდასა და წარმატებას მოკლებულია, მაშინ ხალხის ცხოვრებაც მრუდე და სახიფათო გზას ადგია. რასაკვირველია, კაცობრიობა უფრო მეტს ფასს სდებს გონებითსა და ზნეობითს პროგრესს, მაგრამ საეკონომიო პროგრესიც არა ნაკლებ საინტერესოა“.<sup>4</sup>

იგი აკრიტიკებს მესამე დასის, კერძოდ ნ. ყორდანიას პოზიციას, რომელიც მაქსიზმის მატერიალისტურ მოძღვრებას აღიარებდა და ქვეყნის (ერის) ცხოვრებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას მატერიალურ მხარეს ანიჭებდა. ნ. ურბნელი მის ამ შეხედულებას არასწორად თვლიდა და საერთოდ, მარქსისტულ თეორიას ცალმხრივობაში სდებდა ბრალს. იგი ფიქრობდა. რომ ერის ცხოვრებაში გადამწყვეტი ხან პოლიტიკა იყო, ხან ეკონომიკა და ხან სარწმუნოება. „საეკლესიო მატერიალიზმი ცალ-კერძო, უკიდურესი და წრეს გადასული მოძღვრებაა, ყოველი ერის წარსული და აწმყო ცხოვრება წარმოადგენს ორგანობრივს არსებას და ამ არსებას სხვადასხვა ფაქტორი ამოძრავებს... ერის ცხოვრება რთული მანქანაა თვით ერიც რთული სხეულია და ამ მანქანის და სხეულის მოძრაობა მარტო საეკონომიო ფაქტორის უპირატესობით არ განისაზღვრება“.<sup>5</sup> 1902 წელს ა. ჯორჯაძესთან კამათში მკვლევარი ამავე თვალსაზრისს იცავდა.

ნ. ურბნელი ერად განიხილავდა არა მარტო სისხლითა და ხორციით ერთმანეთთან დაკავშირებულ ფიზიკურ პირთა უბრალო ნაერთს, არამედ, როგორც ხალხს, რომელთაც აერთიანებთ გარკვეული სულიერი ნათესაობა, შინაგანი მახასიათებლები — საერთო კულტურა, ტრადიცია, ენა, რწმენა, ისტორია — ყოველივე ეს გამოხატავდა ერის სულიერ ღირებულებას და განსაზღვრავდა მის ვინაობას.

ერის არსის გარკვევის ხერხი მისთვის არის არა მექანიცისტური, არა-

<sup>4</sup> „მესამე დასი და ბურჟუაზია“. „მომბე“, № 2, გვ. 78.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 77.

მედ ანთროპოლოგიური გააზრება საკითხისა. იგი ერს თვლიდა სულიერ, კულტურულ განიზმად, ხაზს უსვამდა მის პიროვნულობას, ინდივიდუალობას და ინფორმაციის მიუთითებდა მის უნიკალურ წვლილზე მსოფლიოს მასშტაბით.

ნ. ურბნელის ასეთი შეხედულება ერზე საპირისპიროა მარქსისტულისა. მარქსისტთა თეორია ერის შესახებ სწორედ მექანიციკურია. „მექანიციკური შეხედულების მიხედვით ერი ცალკეული ადამიანების გაერთიანებებით მიღებული ერთობლიობაა, რომელიც ენის, ეკონომიკისა და სხვა ნიშნებით ხასიათდება. ამ გაგებით ერის მთლიანობა, პიროვნებისეული ბუნება მხედველობაში არ მიიღება. ამ განსაზღვრებით არ ჩანს ის, რომ ერი ცოცხალი არსებაა და თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს და სასიცოცხლო ამოცანებს წყვეტს. აქ არც იმაზეა მითითებული, რომ ერი როგორც სოციალური ფენომენი, ქმნის მისთვის დამახასიათებელ კულტურას და ეროვნულ ცნობიერებას“.<sup>6</sup>

ერის სუბსტანციონალურ ბუნებაზე მიუთითებს პროფ. ნ. ნათაძე. იგი ერს განმარტავს, როგორც კრებადობის (მექანიკური ნაერთის) საწინააღმდეგო შინაარსის მქონე რაობას. ერს წარმოგვიდგენს, როგორც სუბიექტს, პიროვნებას.<sup>7</sup>

ამ თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისის შედარება ნ. ურბნელის შეხედულებებთან საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნ. ურბნელის მიერ საკითხი მაღალ მეცნიერულ დონეზე იყო გააზრებული. ნ. ურბნელი ცდილობდა გამოეშკარებინა ახალი თაობის („ახალი თაობა“ 80-90-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და აშკარად დაუპირისპირდა სამოციანელებს, რომლებიც უკვე ძველ თაობად — „მამებად“ იქცნენ) შეხედულებათა მცდაობა, რომლებიც კოსმოპოლიტიზდნენ, არად აგდებდნენ თავიანთი სამშობლოს ინტერესებს. მათი იდეალი იყო „კაცობრიობა“, „ადამიანური ცხოვრება“ — სოციალური პრობლემები და არა ეროვნული.

როდესაც 90-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ახალი ჯგუფი ე. წ. „მესამე დასი“ (სოციალ-დემოკრატები), ნ. ურბნელი მკვეთრად გაემიჯნა მათ მარქსისტულ კოსმოპოლიტიზმს, რომელსაც ასაზრდოებდა ერების სიკვდილის თეორია მათი შერწყმის გზით კაცობრიობის კეთილდღეობის განხორციელების საბაბით. მათი იდეალი იყო არა მრავალფეროვნება ინდივიდუალური ნიშნით გამორჩეული საზოგადოებისა, არამედ ერთფეროვანი, ერთადერთი საზოგადოების არსებობა და ამ საკაცობრიო საზოგადოებაში სოციალიზმის დამყარება. აქედან იღებდა სათავეს მათი ე. წ. სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და ნიპილისტური დამოკიდებულება ერებისადმი.

განიხილავს რა ერს, როგორც მატერიალური ასევე იდეალური თვისებების მქონე ცოცხალ ორგანიზმს, ნ. ურბნელი ხაზს უსვამს იმას, რომ ყოველ ერს გააჩნია თავისი განსაკუთრებული „გონებითი“ ანუ სულიერი სამფლობელო და სწორედ იგი განსაზღვრავს ერის ინდივიდუალობას, მის ვინაობას, განსაკუთრებულ ისტორიულ სახეს ანუ პიროვნულ „მეს“. ნ. ურბნელი მთელს კაცობრიობაში არსებულ მრავალეროვან ერთაგან თითოეულ მათგანს განსაკუთრებულ და განუყოფელ მნიშვნელობას ანიჭებს და ცდილობს და-

<sup>6</sup> შ. ნადირაშვილი, ერი, ეროვნული ურთიერთობანი და ერის უფლებები. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წლის 16 ნოემბერი.

<sup>7</sup> ნ. ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, 1990, გვ. 93.

არწმუნოს მკითხველი, რომ ეროვნული საკითხისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდა ახალი თაობა, არამართებულია.

ეროვნების დაცვა, მისი არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ნ. ურბნელს თავისი დროისათვის „ყველაზე უფრო საჭიროდ“ მიაჩნია. ამ საკითხს იგი უკავშირებს ერის ინდივიდუალური თვისებების გამოვლენას და შენარჩუნებას. მისი დაკვირვებით ერები სწორედ ამ მახასიათებლებით გამოირჩევიან ერთმანეთისაგან, ისევე როგორც ადამიანები განსხვავდებიან თავიანთი პიროვნული ნიშნის მიხედვით. „ერი... ზნეობრივი და სულიერი არსებაა, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთა კავშირია, რომელსაც თავის სახე და ვინაობა აქვს. როგორც ყოველი ადამიანი, ისე თითოეული ერი წარმოადგენს ცალკე პიროვნებას. როგორც ერში ერთი პეტრეა და მეორე ივანე, ისე კაცობრიობაში ერთი ფრანგია და მეორე ინგლისელი...“

აღზოცეთ თუ კი შესაძლოა ეს პიროვნული და ეროვნული უფსება და მაშინ ერი მართლაც და უსულო და უგულო მანქანად გარდაიქცეს და, განა, ეს სანატრელი და სასურველია?!“<sup>8</sup>

ნ. ურბნელისათვის უცხო არ არის ადამიანთა შორის სათნო დამოკიდებულების, სოლიდარობის, ერთობის და სხვა მაღალჰუმანური იდეების აუცილებელი განხორციელების გრძნობა, მაგრამ უპირველეს მიზნად ეროვნების დაცვას ისახავს, რადგან კაცობრიობის სიყვარული სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია. კაცობრიობის სიმდიდრეს სწორედ თითოეული ერის ინდივიდუალობა, გონებრივ და ზნეობრივ სფეროში მიღწეული წარმატებები და თავისებურებები შეადგენს. ამ თავისებურების გარეშე კაცობრიობის შემოქმედებითი ძალა, სულიერი და გონებრივი საგანძური ვერ იარსებებს. ნ. ურბნელი ერის არსებობის გამართლებას მის ამ უზენაეს დანიშნულებაში ხედავს: „თითოეული ისტორიული ერი თავისებური არსებაა, რომელსაც საკუთარი საუნჯე და წვლილი შეაქვს კაცობრიობის სალაროში. ყოველ კულტურულ ერს ხშირად მოეპოვება ზნეობრივი და გონებრივი „ობოლი მარგალიტი“ და კაცობრიობის სალაროს სიმდიდრესაც ეს მარგალიტები შეადგენენ. აქ არის უზენაესი აზრი და საბუთი ეროვნების არსებობისა და ვისაც მართალ კაცობრიობის სიყვარული გულში უღვივის, იმან, უწინარეს ყოვლისა, ეროვნება უნდა დაიცვას“<sup>9</sup>.

XX საუკუნეში მარქსისტების კოსმოპოლიტური თეორიის წინააღმდეგ გაილაშქრა ამ დროისათვის საქართველოს პირველმა სოციოლოგმა მ. წერეთელმა. იმისათვის, რომ აჩვენოს მარქსისტული კოსმოპოლიტური იდეების ძცდარობა, მ. წერეთელი ახდენს ერის და კაცობრიობის სოციოლოგიურ ანალიზს. საბოლოოდ, იგი დაასკვნის, რომ კაცობრიობა, როგორც სოციალური არსი, არ არსებობს, ილუზიაა და მას ეროვნება არ უნდა შეეწიროს.<sup>10</sup> ჩვენ ამ საკითხის თაობაზე სავსებით ვეთანხმებით ე. კოდუას მოსაზრებას, რომ „არც ერი უნდა შეეწიროს კაცობრიობას და არც კაცობრიობა ერს“.<sup>11</sup>

დღეს პროგრესული კაცობრიობა, მეცნიერები აღიარებენ, რომ თითოეული ერის მიერ თავისი განუმეორებელი წვლილის შეტანის გამო მსოფლიო კულტურის საგანძურში მიზანშეუწონელია მისი გაქრობა და შერწყმა. ასე-

8 „მასლათი“, „ივერია“, 1903, № 91.

9 იქვე.

10 მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.

11 იქვე, შესავალი, ზგე 17.

თი რამ ზიანს მოუტანს კაცობრიობას. ეროვნული თვითშეგნებით ნასაზრ-  
დოები ხალხი შემოქმედი და უფრო მეტი კეთილდღეობის შემქმნელია. ამდენ-  
ნად, ერთა თვითგამორკვევა მსოფლიო პროგრესის საფუძვლად არის აღიარ-  
ებული.

5. ურბნელი მრავალჯერ შეეხო თავის შემოქმედებაში ეროვნულ სა-  
კითხს და ყოველთვის ერთა თანასწორობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის  
იდეას იცავდა, ხოლო რომელიმე ეროვნების შეურაცხყოფას და აბუჩად აგ-  
დებას ან პირიქით რაიმე უპირატესობის დაწესებას არასამართლიანად და  
კაცობრიობისადმი გამოვლენილ სიძულვილად განიხილავდა: „ყველას (ერს —  
ლ. ა.) თანასწორი უფლება აქვს არსებობისა და ვინც ამ უფლებას უარყოფს  
და სხვის „წმინდათ წმიდას“ ბიწიერის ხელით მწიკვლს სდებს, აი სწორედ  
იგია კაცთა მძულვარი. ძმური ერთობა ჩვენს წადილს და ოცნებას შეად-  
გენს“<sup>12</sup>. თავისი ქვეყნის სიყვარული, ღრმად გააზრებული პატრიოტიზმი სხვა  
ერებისადმი პატივისცემით განაწყობდა პროგრესულ მოაზროვნეს. იგი ჭეშ-  
მარიტი ინტერნაციონალისტი იყო.

6. ურბნელი ეროვნულ საკითხს უკავშირებდა წოდებათა შორის ურთი-  
ერთობის პრობლემას. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში (როდესაც იგი ხა-  
ლხოსნობის პოზიციებზე იდგა) ყურადღებას ამახვილებდა წოდებათა შორის  
დაპირისპირებაზე, მათი ინტერესების სხვადასხვაობაზე და მიუთითებდა მათ  
შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული უშუალო და მტრობის მიზეზებზე —  
პრივილეგირებული წოდების მიერ დაბალი სოციალური ფენის ჩაგვრაზე. მას  
შემდეგ, რაც ურბნელმა თანამშრომლობა დაიწყო „ივერიაში“, მისმა შეხე-  
დულებებმა (სხვა ხალხოსნების მსგავსად) ევოლუცია განიცადა — იგი ლი-  
ბერალიზმისაკენ გადაიხარა, მიემხრო ი. ჭავჭავაძის ბანაკს და განიცადა მისი  
იდეური გავლენა. მან კარგად იგრძნო ერის ერთიანობის საჭიროება.

7. ურბნელი ცდილობდა დაესაბუთებინა წოდებების, როგორც ერის—ორ-  
განული მთელის — შემადგენელ ნაწილებს შორის ერთიანობისა და ჰარმო-  
ნიის თეორია. მარქსისტული მატერიალიზმი კი, რომლითაც აღჭურვილი იყო  
ახალი თაობა — „მესამე დასელები“ — ქართველი ერის სხვადასხვა წოდე-  
ბებს და კლასებს შორის (პროლეტარიატსა და კაპიტალისტებს შორის) გან-  
ხეთქილებაზე მიუთითებდნენ და ერთმანეთს უპირისპირებდნენ, ხოლო თავ-  
აღაზნაურობას საზოგადოების ზორცმეტადაც კი თვლიდნენ და მის მოსპო-  
ვას ქადაგებდნენ. ისინი კლასობრივი მოძღვრების თეორიით შეიარაღებუ-  
ლნი ცხოვრების პროგრესის საფუძველზე მუშათა კლასს აღიარებდნენ და  
უარყოფდნენ წოდებათა შერიგების იდეას. 8. ურბნელი სრულიად საპირის-  
პირო მოსაზრებას ავითარებდა. მიუთითებდა, რომ საქართველოში „გონებით  
და ზნეობით“ ანუ ინტელექტუალურ საქმიანობას მხოლოდ თავადაზნაურობა  
და სასულიერო წოდება ეწეოდა და რომ თანამედროვე „ცივილიზაცია“ და  
კულტურა მათ შექმნეს (პოლიტიკურ ცხოვრებასაც ისინი განსაზღვრავდნენ)  
და არა ახლანდელმა ბურჟუაზიამ ან მუშამ.

9. ურბნელი ფიქრობდა, რომ სოციალ-დემოკრატების მიერ მოვლენების  
არასწორი გაშუქება ეროვნულ საკითხს ვნებას აყენებდა, თესავდა წოდებათა  
შორის უშუალო და ამდენად ერის მთლიანობას უშლიდა ხელს, თითქმის მას,  
რაც ამ უკანასკნელის დაღუპვას მოასწავებდა.

<sup>12</sup> „ივერია“, 1901, № 273.

ერის ორგანული მთლიანობის შენარჩუნების, სხვადასხვა კლასის წოდების გაერთიანების და პარმონიული თანაარსებობის გზა ესახებოდა მარტივ მამულიშვილს ერთადერთ სწორ გზად ერის არსებობის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი წარმატებით განვითარებისათვის: „ერი რთული ორგანიზაცია იყო და ამ სხეულს სხვა და სხვა ასო და ნაწილი შეადგენს. ერის თითოეულ ნაწილს და ასოს თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვს. სოციალურ სხეულში ასეთს ნაწილს და ასოს შეადგენენ ერის სხვადასხვა ჯგუფი და წოდებანი“.<sup>13</sup> ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ბატონყმობის გაუქმებამ ქვეყნის ძველი სოციალური წესწყობილება დაანგრია, მაგრამ წოდებანი მაინც დარჩნენ სხვა სახითა და უფლებებით. აი, სწორედ ეს წოდებანი არიან ბუნებრივი ნაწილი ერის სხეულისა და არა ზორცმეტი და ისინი შეადგენენ ერის მთლიან და განუყოფელ ორგანულ სხეულს.

ნ. ურბნელმა ი. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული წოდებათა ერთიანობის იდეა მშვენივრად გადმოსცა ორგანული თეორიის მეშვეობით და სცადა მისი დასაბუთება.

როგორც ვხედავთ, ეროვნულ საკითხზე ნ. ურბნელის თეორია ი. ჭავჭავაძის შეხედულებებთან პოულობს იდეურ ნათესაობას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ მის მიერ საკითხის დაყენება გამოირჩევა ორიგინალობით, ახლებური გააზრებით და გამოხატვის ინდივიდუალური ფორმით, ამდენად მისი შეხედულებანი ყურადღების და შესწავლის ღირსია.

როგორ ესახებოდა ნ. ურბნელს ქართველი ერის მომავალი, მრავალეროვან რუსეთის იმპერიაში მისი მოწყობის ფორმები და გზები, რა უნდა დასდებოდა საფუძვლად ჩვენი ქვეყნის პროგრესს? მწერალი როგორც ადრე, ასევე 900-იან წლებში იმ თვალსაზრისზე დგას, რომ ყოველგვარი წარმატების საფუძველია თვითგამორკვევა და თვითმოქმედება ანუ ავტონომიური მართვა-გამგეობა. იგი სავსებით არაორაზროვნად გამოთქამდა პროტესტს ქვეყნის სუვერენული უფლებების შეზღუდვის, მის შინაურ საქმეებში ჩარევის გამო. იგი, ი. ჭავჭავაძის მსგავსად, ამ ეტაპზე (დაახლოებით 1904 წლამდე) მოითხოვდა საქართველოში სრული თვითმმართველობის შემოღებას. როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძის ეს მოთხოვნა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა ავტონომიის მოძღვრებად.

ნ. ურბნელის ნაწერებში არ ჩანს თვითმმართველობის შესახებ შეხედულებების განვითარება ავტონომიის მოთხოვნად, თუმცა საგულისხმოა, რომ მთელი მისი შემოქმედება ამ მიზანს ემსახურებოდა. არსებული ისტორიული რეალობის, თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის, სასტიკი ცენზურის პირობებში, როცა ი. ჭავჭავაძესაც კი „ენის კვნეტი“ უზღებოდა ასეთ საკითხებზე წერა, ნ. ურბნელი მეტი მოთხოვნით, ბუნებრივია, ვერ გამოვიდოდა. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანი მისთვის იყო თავისი ხალხის ეროვნული სახის შენარჩუნება, თვითგამორკვევა. ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობა რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში ჯერ ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმით, შემდეგ კი სრული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

რ. ბრახვარტი\*

# იურიდიული განათლება გერმანიაში: სისტემა, პრობლემები, პერსპექტივები

I

იურიდიული განათლების ძირითადი ნიშან-თვისებები

გერმანიის სახელმწიფოსა და საზოგადოებაში იურისტები არსებით ფუნქციებს ასრულებენ და ქმნიან რიცხობრივად მნიშვნელოვან პროფესიონალურ ჯგუფს. ამ გაერთიანების წევრებს, რომლებიც ხელისუფლების უმაღლეს ელემენტში შედიან, იურიდიულ ელიტასაც უწოდებენ. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად გადაჭარბებაა, მაგრამ ნათელია ისიც, რომ მნიშვნელოვან პროფესიონალურ სფეროებში იურისტების მოსპობლია და მათ უკავიათ მრავალრიცხოვანი ხელმძღვანელი თანამდებობები. ამგვარ ვითარებას ისტორიული ფესვები აქვს. იგი შენარჩუნებულია დღესაც და უკავშირდება სამართლებრივი პრინციპების განხორციელებას, ყველა საზოგადოებრივი ურთიერულობის იურიდიზაციას და განათლების იმგვარი სისტემის შექმნას, რომელიც გარკვეულწილად უნივერსალურ კვალიფიკაციას იძლევა.

ბანვითარების გზები. იურიდიული განათლება გერმანიაში მისდევს ნაცად ტრადიციებს; მათდამი ერთგულდება მომავალშიც იქნება შენარჩუნებული ახალი მოთხოვნების და რეფორმატორული კონცეფციების გათვალისწინებით.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული იურიდიულ განათლებას მეცნიერულად ეუფლებოდნენ უნივერსიტეტებში. როდესაც სახელმწიფოს, უფრო ზუსტად კი — გერმანული მიწების მფლობელებს გაუჩნდათ მოთხოვნილება მყოლოდათ ხანდა იურისტები, ეს აისახა ამ სფეროში განათლების და გამოცდების ორგანიზებაში. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა დასრულებული საკვალიფიკაციო სისტემა, რომელიც აერთიანებს იურიდიულ მეცნიერებას და პრაქტიკას. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს ბრანდენბურგის და პრუსიის ისტორია, სადაც განათლების რეფორმა ჩატარდა როგორც იუსტიციის რეფორმის ნაწილი. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს, აქ შემოიღეს სახელმწიფო გამოცდები სასახლის მრჩევლისა და უმაღლესი სასამართლო ინსტიტუტის მოსამართლეთა თანამდებობების დასაკავებლად. 1710 წლიდან ბრანდენბურგში არსებობდა განსაკუთრებული წინასწარი სამსახური, რომელიც ამზადებდა კადრებს იუსტიციისათვის, XVIII ს. დამლევდიან ამგვარი წინასწარი სამსახური და სახელმწიფო საკვალიფიკაციო გამოცდები სავალდებულო გახდა არა მხოლოდ მოსამართლეების, არამედ პროკურორების, ადვოკატებისა და ნოტარიუსებისთვისაც.

იურიდიული გამოცდების და უმაღლესი თანამდებობებისათვის მომზადების შესახებ 1869 წლის 6 მაისის პრუსიული კანონით დადგინდია, რომ წინასწარ სამსახურს წინ უნდა უძღოდეს უნივერსიტეტში სამართლის შესწავლა (არანაკლებ სამი წლის განმავლობაში) და პრაქტიკის გავლის შემდეგ გამოცდის ჩაბარება, თავად სამსახური გრძელდებოდა 4 წელი და მისი დამთავრების შემდგომ აბარებდნენ გამოცდას ასესორის წოდების მისაღებად. მხოლოდ XIX საუკუნის ზღვრულწერ პრაქტიკის გავლის შემდგომ ჩაბარებული გამოცდა ჩაითვადა ამავე დროს უნივერსიტეტის დამამთავრებელ გამოცდად. ეს წესი შენარჩუნებულია ჩვენს დრომდე, უმაღლესი რანგის ჩინოვნიკების მოსამზადებლად პრუსიაში, საქსონიაში და ვიურტემბერგში

\* ბოხუმის რურის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

შეიქმნა სპეციალური განათლების სისტემა, რომლის საფუძველი იყო ადმინისტრაციული პროცედურების შესწავლა. ამასთან, ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამართლებრივ დისციპლინებს: ბავარიისა და ბაჟენის ხელისუფალნი ერთიან განათლებას აწესებენ იუსტიციის და შინაარსობის სფეროში მაღალი თანამდებობის პირთათვის. ვიშარის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ იგივე სისტემა დამკვიდრდა არუსიასა და სხვა მხარეებში. ზემოთქმული მოწმობს, რომ როგორც იუსტიციის სფეროში, ისე ადმინისტრაციულ აპარატში მუშაობისათვის წინასწარი პირობა იყო სამართლის ცოდნა.

ნაციონალური ბატონობის პერიოდშიც არსებობდა უმაღლესი რანგი — ჩინოვნიკების მომზადების განსაკუთრებული სისტემა, ამას გარდა, იურიდიული განათლება განიცდის ინტენსიურ იდეოლოგიურ შემოქმედებას. ნაციონალური რეჟიმის დამხობასთან ერთად გაუქმდა ადმინისტრაციულ აპარატში მუშაობისათვის სავალდებულო სპეციალური მომზადება. განათლების საკითხების შესახებ კანონმდებლობაში ფედერაცია და მხარეები ძირითადად ხელმძღვანელობენ ვიშარის რესპუბლიკაში დამკვიდრებული სამართლებრივი პრინციპებით. დისკუსია იურიდიული განათლების სისტემის რეფორმის შესახებ უკანასკნელად გაიმართა 1990 წლის სექტემბერში მიუნხენში შემდგარ გერმანულ იურისტთა კონგრესზე. დისკუსიას არ მოჰყოლია რაიმე არსებითი ცვლილებები.

**პრინციპები.** მოქმედი სამართლი იურიდიული განათლება გფრ-ში ორიენტირებულია ფართო პროფესიის იურისტის მომზადებაზე, რომელიც შეძლებს იმუშაოს იუსტიციის ნებისმიერ სფეროში დამატებითი სწავლების გარეშე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განათლება არ იძლევა განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას ან სპეციფიურ პრაქტიკულ ჩვევებს. ერთობლივი იურიდიული განათლება სთავაზობს ძირითადი თეორიის და პრაქტიკის მჭიდრო კავშირს. ე. ი. უმაღლეს სკოლაში სწავლებას მოსდევს პრაქტიკა იურისტთა მოღვაწეობის უმთავრეს სფეროებში. სწავლების ყოველი ეს ეტაპი მთავრდება ორი სახელმწიფო გამოცდით: პრაქტიკის დაწესების წინ და ასესორის წოდების მოსაპოვებლად. პირი, რომელიც ჩააბარებს ორივე გამოცდას ითვლება „დასრულებული განათლების მქონე იურისტად“. მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის § 5-ის 1 აბზაცის თანახმად, მას „უფლება აქვს დაიკავოს მოსამართლის თანამდებობა“. ამასთან, დაშვებულია პროფესიონალური ვალდებულებების შესრულება როგორც სამართალწარმოებაში ისე ამ სფეროს გარეთ.

მოსამართლის თანამდებობის დაკავების უფლება საშუალებას იძლევა იურისტი დაინიშნოს პროფესიონალ მოსამართლედ ყველა სფეროს სასამართლოში და ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში, გარდა ამისა, დაკავებულ იქნეს პროკურორის თანამდებობაზე, მიიღოს ნოტარიუსის ადგილი და ჰქონდეს საადვოკატო პრაქტიკა. მოსამართლეები, პროკურორები და ნოტარიუსები ფედერაციის ან მხარეების სახელმწიფო სამსახურში არიან, ხოლო ადვოკატები — თავისუფალი პროფესიის პირნი. მოსამართლის თანამდებობა საშუალებას აძლევს იურისტებს დროთა განმავლობაში დაიკავონ მაღალი თანამდებობები სახელმწიფო სამსახურში. რა თქმა უნდა, იურისტები მუშაობენ პროფესიული მოღვაწეობის არასახელმწიფოებრივ სფეროებშიც, მაგალითად, პროფესიულ და მეწარმეთა კავშირებში, სამეურნეო და სადაზღვევო საწარმოებში და ბანკებში.

1981 წელს გფრ-ში იყო დაახლოებით 100 000 პროფესიონალი იურისტი: მათგან — 89 000 ადვოკატი და 20 000 მოსამართლე და პროკურორი. 1990 წლის 1 იანვრისათვის ადვოკატთა რიცხვმა 57 082 მიაღწია.

როგორია იურისტის იდეალური სახე? როგორი განათლება უნდა ჰქონდეს იურისტს, რომ პასუხობდეს საზოგადოების, სახელმწიფოს და სახელმწიფოთა თანაარსებობის მოთხოვნებს?

ვიშარის რესპუბლიკის დროს იურიდიული განათლების შესახებ მიმდინარე დისკუსიისას საუბარი იყო უპირველესად თეორიის შესწავლასა და პრაქტიკული გამოცდილების შექმნას შორის მჭიდრო კავშირზე. ასევე პოზიტიური სამართლებრივი ცოდნის და იურიდიული მეთოდოლოგიის ყოველდღიურ სინამდვილესთან თანაფარდობის შესახებ. წამოჭრილი დილემა — მისცენ სტუდენტებს მეტი ცოდნა თუ განუვითარონ არგუმენტაციის და გადაწყვეტილებების მიღების უნარი — მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც მსჭვლოდის საგანი იყო. მართალია, მას შემდეგ სტუდენტთა რიცხვი განუწყვეტილად იზრდებოდა, რის გამოც წამოიჭრა ახალი ე. წ. სწავლების მასობრიობის პრობლემა. იურიდიული განათლების საკითხების შესახებ შექმნილი სამუშაო ჯგუფის (1960 წ.) დასკვნის თანახმად „იდეალური იურისტისაგან“ დღეს ითხოვენ სოლიდურ სპეციალურ ცოდნას, რომელიც უკავშირდება იურიდიული მეთოდის თავისებურებების ათვისებას და სამართლებრივი ტერმინოლოგიის ფლობას, ასევე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ცოდნას, ფართო განათლებას, კარგ ხასიათს და მოსაზრებულობას. 1981

წელს თიუბინგენში გამართულმა იურისტების კონგრესმა ანალოგიური წარმოდგენა დააფიქსირა — იურისტი უნდა იყოს პროფესიულად მომზადებული, შინაგანად დამოუკიდებელი, შექმნილი უნდა ჰქონდეს თავისი პასუხისმგებლობა. ✓ დაახლოებით 1868 წლიდან აღინიშნება ნაკლებად უფრო განათლების ჩარჩოებში პოლიტიკური და სოციალური პრობლემების შესწავლის აუცილებლობა, საუბარია არა მხოლოდ თეორიისა და პრაქტიკის მიზანდასახულ კავშირზე, სასწავლო კურსებიდან დაშორებითი მასალის ამოღებაც, არამედ დგება საკითხი სამართლებრივი რეგულირების სოციალური მხარეების და შედეგების ცოდნის მნიშვნელობისა, სხვა სიტყვებით — დღის წესრიგშია სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცოდნის თანაფარდობა. და მაინც, გერ-ში მოქმედი კანონი ფართო პროფილის იურისტის ორიენტირებას ახდენს უფრო წმინდა პროფესიული თვალსაზრისით. ✓

იურიდიული განათლება მოწოდებულია, სამართლის ცალკეული დარგების შესახებ ინფორმირების საფუძველზე, ფუნდამენტური წარმოდგენა მისცეს სტუდენტს მთელ სისტემაზე, სამართლის პრაქტიკული მნიშვნელობის გამო სტუდენტს ესაუბროება ძირითადი და მონათესავე სამეცნიერო დისციპლინების მეთოდების და შინაარსის ცოდნა. იურიდიული განათლების თანამედროვე მოდელი ძირითადად შეესაბამება 1869 წლის პრუსიული კანონით დადგენილ სტრუქტურას, ე. ი. არსებობს იურისტთა მომზადების ორსაფეხურიანი სისტემა. 1972 წლის მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს იურიდიული განათლების შესახებ: სამართლებრივი დისციპლინების შესწავლა უნივერსიტეტში, როგორც წესი, 3,5 წლის განმავლობაში პირველი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებით; შემდგომ იურიდიული პრაქტიკა 2,5 წლის განმავლობაში და სწავლების მთელი კურსის დამთავრება მეორე სახელმწიფო გამოცდით.

**სამართლებრივი საფუძველები.** ფედერაცია თავის უფლებამოსილებას იურიდიული განათლების სფეროში ახორციელებს ძირითადი კანონის 74-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. ამ სფეროში კონკურენციის პრინციპების შესაბამისად მხარეების კანონმდებლები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას იმდენად, რამდენადაც ფედერაცია თავს იკავებს საკუთარი კანონების მიღებისაგან. მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის მე-15 და მე-18 პარაგრაფების თანახმად, ფედერაცია უკანასკნელ დრომდე შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი პრინციპების მოხაზვით, ამიტომ განსახილველ სფეროში ძირითადად მოქმედებენ მხარეების საკანონმდებლო აქტები.


მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის შეცვლის თაობაზე 1971 წლის 10 სექტემბერს მიღებულ პირველ კანონში ფორმულირებულია „შინიშნავა ექსპერიმენტის შესახებ“ იურიდიული განათლების „კრთსაფეხურიანი“ სისტემის შემოწმების მიზნით. ეს მოდელი თითქმის 18 წლის მანძილზე პრაქტიკულად გამოიყენებოდა გერ-ის ზოგიერთ უნივერსიტეტში. მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის შესწორების თაობაზე 1984 წლის 29 ივლისს მიღებული მესამე კანონი ადგენს, რომ სწავლება გაგრძელდეს ორსაფეხურიანი სისტემით, ამით იურიდიული განათლების სისტემა დაეჭვემდებარა ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე მოქმედ პრინციპებს, მხარეებმა მიიღეს მითითება, რომ განათლების ორგანიზება მოხდეს ფედერაციული სამართლის ნორმების შესაბამისად. მაგალითისათვის შეიძლება ვახსენოთ ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში მოქმედი სამართლებრივი მითითება. საუბარია კანონზე იურისტებისათვის სახელმწიფო გამოცდების და სასწავლო პრაქტიკის შესახებ. მისი რეალიზებისათვის გამოიცა დებულება იურიდიული განათლების შესახებ. ორივე აქტი მოქმედებს 1985 წლის 18 ივლისის რედაქციით. აღმინიშნებული სასამართლოების უკანასკნელი წლების პრაქტიკაში ეს ნორმები დაკონკრეტდა.

## II

### იურიდიული განათლების სამართლებრივი რეგულირების სისტემა

მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონი ფორმულირებულია სამართლებრივი საწყისები განათლების ისეთი ეტაპებისა, როგორცაა სწავლება, პრაქტიკა და სახელმწიფო გამოცდები. კომპეტენციის დანაწილების პრინციპების შესაბამისად კანონი განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სწავლება; ამ მოთხოვნებით ხელმძღვანელობენ პრაქტიკის ორგანიზების დროს, მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად წინასწარი პირობების დაწესებისას, ვინაიდან მოსამართლის თანამდებობაზე დაიშვებიან მხოლოდ მეორე სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ. პირველი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება ჯერ კიდ-





ევ არ ნიშნავს იურიდიული განათლების დასრულებას. გერმანულ სამართალში არ არის დამატებითი იურიდიული განათლების ან სამართლის დიპლომის მიღების ცნება. თუმცა, ზოგიერთ სახელმწიფო ფაკულტეტზე უცხოელ სტუდენტებს გარკვეული ხნიდან შეუძლიათ ერთი წლის განმავლობაში დამატებითი სწავლების გავლის შემდეგ მიიღონ მაგისტრის წოდება. მაგრამ ეს არ იძლევა გერ-ში პროფესიული იურიდიული მოღვაწეობის უფლებას. მხარეების კანონები და დებულებანი იურიდიული განათლების შესახებ აკონკრეტებენ ფედერალურ დონეზე ფორმულირებულ სამართლებრივ საწყისებს გამოცდებზე დაშვების, გამოცდების ორგანიზების და პროცედურის, ასევე პრაქტიკის წარმართვის შესახებ. სასწავლო პროცესის ორგანიზება განეკუთვნება კონსტიტუციური ნორმების სისტემის ცალკეული იურიდიული ფაკულტეტებისათვის მიკუთვნებული ავტონომიური უფლებების სფეროს. ამგვარად, იურისტების მომზადება ხორციელდება რამდენიმე ეტაპად.

**✓** სწავლება უნივერსიტეტში. მოქმედი სამართლით, რომელიც არეგულირებს განათლების საკითხებს, ჰაუნცივერსიტეტო კურსი იყოფა ძირითად ნაწილად და ხაგნების გაღრმავებულად შესწავლის ეტაპად. თუმცა, სასწავლო გეგმებში ამისათვის არ არის გამოყოფილი განსაკუთრებული აუცილი და დრო. აღნიშნულისაგან განსხვავებით მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის „საექსპერიმენტო შენიშვნის“ საფუძველზე მხარეებში ორგანიზებული (ამჟამად გაუქმებული) „ერთსაფეხურიანი“ იურიდიული განათლება ითვალისწინებდა სასწავლო კურსის მკაცრ რეგულირებას საერთო წესით: პირველი ოთხი სემესტრის მანძილზე, ე. ი. ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ სამართლის საფუძვლებს; ამას მოსდევდა პრაქტიკული მეცადინეობები, ბოლოს — სამართლებრივ დისციპლინათა გაღრმავებული შესწავლა. სხვადასხვა ფაკულტეტზე გაღრმავებული სწავლებისათვის არჩეული იყო სხვადასხვა დისციპლინა, მაგრამ უფრო ხშირად ფიგურირებდა მართლმსაჯულების ორგანიზება, მართვა, ეკონომიკა და ფინანსები, შრომითი და სოციალური სამართალი. ამჟამად ჩაოვლები ტარდება მეორე კურსის, ხოლო ჩამორჩენილთათვის — მესამე კურსის დამთავრებამდე. დისციპლინების გაღრმავებული შესწავლა და სპეციალიზაცია ხდება უველა გამოცდის ჩაბარების შემდეგ. ყოველ სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს დამატებითი სამართლებრივი დისციპლინები, ასევე მათი შესწავლის და მეცადინეობებზე დასწრების დრო.

**✓** უნივერსიტეტში შესასწავლი ხაგნები მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის § 5-ის მეორე აბზაცში შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „...ძირითადი დისციპლინები, როგორცაა სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საჯარო და პროცესუალური სამართალი, ასევე „იურიდიულ მეცნიერებათა მეთოდოლოგია და მათი ფილოსოფიური, ისტორიული და სოციოლოგიური საფუძვლებით“ და „არჩევითი დისციპლინები“, რომელთა მიზანია „განათლების დამთავრება და ცოდნის გაღრმავება მათთან დაკავშირებულ სავალდებულო დისციპლინებში“. კანონის ამ დებულებებისაგან დამოუკიდებლად უმაღლესი სასწავლებლის ყოველ მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს და შესთავაზოს თემები თეკციების, სემინარების, კოლოკვიუმებისათვის, ხოლო ფაკულტეტს შეუძლია ისარგებლოს თავისი ავტონომიურობის უფლებით და ჩართოს ისინი სემესტრების პროგრამებში. მაგრამ მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის შესაბამისად მხარეებში იურიდიული განათლების შესახებ დებულების, ასევე იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო გეგმების თანხმად. ფაკულტეტებმა რეგულარულად უნდა განსაზღვრონ გამოცდებზე ჩასაბარებელი ხაგნები. ამ ხაგნთა სია დადგენილია ცალკეული მხარეების კანონებით. ძირითადად ეს ის ხაგნებია, რომლებსაც აბარებენ ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში; სამოქალაქო სამართალი — ზოგადი მოძღვრება, ქონებრივი და ვალდებულებებითი სამართალი, სოჯახო, სამემკვიდრეო, სავაჭრო სამართალი და სამართალი, რომელიც არეგულირებს კომპანიების მოღვაწეობას და ფასიანი ქაღალდების ბრუნვას; სისხლის სამართალი — სისხლის სამართლის კოდექსის ძირითადი და განსაკუთრებული ნაწილები; საჯარო სამართალი — სახელმწიფო სამართალი, სახელმწიფოს თეორიის ძირითადი დებულებები, საერთაშორისო და ევროპული სამართალი, ერთიანი აღმინისტრაციული და აღმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი, ასევე კომუნალური, საპოლიციო და სამშენებლო სამართლის საფუძვლები; შრომით და სოციალური სამართალი — სამართალი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმების და სოციალური სამართლის პრინციპებს; პროცესუალური სამართალი — სამოქალაქო პროცესის პრინციპები, გადაწყვეტილებათა იძულების მეშვეობით შესრულების ჩათვლით, კრედიტორის და გაკატრებული მოვალის ურთიერთობათა რეგულირება, სისხლის სამართლის, აღმინისტრაციული პროცესების და შრომითი საქმეების გარჩევის საფუძვლები, მართლმსაჯულების საფუძვლები; სამართლის საფუძვლები და მეთოდოლოგია — სამართლის თეორიის პრინციპები, იურიდიული სოციოლოგია, სამართლის თვალსაზრისით მნი-

შენდლოვანი ფაქტების გამოკვლევები: ასევე — სამართლის ფილოსოფია, სამართლის და კონსტიტუციის ისტორია. V

სტუდენტის მიერ არჩევით შესასწავლი დისციპლინები მჭიდროდ იყოფა. სწავლებებს კომპლექსური ხასიათი აქვთ. სტუდენტის მიერ არჩევით შესასწავლი დისციპლინები: სამოქალაქო მართლმსაჯულება — სოციალური მეცნიერებებით, სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი პრინციპები, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, საარბიტრაჟო პროცესი;

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება — კრიმინოლოგია, სისხლის სამართალი, რომელიც მოქმედებს ეკონომიკის სფეროებში, სისხლის სამართლის პროცესუალური სამართალი, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის სფეროში მოქმედი სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული დარღვევები, განაჩენის შესრულება; ეკონომიკა და გადასახადები — სამართალი, რომელიც არეგულირებს კომპანიების მუშაობას, სწარმოების მართვაში მონაწილეობის შესახებ სამართლის ჩათვლით; სამართალი, რომელიც არეგულირებს კონკურენციას, ანტიმონოპოლური სამართალი, საგადასახადო სისტემის შესახებ სამართალი; შრომა და სოციალური ურთიერთობანი — სამართალი, რომელიც არეგულირებს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას, სწარმოების ორგანიზებას, ჩინოვნიკების და მოსამსახურეების უფლებებს, სწარმოთა მართვაში მონაწილეობის შესახებ არსებული იმ ნორმების ჩათვლით, რომლებიც ეხება კომპანიების მოღვაწეობას; სამართალი, რომელიც იძლევა დასაქმების გარანტიას და სოციალური დარღვევის უფლებას, სახელმწიფო და მმართველობა — ადმინისტრაციული სამართალი, გარემოს დაცვა, ასევე ევროპული სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის თეორიის პრინციპები; საერთაშორისო ურთიერთობანი — საერთაშორისო კერძო სამართალი, შედარებითი სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო და ევროპული სამართალი. კავშირი სავალდებულო და არჩევით შესასწავლ დისციპლინებს შორის, როგორც წესი, გათვალისწინებულია სამართლის ამა თუ იმ სფეროს ძირითადი მახასიათებლების შესწავლისას. სტუდენტისაგან ითხოვენ რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა იურიტიკისათვის გამართულ სასწავლო დონისძიებებში, რომელთა დროს იგი ეცნობა პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების საფუძვლებს და მეთოდოლოგიას, ფსიქოლოგიას, სასურველია, მაგრამ უყვებოდნენ არ არის უზრუნველყოფილი, რომ გაეცნონ საბუღალტრო აღრიცხვას და ბალანსების ანალიზს.

მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონი მოითხოვს, რომ სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკული მართლმსაჯულების, სამართლებრივი დახმარების წარმართვის და აღმოჩენის გამოცდილება. ამიტომ სასწავლო პროცესის უმთავრესი ნაწილია საკანონმდებლო გადაწყვეტილებების შესწავლა, კლოკვიუმებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე განხილავენ კანონის გამოყენების საკითხებს. სალექციო პერიოდში სტუდენტები სამი თვის განმავლობაში ვადიან პრაქტიკას. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში პრაქტიკა იყოფა ორ ნაწილად: ადვოკატთა კანტორაში და ადმინისტრაციულ დაწესებულებაში. პრაქტიკის მიზანია სტუდენტს შეუქმნას „წარმოადგენა სამართლებრივი და მმართველობითი პრაქტიკის“ შესახებ. ჯერ კიდევ დისკუსიის საგანია, როდის უნდა ჩატარდეს ეს პრაქტიკა — ძირითადი სასწავლო დროის განმავლობაში თუ შემდეგ.

გერმანიის იურიდიული ფაკულტეტების წესდებები არ ითვალისწინებენ გამოცდების ჩაბარებას ყოველი სემესტრის ბოლოს. სასწავლო პერიოდში სტუდენტები სავსებით თავისუფალნი არიან კონკრეტული დისციპლინების არჩევაში, ლექციებზე დასწრებასა და სპეციალური ლიტერატურის კითხვაში. მოქმედი წესებით ყოველი სტუდენტი შესაძლებლობის მიხედვით წლის პირველ ან მეორე ნახევარში უნდა დაესწროს თუნდაც ერთ სემინარს. დამწვები და ასევე მაღალი კურსის სტუდენტები ვადიან პრაქტიკულ მეცადინეობებს სამოქალაქო, სისხლის სამართალსა და საჯარო სამართალში. სწავლების პროცესში მიმდინარეობს კონტროლი მოსწრებაზე წერითი სამუშაოების სახით, რომელთაც საგამოცდო მოთხოვნებით უდგებიან. წერითი სამუშაოებს სტუდენტები ასრულებენ მეოთხე (ჩამორჩენილები — მეექვსე) სემესტრის ბოლომდე. ამ სამუშაოში უნდა უჩვენოს აქვს თუ არა სტუდენტს სათანადო მონაცემები სწავლების გასაგრძელებლად. ამგვარად, წერითი სამუშაოები წარმოადგენს საშუალოდ-ერთადერთ გამოცდას პირველი იურიდიული სახელმწიფო გამოცდის წინ. სტუდენტი, რომელიც ვერ გაივლის ამ შემოწმებას სწავლებას არ ჩამოშორდება, მაგრამ იგი აღარ მონაწილეობს გამოცდებისათვის მოსამზადებელ დონისძიებებში და აღარ დაიშვება მათ ჩასაბარებლად.

როგორც ითქვა, უნივერსიტეტში სწავლება გრძელდება მ, წელი. ამასთან, ფედერაციის და მხარეების წესების თანახმად, მეცადინეობებისათვის გამოყოფილი დრო პრაქტიკულად შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს მ პროცენტით, და თვით მ პროცენტითაც კი, ჩვეულებ-


რივ დროსთან შედარებით. სწავლების პერიოდს მოსდევს საგამოცდო პერიოდი, რომელიც ჩვეულებრივ, 7 თვეს გრძელდება და მთავრდება პირველი იურიდიული სახელმწიფო გამოცდებით. ამ გამოცდის ჩაბარებით სრულდება უნივერსიტეტში სწავლება და გზა იხსნება უმაღლესი სასწავლო პრაქტიკისაკენ.

პირველი იურიდიული სახელმწიფო ბაკალავრიატი. მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის წ 5 პირველი აბზაცში ხაზგასმულია ეს ორი მხარე პირველი სახელმწიფო გამოცდისა. მას ერთობლივად ატარებენ უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები და პრაქტიკანტი იურისტები, რომელნიც დაიშვებიან მოსამართლის თანამდებობაზე. საადგილმამულო სამართლის დებულებათა შესაბამისად, სახელმწიფო გამოცდის ორგანიზებას ახდენს იურიდიული გამოცდების სპეციალური სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც გამოსაცდელთა ყოველი ჯგუფისათვის ადგენს გამოცდელთა კოლეგიას. გამოცდის გადატანა უნივერსიტეტიდან სახელმწიფო ინსტანციაში უნდა იძლეოდეს ობიექტურობის, მოთხოვნების და შეფასების კრიტერიუმების ერთიანობას. ამას გარდა, აღნიშნულის მიზანია განტვირთოს ფაქულტეტები, დაიზოგოს დრო და ხარჯები.

საგამოცდო მოთხოვნებს ზოგადად აყალიბებს ფედერალური სამართალი. მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის წ 5 პირველი აბზაცის თანხმად, გამოცდები ტარდება როგორც წერით, ისე ზეპირად და გარანტირებულია ერთიანი საგამოცდო მოთხოვნები, თუმცა მხარეებმა შეიმუშავეს შეფასების საკუთარი კრიტერიუმები, ასე რომ, სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, ეს მოთხოვნები აერთიანებენ ფედერალისტურ და პლურალისტურ საწყისებს.

ჩრდილოეთ და ცენტრალურ გერმანიაში მოქმედი სისტემა ქვეყნის სამხრეთში მოქმედი სისტემისაგან განსხვავდება წერითი საგამოცდო სამუშაოების რიცხვით. პირველ შემთხვევაში გამოცდა ტარდება სამ ეტაპად, მეორეში — ორ ეტაპად. ზეპირი გამოცდა, რომელიც ბოლო ეტაპია, წარმოადგენს გამოცდელების საუბარს გამოსაცდელთან სამართლის ძირითადი სფეროების პროფესიონალური პრობლემების გარშემო. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში ზეპირ გამოცდაში მონაწილეობს 4 გამოცდელი (კომისიის თავმჯდომარის ჩათვლით) და დაახლოებით 6 სტუდენტი. თითოეულ გამოსაცდელზე იხარჯება საშუალოდ 45 წუთი, ხოლო გამოცდა მთლიანად გრძელდება არა უმეტეს 5 საათისა. საუბარში ჩართულია როგორც სავალდებულო საგნები ისე სტუდენტის მიერ არჩევილ შესწავლილი საგნები. რაც შეეხება წერით გამოცდებს, ბერლინის, ჰამბურგის, ჰესენის, ქვემო საქსონიის, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის და შლეზვიგ-ჰოლშტეინის მხარეებში ითხოვენ საშინაო დავალების წარდგენას. მისი მომზადებისთვის რამდენიმე კვირაა გამოყოფილი. მაგალითად, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში იგი უნდა მომზადდეს 6 კვირის განმავლობაში, რომელიც საკითხის შესახებ სამეცნიერო-სამართლებრივი დასკვნის სახით. გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებში სავალდებულოა 3 (ჰესენში—4) წერითი სამუშაოს შესრულება აუდიტორიაში. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში წერითი სამუშაოს დროს უნდა გადაიჭრას კაუზუსი სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან საჯარო სამართლის სფეროლან. ამისათვის გამოყოფილია 5 საათი. ბადენ-ვიურტემბერგში, ბავარიაში, რაინლანდ-პფალცსა და საარში საჭიროა მხოლოდ საუდიტორიო წერითი სამუშაოების შესრულება; ბადენ-ვიურტემბერგში — 9, სხვაგან — 8 სამუშაო. ამასთან, ძირითადი ყურადღება ექცევა სავალდებულო საგნებს.

მოსწრება ფასდება საერთო ნიშნების და „პუნქტების“ შკალით — „არაღამაკმაყოფილებელიდან“ (0 პუნქტი) „ძალიან კარგის“ (მაქსიმალური 18 პუნქტი) ჩათვლით. აღნიშნული შკალა დადგენილია ფედერალურ დონეზე და სავალდებულოა გერ-ის ყველა მხარისათვის გერ-ის იუსტიციის მინისტრის 1981 წლის 8 დეკემბრის მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის წ 5 მეხამე აბზაცის შესაბამისად. ამგვარად, ყოველ მხარეში ჩატარებული გამოცდების შედეგები უნდა ეფარებოდეს ერთმანეთს, რათა გარანტირებული იყოს პრეტენდენტთა შენების თანაბრობა, ასევე ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილება. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი მთელი ჩაბარებული მასალისათვის იღებს საშუალო ნიშანს არანაკლებ 4 პუნქტისა („ღამაკმაყოფილებელი“). ყველა მხარე იღებს საგამოცდო სისტემას, რომელიც მომავალი იურისტის სხვადასხვა მონაცემის გამოსაკვლევად გარკვეულ დროს ითხოვს. საშინაო დავალება საშუალებას აძლევს გამოსაცდელს ღრმად, მეცნიერული დასაბუთებით და ორიგინალური არგუმენტაციით გადაჭრას კომპლექსური სამართლებრივი პრობლემა. ამ სახით გამოცდის სირთულე იმაშია, რომ საშინაო დავალების შესრულება სრულიად დამოუკიდებლად ხდება. საუდიტორიო სამუშაოები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ზოგადი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები კაუზუსის გადასაჭრელად. ბოლოს, ზეპირი გამოცდა წარმოადგენს იძლევა



გამოსაცდელის პიროვნებაზე, იგი ითხოვს აქტიურ ცოდნას, სწრაფი არგუმენტაციის უნარს. აღსანიშნავია, რომ დღემდე სადისკუსიო საკითხი, როგორი შეხამებით უნდა გამოიყენებოდეს ზემოთ მითითებული სხვადასხვა საგამოცდო მოთხოვნა.

**სტუდენტური პრაქტიკა (სტაჟირება).** პირველი იურიდიული სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ იურისტობის კანდიდატს უფლება აქვს საჯარო სამართლის თანახმად გაიაროს სტაჟირება. მას სტაჟირებაზე უარს ეუბნებიან იმ შემთხვევაში, თუ არ გამოავლენს სათანადო უნარს, ვინაიდან სტაჟირების ადგილების რიცხვი შეზღუდულია, ხოლო პრეტენდენტთა რიცხვი განუსრულად იზრდება. მათ შეიძლება რამდენიმე თვის მანძილზე ვერ მიიღონ ადგილი. სტაჟირებაზე მყოფი სტუდენტი დროებით იღებს ჩინოვნიკის სტატუსს. მართალია, სტუდენტის ჩინოვნიკად გაფორმება არ არის გათვალისწინებული ფედერალური კანონით, მაგრამ მხარეების კანონების საფუძველზე ჩვეულებრივ წესად ითვლება.

1965 წლამდე პრაქტიკა გრძელდებოდა 3,5 წელს, პრაქტიკის ხანგრძლივობა გამოვვეული იყო ფართო მრავალტაპიანი სწავლების და პრაქტიკული გამოცდების მაქსიმალურად დაგროვების აუცილებლობით. ბოლო დროს გავრცელდა მოსაზრება, რომ პრაქტიკანტს შეასწავლონ მხოლოდ დამახასიათებელი მაგალითების საფუძველზე. ამას გარდა, გათვალისწინებული იყო ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება იურისტთა ახალი თაობის ასაკობრივი მახასიათებლების გაუარესებას. ამიტომ, 1965 წლიდან სტაჟირების ვადა შემცირდა 2,5 წლამდე, ხოლო 1971 წელს კანონმდებელმა შეამცირა ვადა 2 წლამდე. მაგრამ 1982 წლიდან ხანგრძლივობა კვლავ 2,5 წლამდე გაიზარდა. ამჟამად ითვლება, რომ ეს არის ოპტიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც დამწყებ იურისტს შეუძლია მიიღოს გარკვეული გამოცდილება პროფესიული მოღვაწეობის ძირითად სფეროებში და თეორიულ ცოდნას შემატოს პრაქტიკული ჩვევები.

მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონი სტაჟირების ადგილის ზღუდავს 7 დაწესებულებით. კანონის 5 თველისწინებს პრაქტიკის გავლას 4 სავალდებულო და 1 სტაჟიორის მიერ არჩეულ დაწესებულებაში. თითოეულ სავალდებულო დაწესებულებაში პრაქტიკა გრძელდება არანაკლებ 8 თვეს, არჩეულში — 6 თვეს. ცალკეულ შემთხვევაში სტაჟირება შეიძლება შეწყდეს ან გახანგრძლივდეს. თუ სტაჟიორი ვერ ჩააბარებს მეორე იურიდიულ სახელმწიფო გამოცდას, იგი შეიძლება დაუბრუნდეს პრაქტიკას (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში — ოთხიდან ცხრა თვემდე ვადით).

მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონი სტაჟირებისათვის სავალდებულო დაწესებულებებად თვლის სამოქალაქო საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოს, სისხლის სამართლის სასამართლოს ან პროკურატურას, ადმინისტრაციულ დაწესებულებებს და ადვოკატურას. სტაჟიორის არჩევით პრაქტიკა შეიძლება გაუგრძელდეს შემოჩამოთვლილ რომელიმე დაწესებულებაში, ფედერაციის ან მხარის საკანონმდებლო ორგანოში, ნოტარიატში, ადმინისტრაციულ, ფინანსურ, შრომით, სოციალურ სასამართლოში, პროფკავშირში, მეწარმეთა კავშირში, თვითმმართველ სამეურნეო, სოციალურ ან პროფესიულ კორპორაციაში, სამეურნეო დაწესებულებაში, საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორის ან უცხოეთის დაწესებულებაში, უცხოეთის ადვოკატურაში ან ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს პროფესიული მოწოდება. უფრო დაწვრილებითი რეგულირება ხდება საადგილმამულო სამართლით. მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის 5 ნ-ს საფუძველზე სამხარეო აქტებმა სტაჟირებად შეიძლება ჩათვალოს, მაგალითად, სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში სწავლა გრძელდება სამ თვეს).

მხარეები სტაჟირების ორგანიზებას სხვადასხვანაირად ახდენენ. როგორც წესი, მომზადების ძირითად ნაწილზე პასუხს აგებენ მასწავლებლები, ე. ი. მოსამართლეები, ჩინოვნიკები, ადვოკატები, რომლებსაც მიამატებს სტუდენტები. ისინი ვალდებული არიან სტაჟიორებს ასწავლონ მიღებული ცოდნის გამოყენება, ხელმძღვანელობენ დამოუკიდებელ მუშაობაში. რა თქმა უნდა, მასწავლებლები უნდა ფლობდნენ შესაბამის პროფესიულ ჩვევებს და პირად თვისებებს, შესაძლებლობის მიხედვით პრაქტიკანტები წარმართავენ ან გადაჭრიან იურიდიული ხასიათის მიმდინარე საქმეებს. ამგვარ მომზადებას პრაქტიკული იუსტიციის სფეროში ავსებს მეცადინეობები წრეებში. წრეები შედგება რამდენიმე პრაქტიკანტისაგან. ისინი პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირთა ხელმძღვანელობით მუშაობენ. წრეებში სტაჟიორებს აჩვენებენ გადაჭრან მართლმსაჯულების, მართვისა და კონსულტირების პრაქტიკული ამოცანები. ტარდება წერიტი სამუშაოები, იკითხება მოხსენებები კონკრეტული საქმეების შესახებ, ახდენენ პროცესების იმიტაციას, საქმეების გაჩრევას, ქველავერი ეს უზრუნველყოფს სტაჟიორების მომზადებას მეორე იურიდიული სახელმწიფო გამოცდისათვის.

სტაჟირების მიზანია დამწყებ იურისტს შეექმნას წარმოდგენა შესაძლო პროფესიონა-

ლურ მოღვაწეობასა და სამართლის სფეროებზე. ეს ცოდნა მას მომავალ მუშაობაში გამოადგება. იურისტთა განათლების არსებული სისტემა ასახავს ცვლილებებს შესაბამის სრულყოფილ ზარზე, მცირდება იუსტიციის სფეროსათვის სპეციალისტთა მომზადება და ფართოდ ვითარდება სპეციალისტთა მომზადება სამართლებრივი დახმარების აღმოსაჩენად.

ზოგაერთ დაწესებულებაში სტაჟირების მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ საერთო წესის თანახმად წ 5 ბ პირველი აბზაცის საფუძველზე ამ დაწესებულებებში სტაჟირების დაწყებამდე ბარდება წერილი გამოცდები. ისინი საშუალებას აძლევენ სტუდენტს დაშვებული იყოს მეორე სახელმწიფო გამოცდაზე. გამოცდების ჩაბარების შემდეგ სტუდენტი თავად ემზადება. ფორმალურად დადგენილია, რომ მჭიდრო კავშირი პრაქტიკულ მომზადებასა და საუნივერსიტეტო კურსს შორის არ არის აუცილებელი. სინამდვილეში ეს ძალზე იშვიათად შეიძინევა.

**მეორე იურიდიული სახელმწიფო ბამოცდა.** სტაჟირება უკავშირდება ხანგრძლივ საგამოცდო პროცედურას და მეორე იურიდიულ სახელმწიფო გამოცდას, რომელიც პირველისაგან განსხვავებით. ეტაპობრივად იწყება. სასწავლო პროცესის ბოლო სტადიაზე მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის თანახმად (წ 5 ბ, აბზაცი 2,) როგორც პირველი, ისე მეორე გამოცდისათვის გათვალისწინებულია წერიითი სამუშაოების წარდგენა და წეპირი გამოცდების საფუძველზე შედგენილ საგამოცდო მოხსენებად და გასაუბრებად (ბავარიაში ტარდება მხოლოდ საგამოცდო გასაუბრება) წერიითი სამუშაოები ტარდება როგორც სავალდებულო დისციპლინაში, ისე იმ სფეროში, რომელსაც არჩევით ეუფლებოდა პრაქტიკანტი. ბადენ-ვიურტემბერგში ტარდება 10 სააუდიტორიო წერიითი სამუშაო, რომლებშიც განიხილავენ სხვადასხვა იურიდიულ სიტუაციას; ბავარიაში — 12; ბერლინში, რაინალდ-პალცსა და საარში — 8, დანარჩენ მხარეებში სავალდებულოა საშინაო დავალების წარდგენა და სააუდიტორიო სამუშაოების შესრულება: ქვემო საქსონიაში — 6, ჰესენში — 5, ბრემენში, ჰამბურგში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიასა და შლესვიგ-ჰოლშტეინში — 4-4 სამუშაო. ამგვარად, მთელი საგამოცდო პროცედურა ტარდება 8 ან 4 ეტაპად.

მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის წ 6-ის თანახმად, გამოცდების შედეგები ძალაშია ბჭრ-ის მთელ ტერიტორიაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ სტაჟირობის პრეტენდენტს ჩარიცხვაზე უარს ვერ ეტყვიან იმ საბაბით, რომ მან პირველი გამოცდა გფრ-ის სხვა მხარეში ჩააბარა. გერმანიის ერთ-ერთ მხარეში სტაჟირების დრო ძალაშია ნებისმიერ სხვა მხარეშიც და ბოლოს მოსამართლის თანამდებობაზე დაშვებულ პირს შეუძლია მიიღოს ეს თანამდებობა ფედერაციაში და ნებისმიერ მხარეში, რაც განპირობებულია კონსტიტუციური უფლებით.

### III

## იურიდიული განათლების პრობლემები და პერსპექტივები

მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის (1984 წლის 15 ივლისის რედაქცია) საფუძველზე შექმნილი ზემოთ აღწერილი განათლების სისტემა თავისი ძირითადი ნიშნებით შეესატყვისება ასეული წლის წინათ ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. მისი მიზანშეწონილობის და დროისადმი შესაფერისობის შესახებ პროფესიონალებსა და წამყვან პოლიტიკურ პარტიებში კამათი დაიწყო მისი მიღებისთანავე. უკანასკნელ ხანს დაუინებით გაისმის მოწოდება რეფორმის ჩასატარებლად, ამ საკითხს მიემდგნა გფრ-ის იურიდიული ფაკულტეტების გერმანული კონგრესის სპეციალური სესია. გერმანული იურისტების კონგრესის ერთ-ერთი სხდომის დროს წესრიგში იყო საკითხი, თუ როგორ შემცირდეს დრო და ამადლდეს იურიდიული განათლების ხარისხი, კერძოდ, ევროპის ეკონომიკური საბჭოს ქვეყნების იურისტებთან კონკურენციის გათვალისწინებით, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში ამ პრობლემაზე მუშაობდა ლანდტაგის სამართლებრივი კომიტეტი. მან რეკომენდაცია მისცა მხარის მთავრობას მოამზადოს წინადადებები იურიდიული განათლების რეფორმის შესახებ.

**განვითარების მიწისუბი, სისტემის საპირთხეობი, რეფორმის საფუძველში, დისკუსია რეფორმის შესახებ გამაფრებულია როგორც დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული მოსაზრებებით, ისე ნაკლავანებით, რომელთა ანალოგი განსაკუთრებით დღეს არის აქტუალური. პერსპექტივის თვალსაზრისით, საუბარი უნდა შეეხოს, უპირველეს ყოვლისა, სწორ და მიზანდასახულ შესაბამისობას თეორიასა და პრაქტიკას, სამართლებრივ დოქტრინასა და სამართლის გამოყენებას, ცოდნასა და ჩვევებს, სავალდებულო და თავისუფალ სწავლას შორის.**

საუბარია ასევე სამართლებრივ და მონათესავე მეცნიერებათა შორის არსებულ კავშირზე პროფესიულ ცოდნას, სპეციალურ მომზადებას და ზოგად სწავლებას შორის. გარდა ამისა, დისკუსიის საგანია იურისტის იდეალური სახე, რომელიც სამართლებრივი მოვლიტივის პოლიციიდან განსაზღვრავს იურიდიული განათლების რეფორმის მიმართულებას და მასთან დაკავშირებულ უნივერსიტეტში სწავლების და იურიდიულ დაწესებულებებში პრაქტიკის ორგანიზებას. იურისტთა სიმრავლე, სწავლების ვადები, სასწავლო მასალის სიუხვე, შედეგარსულ შრომის ბაზარზე იურისტთა კონკურენტუნარიანობა — ყველაფერი ეს დღეს დაუნიშნული ყურადღების საგანია. იურისტთა სიმრავლე იმის შედეგია, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მრავალი სტუდენტი ელის სტუდირებას და შრომის ბაზარზე გამოდის ძალიან ბევრი განათლებული იურისტი, რის გამოც სასწავლო ცენტრები და კვალიფიციური შრომის ბაზარი „გადატვირთულია“. უკანასკნელ წლებში გაიზარდა იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტების და პრაქტიკანტების რიცხვი. მაგალითად, 1989 წელს სტუდირებას გადიოდა 20 000 მომავალი იურისტი. ამჟამად, ქვეყნის მსხუბით არ ხორციელდება შეზღუდვები უნივერსიტეტში მიღებისას, ამიტომ მოცემული საკითხი სერიოზულად არ განხილულა. შედეგად არის, რომ სასწავლო დაწესებულებანი ძალზე გადატვირთულია პედაგოგიური პერსონალის არარსობით. პირველი სახელმწიფო გამოცდის შემდეგ სავალდებულოა სტუდირების ადგილის მიღებისთვის ლოდინი, რაც იწვევს სწავლების დროის გახანგრძლივებას. დიდ რჩება შრომითი მოწყობის საკითხი მეორე სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდგომ, ვინაიდან სახელმწიფო დაწესებულებების შესაძლებლობები ლიმიტირებულია ბიუჯეტით, ახალგაზრდა იურისტთა უფრო და უფრო მეტი რაოდენობა ესწრაფვის საადვოკატო მოღვაწეობის ჯერ კიდევ აუთვისებელ სფეროს. ვარაუდობენ, რომ საუკუნის დამლევისთვის ფერ-ში იქნება 85 000 ადვოკატი. გამოითქვა შეფოთება, რომ გარდაუვალი კონკურენცია მათ შორის გამოიწვევს სამუშაოს დონის დაქვეითებას და ცეხური მორალის დაცემას. დღეს უკვე შეინიშნება იურისტთა უმუშევრობის ნიშნები.

იურისტთა მომზადების ხანგრძლივობა პრობლემა უნივერსიტეტებისათვის და საზოგადოების წარუხვიის საგანია. იგი ამწვავენ იმ ახალბედების კონკურენტუნარიანობას, რომელთაც თავიანთ პროფესიად იურისტობა აირჩიეს. ამ პრობლემას შეეხო იურიდიული განათლების რეფორმის სამთავრობო პროექტიც. თავიდან ფიქრობდნენ, რომ უნივერსიტეტში სწავლების დრო შემცირდებოდა ნაადრევი სპეციალიზაციით, რაც სტუდენტთა განთესვის საშუალებას იძლევა მათ მოსწრებაზე კონტროლის მეშვეობით. მაგრამ იმედები არ გამართლდა. ქვემო სასკოლის მხარის იურიდიული გამოცდების მიმღები დაწესებულებები 1989 წლის სექტარის მონაცემებით მამაკაცი იურისტები პროფესიულ მოღვაწეობას იწყებენ 81 წლის ასაკში, ქალები — დაახლოებით 80 წლის ასაკში. მაშინ, როდესაც ევროპული თანაარსებობის ქვეყნებში შესაბამისი ასაკი 26 წელია. ამგვარი მონაცემები შეფოთების საფუძველია. გერმანელები იურისტები ხანდაზმულნი ხომ არ არიან, აქვთ თუ არა აქტიურობა, რომ გაუმკლავდნენ სამუშაო ადგილისათვის გამართულ კონკურენციას, რომელიც 1992 წლიდან ევროპის შიდა ბაზარზე გაიმართება?

სწორედ აღნიშნულის გამო შეფოთებით არის გამოწვეული განათლების სისტემის კრიტიკა უნივერსიტეტში სტუდენტების ხანგრძლივად ყოფნას რომ მოითხოვს. წესებით გათვალისწინებულ ვადაში სწავლებას ამთავრებს სტუდენტთა 1 პროცენტზე ნაკლები. უმრავლეს შემთხვევაში სწავლების დრო მნიშვნელოვნად გახანგრძლივებულია, მაგალითად, ფერის უკვლავზე დიდ სამხარეო სასამართლოში — ხამის სასამართლოში (ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალია) უკანასკნელ ხანს პირველ იურიდიულ სახელმწიფო გამოცდას ყოველწლიურად აბარებდა სტუდენტების დაახლოებით 1200 კანდიდატი. 1988 წელს გამოსაცდელებს გავლილი ჰქონდათ საშუალოდ 12-15 სემესტრი, ზოლო 1989 წელს უკვე 12-20 სემესტრი. 1988 წელს ზეპირი გამოცდის დღეს გამოსაცდელთა საშუალო ასაკი ცოტათი აღემატებოდა 27 წელს. 1989 წელს იგი გაიზარდა.

სწავლების გახანგრძლივების საფუძველი სხვადასხვაა: სასწავლო და საგამოცდო მასალის მოცულობის გაზრდა, პედაგოგთა უქმარისობა, საგამოცდო მოთხოვნების გაურკვეველობა, სტუდენტთა მოუზადებლობა დამოუკიდებელი მეცადინეობებისათვის და მათი უუნარობა გეგმაზომიერად გაანაწილონ ძალები და საჭირო მომენტში მოახდინონ მათი კონცენტრაცია და ა. შ. სტუდენტებს ხელს უშლის ფინანსური პრობლემაც, რის გამოც საერთოდაც იურიდიული არიან ეძებონ ხელფასიანი სამსახური და შეწყვიტონ სწავლა; სართულეებია ბინასთან დაკავშირებითაც. სწავლაზე უარყოფით გავლენას ახდენს უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ნაკლოვანებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვენტარის უქმარისობასთან, აუდიტო-

რიების გადატირთვასთან და ა. შ. ხშირად სწავლების გახანგრძლივების მიზეზად ასახელებენ მომავლის შიშს, რაც ზოგიერთ სტუდენტს აიძულებს დარჩეს ჩვეულ სასწავლებელში. მაგრამ უკვე ეს მოსაზრება არ ქნის საკმარის საფუძველს განათლების რეფორმის პრაქტიკული კონცეფციის გამოშვება-სათვის. ბევრი რამ არ რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტებით. თუმცა, დისკუსია განათ-ლების შესახებ მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით რეაგირებს ზემოხსენებული მოვლენე-ბის შედეგებზე. ნათელია, რომ ნორმატიული განათლებისათვის საჭიროა მთელი რიგი ხელსაყ-რელი წინამძღვრები: ფინანსური უზრუნველყოფა; ბინა, ტრანსპორტით სარგებლობის საშუა-ლება. ნათელია ასევე, რომ სწავლების პირობები უნივერსიტეტებში უნდა პასუხობდეს გარ-კვეულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება პედაგოგთა პერსონალს, სამუშაო შენობათა და სპეცი-ალიზებული ბიბლიოთეკების მდგომარეობას და ა. შ. საკუთრივ განათლების სისტემა გული-სხმოს სასწავლო დისციპლინების შინაარსს და მთელი სასწავლო პროცესის ორგანიზაციას, გამოცდების და პრაქტიკული მეცადინეობების ჩათვლით.

ბანკოების რეფორმა: იდეაში, მიღებულმა, 60-იან და 70-იან წლებში მიმდინარე დისკუსიებმა რეფორმის შესახებ გამოიწვია მოსამართლეთა შესახებ გერმანული კანონის 6 ნ-ის ექსპერიმენტული შენიშვნის მიღება. ამ შენიშვნის თანახმად, მხარეებს ნება დართოთ შე-მოვლოთ განათლების როგორც ორსაფეხურიანი, ისე ერთსაფეხურიანი სისტემა. ახალი მოდე-ლი აპრობირებული იქნა 7 მხარეში: ბადენ-ვიურტემბერგში (ქალაქი კონსტანტი), ბავარიაში (ქალაქები აუგსბურგი და ბაიროტი), ბრემენსა და ჰამბურგში, ქვემო საქსონიაში (ქალაქი ჰანო-ვერი, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში (ქალაქი ბილფელდ); რაინლანდ-პფალცში (ქალაქი ტრირი), ექსპერიმენტის საფუძველი იყო სხვადასხვა კონცეფცია, მაგრამ მიზანს უკველას ერთი ჰქონდა: სასწავლო და პრაქტიკული ცოდნის გაერთიანება. სწავლების ინტენსიურობის მიღწე-ვა. მაგალითად, ბილფელდში გამოყენებული კონცეფციის თანახმად, სამართლის საფუძველთა შესწავლას მოხდევს პრაქტიკა, ხშირად პრაქტიკის დრო სწავლების პარალელურ პროცესს ემთხვევა. ამას მოყვებოდა სავანების გაღრმავებული შესწავლა წადრევი სპეციალიზაციით. ამასთან, საუ-ნივერსიტეტო მეცადინეობები ორ სემესტრად კი არ იყოფოდა, არამედ გრძელდებოდა შეუ-წყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში. ბანკოებში გამოყენებული კონცეფციით სწავლება მიმდინარეობდა 8 ეტაპად. 2 შესავალი სემესტრი, 7 ძირითადი და სპეციალიზაციის 8 სემეს-ტრი. პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარეობდა ორ უკანასკნელ ეტაპზე სასწავლო პროცე-სში დამატებითი შესვენების გარეშე. ერთსაფეხურიანი სისტემა გათვლილი იყო 5,6 წლისათ-ვის, პრაქტიკულად კი, სწავლა გრძელდებოდა 7 წელს, რაც უფრო ცოტაა, ვიდრე ორსაფეხუ-რიანი მოდელის შემთხვევაში დახარჯული დრო. მიუხედავად ზოგიერთი უპირატესობისა, ეს მოდელი არ დამტკიცდა და არ იქნა მიღებული სანამუშაოდ. მისი კრიტიკოსები მიუთითებდნენ, რომ განათლების ერთსაფეხურიანმა სისტემამ გამოიწვია სასწავლო პროცესის უშიწონო ინტენსი-ფიკაცია, შეზღუდა სასწავლო მასალის მოცულობა და შეამცირა მისი პრაქტიკულად გამოყე-ნების შესაძლებლობანი. გარდა ამისა, მისი განხორციელების დროს საჭიროა პედაგოგთა იმგვარ-ი დახმარება, რომლის განხორციელება იურიდიული ფაქტობრივების გადატირთვის პირობე-ბში ვერ მოხერხდებოდა. სტუდენტები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა დამო-კიდებული იყო ხელფასიან სამუშაოზე, აწყდებოდნენ მატერიალურ სიძინელებს განათლე-ბის ერთსაფეხურიან სისტემაზე დაფუძნებული სწავლების დროს. მართალია, ექსპერიმენტი ჩა-იშალა, მაგრამ მისი კონცეპტუალური ნაწილი დღემდე ბევრს მოსწონს და სტიმულს აძლევს საინტერესო რეფორმატორული წინადადების წამოყენებას.

ნათელია, რომ სწავლებაზე დახარჯული დროის შემცირება მოხდება სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციის ხარჯზე. ხშირად ამტკიცებენ, რომ გერმანელი იურისტების სწავლების ხან-გრძლივობა გამართლებულია მათ მიერ მიღებული განათლების ხარისხიანობით. ამ მოსაზრე-ბის მომხრენი თვლიან, რომ თუ იურისტს აჩვენებ დამოუკიდებლად არსოვნებას, სპეციალური მეთოდოლოგიის ათვისებას და პრობლემისადმი სისტემურ მიდგომას, იგი ბევრად უკეთ არის მომზადებული პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, სწრაფად რეაგირებს ზოგის პირობების შე-ცვლაზე ვიდრე ის, ვინც ინტენსიურად სწავლობდა, მაგრამ ძირითადად მხოლოდ სასწავლო პროგრამას გაეცნო. ამგვარი არგუმენტები მიმართულია განათლების იმ დასავლეთევროპული სისტემების მომხრეთა წინააღმდეგ, რომლებიც ეფუძნება მეცადინეობებზე მკაცრად დასწრებას და სასწავლო დროის შემცირებას.

მხარეებში მოქმედი დებულებანი განათლების შესახებ ადგენს სწავლებისათვის განსაზღ-ვრულ დროს, მაგრამ არ ითვალისწინებს საჭარიმო სანქციებს ამ დროის გადაჭარბების შემთ-

ხვევაში. არსებობს მრავალი სახეობის იმის დასამტკიცებლად, რომ სწავლების ვადების მკაცრად განსაზღვრას ხელსაყრელი შედეგები აქვს, ვინაიდან პრობლემა მდგომარეობს არა განსაზღვრულ პირობებში სწავლების დროზე ადრე დაშთავრებაში, არამედ სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. განათლების სისტემის სრულყოფილება ვლინდება არა განათლების გარკვეულ ვადებში და სრულებით, არამედ მის გონიერ სტრუქტურაში, მიმდევრობასა და მიზანდასახულობაში. არსებითად საჭიროა ზრუნვა, რათა გათვალისწინებული იყოს სტუდენტის ცხოვრების პირობები, რომ არ ჩამოშორდნენ სწავლებას ის სტუდენტები, რომელთაც ვერ შეესაღეს სწავლის დაშთავრება და შედეგად ვადებში, წინასწარვე არ უნდა გამოირიცხოს განსაკუთრებული წესების და ვადების დადგენა იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ რეგულარულად მეცადინეობა. საზოგადოება მოუწოდებს კანონმდებლებს და იურიდიულ ფაკულტეტებს იმგვარად განსაზღვრონ სასწავლო კურსების შინაარსი და ისე ააგონ სასწავლო პროცესი, რომ შეიძლებოდეს პროგრამის დაძვევა დადგენილ ვადებში. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული ღონისძიებანი საერთო აზრით, არ უნდა არღვევდეს პრინციპული მნიშვნელობის მითითებებს სწავლების ორგანიზების შესახებ მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმოდგენების და პირადი ინიციატივის გამოჩენის შესახებთანად.

რეფორმის შესახებ მნიშვნელოვანი ნაწილი წინადადებებისა ეხება სასწავლო მასალის მოცულობას. საქმე ისაა, რომ იგი პრაქტიკულად უსაზღვროა უამრავი საკანონმდებლო აქტის არსებობის, მართლმსაჯულების ინტენსივობის და თეორიული გამოკვლევების სიმრავლის გამო. „ტიპიურ მაგალითებზე სწავლება“ ან „საფუძველთა შესწავლას“ არ შეუძლია უზრუნველყოს მთელი ასათვისებელი მასალის შესახებ წარმოდგენის შექმნა. შედეგი ის არის, რომ მრავალი სტუდენტი სარგებლობს კერძო რეპეტიტორების მომსახურებით. რეპეტიტორთა ინსტიტუტს დიდი ხნის ტრადიცია აქვს და მიუხედავად საუნივერსიტეტო ფაკულტეტების ძალისხმევისა, ვერ მიხერხდა მათი შევიწროება.

იურიდიული ფაკულტეტების წარმომადგენელთა გერმანულმა კონგრესმა ცოტა ხნის წინ წამოაყენა წინადადება—მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ფართო მოცულობის „სასწავლო მასალა“, რომელიც ასახავს სამართლებრივი მეცნიერების მდგომარეობას და მოითხოვს სამართლებრივი სფეროების ან საგნების გამოყოფას და მკაფიოდ განსაზღვრული სავალდებულო დისციპლინების და არჩევით შესასწავლი საგნების „საგამოცდო მასალა“, ამგვარი მიდგომა იწვევს თავისებურ შრომის დანაწილებას: „სასწავლო მასალაზე“ პასუხისმგებელია ფაკულტეტი; „საგამოცდოზე“ — მხარის კანონმდებელი.

სხვადასხვა რეფორმატორული წინადადებები პრინციპში იქიდან ამოდის, რომ სამართლებრივი დისციპლინების შესწავლას უნდა ერთვოდეს პირველ რიგში, ზოგიერთი ჩვევის შექმნა და არა კონკრეტული ცოდნის მიღება. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართო განათლების მიღება, რომელიც შეიძლება ორიენტირი გახდეს პროფესიულ მომზადებაში. იგივე ეხება მეთოდის საკითხებს. სწავლების დროს ძირითადი ყურადღება ეთმობა სავალდებულო დისციპლინებს. ამას გარდა, ცოდნის გაღრმავება უნდა შეეხამოს საკანონო საგნების შესწავლას სტუდენტის არჩევით. შენდება სასწავლო მასალის საზღვრების დადგენა და სტუდენტებს სწორედ ასეთ შემთხვევაში ესაჭიროებათ დაკონკრეტება.

ნებისმიერ სპეციალურ სფეროში მოსწავლეები ეცნობიან არა მხოლოდ რომელიმე პროფესორის მოსაზრებას ან სახელმძღვანელოში გადმოცემულ თეორიებს, არამედ უზარმაზარ ლიტერატურას, კომენტარებს, მონოგრაფიებს, ჟურნალებს, სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულებს. ამიტომ სტუდენტებს ესაჭიროებათ ხელმძღვანელობა და რეკომენდაციები ლიტერატურისა და წყაროების არჩევაში. ისეთ პირობებში, როდესაც იურიდიული განათლების სისტემა მოქმედებს სემესტრის ბოლოს ჩასაბარებელი სერიოზული ჩათვლების, გამოცდების და მხვადასხვა შემოწმებების გარეშე, სულ უფრო ხშირად გაისმის მოთხოვნები, რომ დაწესდეს მიმდინარე კონტროლი მოსწრებაზე, შემოთ აღწერილი და დღეს მოქმედი წესები ე. წ. შესატყვისი კონტროლისა სანიშნოდ ვერ გამოდგება, ვინაიდან ვერ ამართლებს დანიშნულებას, იურიდიული ფაკულტეტების წარმომადგენელთა გერმანულმა კონგრესმა რეკომენდაცია მისცა, შემოიღონ მიმდინარე კონტროლი მოსწრებაზე ერთიანი დავალებების და საკონტროლო ტესტების სახით. ამ სისტემამ უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი, რის შესახებაც კონგრესის გადაწყვეტილებაში ნათქვამია შემდეგი: „საუნივერსიტეტო მომზადების უწყვეტი პროცესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის სწავლების მოწესრიგების და ინტენსივობის მიზნით სასწავლო ღონისძიებათა შესაბამისი ორგანიზაციის გზით, ასევე სწავლების საშუალო ხანგრძლივობის შემცირების მიზნით რეკომენდებულია ცალკეული ფაკულტეტების მიერ მათი მუშაობის რეალური პირობების გათვალისწინებით:



— შესაძლებლობის მიხედვით გაერწიანდეს ტრადიციული დავალებები და უფროსი კურსის სტუდენტებისათვის სამოქალაქო, სისხლის სამართლის და საჯარო სამართალში; ასევე სხვა დავალებები, მაგალითად, სავაჭრო, შრომის და საპროცესო სამართლის სფეროში, გარკვეულ ლექციებთან (სხვადასხვა სემესტრში შესწავლილი მასალის გამეორების ან ღრმად შესწავლისათვის გამართული მეცადინეობების შესაბამისად ისე, რომ დავალებების გასწორება სალექციო მასალის ათვისების გაკონტროლების საშუალებას იძლეოდეს);

— სხვა სალექციო კურსებში, რომელთა შინაარსს არ ეხება ერთიანი დავალებები, შესაძლებლობის მიხედვით ჩატარდეს დამამთავრებელი წერიტი შემოწმებები მთელი სალექციო მასალის ათვისების ეფექტიანობის გასაგებად. დამაკმაყოფილებელი შეფასება რამდენიმე ამგვარი საშუაოსი გამოცდაზე დაშვების პირობა გახდეს;

— სასწავლო გეგმებში შეტანილ იქნეს საკმარისი მეცადინეობები მასალის გამეორების და ღრმად შესწავლისათვის (როგორც სისტემატური კურსების, ისე ცალკეული საგნების და თემების), ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს მეცადინეობები გამოცდებისათვის მოსამზადებელ პერიოდში ცალკეული სამართლებრივი სიტუაციების განხილვისათვის.

ამგვარად, უმეტესი ნაწილი განათლების რეფორმის შესახებ წინადადებებისა, მიმართულია შეთანხმებული ღონისძიებების შემოღებისაკენ, რომელთა რიცხვშია: სასწავლო მასალის შინაარსის დაზუსტება, ძირითადი და დამატებითი სწავლების დროის შეზღუდვა, არასალექციო დროის გამოყენება, სასწავლო ღონისძიებათა ინტენსიფიკაცია (ლექცია და სემინარი), განმეორებითი მეცადინეობები, სასწავლო ჯგუფების შემცირება, სტუდენტებისათვის გაწეული პროფესიული დახმარების გაუმჯობესება. გერმანელი იურისტების კონგრესზე განსახილველად წარდგენილი წინადადების ამოსავალი წერტილია ფართო პროფილის იურისტების მომზადება, სასწავლო დისციპლინების დაყოფა სავალდებულო და არჩევით შესასწავლ საგნებად, განათლების ორსაფეხურიანი სისტემის შენარჩუნება. მაგრამ ტრადიციულ სისტემას ბევრი ეჭვით უყქერის. ჩრდილოეთ ჩაინ-ვესტფალიის მხარეში ლანდტაგის სამართლებრივი კომიტეტის ექსპერტთა თათბირზე 1990 წლის მარტში ვარაუდობდნენ ამჟამინდელი სახელმწიფო გამოცდები შეეცვალოთ სადიპლომო საშუაოსით, ხოლო სტაჟირების და მის შემდგომ სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების ნაცვლად შემოედოთ პრაქტიკული მეცადინეობები არჩეულ პროფესიაში. თუმცა, რეფორმატორთა რადიკალური იდეებს ჭერჭერობით წარმატება არ მოჰყოლია.

პარსპამტჩიშვიდი, რეფორმატორული იდეები, რომლებიც ალბათ, მხედველობაშია მისადები, გერმანელი იურისტების მომზადების ტრადიციული სისტემის ჩარჩოებში თავსდება. ისინი ასახავენ მოძრაობას განახლებული, მაგრამ არა რადიკალურად ახალი ორიენტაციებით. ამისათვის საკმარისი საფუძვლები არსებობს, დღის წესრიგში დგას „სამართლებრივი შეცნირების ევროპიზაციის“ ამოცანა, რაც მოითხოვს განათლების შესაბამისად რეორგანიზებას. მაგრამ მთლიანობაში უაღიბდება ერთიანი წარმოდგენა იურიდიულ განათლებაზე, როგორც მონოლითურზე შინაარსით, დაგეგმვით და სასწავლო დროით, თანაც ისე, რომ არ ირღვევა მისი საფუძვლები, არ ჰქვითდება სწავლების დონე, არ ზარალდება სტუდენტთა პირადი ინიციატივა. საჭიროა სტუდენტებისადმი დახმარება და დიდმა საზოგადოებრივმა პრობლემებმა არ უნდა დაჩრდილოს პერსპექტივა ამ სფეროში. შეცნირება და პრაქტიკა იძლევა იმგვარ განათლებას, რომელიც გარდა სოციალური ცოდნისა, იძლევა პრობლემების გაგების საშუალებას და ახლისადმი ინტერესს აღვიძებს. დისკუსია განათლების რეფორმის შესახებ მწვავედია, ვინაიდან არსებული სისტემა არ პასუხობს დროის მოთხოვნებს. მაგრამ დისკუსია ისე შორს არ არის წასული, რომ გამოჩნდეს რეფორმის კონკრეტული მოდელები.

იუსტიციის სამხარეო სამინისტროები, ლანდტაგები, გერმანელ იურისტთა კონგრესი და იურიდიული ფაკულტეტების წარმომადგენელთა კონგრესი გამუდმებით უბრუნდებიან და სერიოზულად განიხილავენ განათლების პრობლემებს. ამ დაწესებულებების და ორგანიზაციების ავტორიტეტს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ იურიდიული განათლების რეფორმა წარმატებით ჩაივლის.

ეურნალი „სოვეტსკოე გოსულარსტვო ი პრავო“,  
1991 წ., № 4.

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ

1953 წლის 31 მარტი\*

**მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები,**

სურთ რა, რომ განხორციელდეს გაეროს წესდებაში მითითებული მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პრინციპი,

აღიარებენ, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით და თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურებზე; ასევე სურთ, რომ გაეროს წესდების და ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დადგენილებების მიხედვით, გათანაბრდეს მამაკაცებისა და ქალების მიერ პოლიტიკური უფლებების ფლობა და გამოყენება,

გადაწყვეტილებას იღებენ ამ მიზნით დაიდოს კონვენცია,

შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

**მუხლი I.** ქალებს უფლება აქვთ ყველა არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

**მუხლი II.** ქალები შეიძლება არჩეულ იქნენ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, ეროვნული კანონით დაწესებულ ყველა დაწესებულებაში, რომელიც ითხოვს საჯარო არჩევნებს.

**მუხლი III.** ქალებს, მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, უფლება აქვთ დარეკავონ თანამდებობა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სამსახურში და შეასრულონ ეროვნული კანონით დაწესებული ყველა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ფუნქცია.

**მუხლი IV.** 1. მოცემული კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა გაეროს ნებისმიერი წევრისათვის, ასევე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელმაც მიწვევა მიიღო გენერალური ასამბლეისაგან.


2. მოცემული კონვენცია რატიფიცირდება. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს.

**მუხლი V.** 1. მოცემული კონვენცია მისამხრობად ღიაა IV მუხლის 1 პუნქტში მითითებული ყველა სახელმწიფოსათვის.

2. მიმხრობა ხორციელდება გაეროს გენერალური მდივნისათვის მიმხრობის შესახებ დეკლარაციის შესანახად გადაცემით.

**მუხლი VI.** 1. მოცემული კონვენცია ძალაში შედის მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან 90-ე დღეს.

\* კონვენცია ძალაში შევიდა 1954 წლის 18 მარტს.



2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც მიემხრობა ამ კონვენციას, მოახდენს მის რატიფიცირებას, შეეჭვს სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან 90-ე დღეს.

**მუხლი VII.** რომელიმე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების ან მიმხრობის დროს რომელიმე მუხლის გამო გაკეთებული შენიშვნის შესახებ გენერალური მდივანი აცნობებს კონვენციის წევრ-სახელმწიფოებს. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული შეტყობინების თარიღიდან (ან კონვენციის წევრად გახდომიდან) 90 დღის ვადაში აცნობოს გენერალურ მდივანს, რომ იგი არ იღებს შენიშვნას. ასეთ შემთხვევაში ამ სახელმწიფოსა და შენიშვნის გაკეთებელ სახელმწიფოს შორის კონვენცია ძალაში არ შედის.

**მუხლი VIII.** ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გაეროს გენერალურ მდივანს წერილობით აცნობოს მოცემული კონვენციის დენონსირების შესახებ. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივანის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

**მუხლი IX.** ნებისმიერ ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის წამოჭრილი დავისას, ამ კონვენციის გაგების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც მოლაპარაკებებით არ წყდება, დავაში მონაწილე ნებისმიერი მხარის მოთხოვნით საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს, თუ არ არის შეთანხმება რეგულირების სხვა წესის შესახებ\*.

## კონვენცია № 103 დედოჯის დაცვის შესახებ

1952 წლის 28 ივნისი\*

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ მოწვეულმა წევრებმა შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ და შეკრებილმა 1952 წლის 4 ივნისს თავის ოცდამეათე მხარე სესიაზე, დაადგინა მიიღოს რიგი წინადადებები დედობის დაცვის შესახებ,

\* კონვენციის X და XI მუხლები შეტყობინების, ცნობების და ენების შესახებ მოყვანილი არ არის.

სადაც ძალაში შევიდა 1955 წლის 7 სექტემბერს.

გადაწყვიტა ამ წინადადებებს მიეცეს საერთაშორისო კონვენციის ფორმა. 1952 წლის 28 ივნისს მიიღო ქვემოთ კონვენცია, რომელსაც დაერქვა 1952 წლის (გადასინჯული) კონვენცია დედობის დაცვის შესახებ.

**მუხლი 1.** 1. მოცემული კონვენცია გამოიყენება როგორც სამრეწველო საწარმოებში, ისე არასამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებული ქალების, ასევე შინახელოსნების მიმართ.

2. მოცემული კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „სამრეწველო საწარმოები“ აღნიშნავს სახელმწიფო და კერძო საწარმოებს, მათ განყოფილებებს და კერძოდ, მოიცავს:

a) შახტებს, კარიერებს და მომპოვებელი მრეწველობის სხვა საწარმოებს;

b) საწარმოებს, რომლებიც ამზადებენ, გადააკეთებენ, ასუფთავებენ, არემონტებენ, რთავენ, აპირკეთებენ, გასაყიდად ამზადებენ, შლიან ან ანადგურებენ წარმოების საგნებს, ვადამამუშავებელ საწარმოებს, მათ შორის — გემთმშენებლობის საწარმოებს, ელექტროენერჯის და საერთოდ, ენერჯის გამომუშავების, ტრანსფორმაციის, გადაცემის საწარმოებს;

c) სამშენებლო საწარმოებს, რომლებიც დასაქმებული არიან მშენებლობით, აღდგენით, რემონტით, გადაკეთებით და ნგრევით;

d) მგზავრთა გადაყვანით დასაქმებულ სატრანსპორტო საწარმოებს, სატრანსპორტო საწარმოებს, რომელთაც საქონელი გადააქვთ სავტომობილო გზებით, რკინიგზით, საზღვაო ან სამდინარო გზებით, ან ჰაერით საქონლის დოკებში, ნავთმისადგომებში, პლატფორმებზე, საწყობებსა და აერობორტებში დამუშავების ჩათვლით.

3. მოცემული კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „არასამრეწველო სამუშაოები“ აღნიშნავს ყველა სამუშაოს, რომელიც სრულდება შემდეგ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებაში ან სამსახურში, ან დაკავშირებულია მათ ფუნქციონირებასთან:

a) სავაჭრო დაწესებულებანი;

b) ფოსტა და ელექტროკავშირის სამსახურები;

c) დაწესებულებანი და ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთა პერსონალი ძირითადად დაკავებულია საკანცელარიო სამსახურით;

d) საგაზეთო დაწესებულებანი;

e) სასტუმროები, პანსიონები, რესტორნები, კლუბები, კაფეები და საზოლოებრივი კვების სხვა დაწესებულებანი;

j) დაწესებულებანი ავადმყოფთა, ინვალიდთა, უქონელთა და ობოლთა სამკურნალოდ და მოსავლელად;

g) თეატრები და კულტურულ-მასობრივი დაწესებულებანი;

h) საშინაო დაქირავებული შრომა, რომელიც სრულდება კერძო მეურნეობებში; ასევე სხვა არასამრეწველო სამუშაოები, რომელთა მიმართ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო გადაწყვეტს გამოიყენოს თუ არა მოცემული კონვენციის დებულებანი.

4. მოცემული კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები“ ეხება ყველა სამუშაოს, რომლებიც სრულდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ასევე პლანტაციებსა და მსხვილ ინდუსტრიურულ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში.

5. ყველა შემთხვევაში, როდესაც ორტოფობენ გამოიყენონ თუ არა მოცემული კონვენცია ამა თუ იმ სახის საწარმოს, საწარმოს განყოფილებისა ან სა-

მუშაოსადმი, ეს საკითხი გადაწყდება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს შესაბამის მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდგომ, თუ ამგვარი ორგანიზაციები არსებობს.

6. ეროვნული კანონმდებლობით მოცემული კონვენციის გამოყენების სფეროდან შეიძლება ამოღებულ იქნეს საწარმოები, რომლებშიც მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის განსაზღვრებით, დაკავებული არიან მხოლოდ მეწარმის ოჯახის წევრები.

**მუხლი 2.** მოცემული კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „ქალი“ აღნიშნავს ნებისმიერ მდებარეობითი სქესის პირს დამოუკიდებლად ასაკის, ეროვნების, რასის ან რელიგიისა, რომელიც გათხოვილია ან არაა გათხოვილი; ხოლო ტერმინი „ბავშვი“ აღნიშნავს ნებისმიერ ბავშვს დამოუკიდებლად იმისაგან, იყვნენ თუ არა მისი მშობლები დაქორწინებულნი.

**მუხლი 3.** 1. როდესაც ქალი, რომლის მიმართაც გამოიყენება მოცემული კონვენცია, მიიღებს სამედიცინო ცნობას, რომელშიც მითითებულია მოსალოდნელი მშობიარობის დრო, მას უფლება აქვს ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებულ შევებულებაში გავიდეს.

2. ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული შევებულების ხანგრძლივობა, სულ მცირე, 12 კვირას უნდა შეადგენდეს და უნდა მოიცავდეს აუცილებელ მშობიარობის შემდგომ შევებულებას.

3. აუცილებელი მშობიარობის შემდგომი შევებულება დადგენილია ყოველი ქვეყნის კანონმდებლობით, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 6 კვირაზე ნაკლები. ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული შევებულების ნაწილი შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ან მშობიარობის მოსალოდნელ თარიღამდე, ან აუცილებელი მშობიარობის შემდგომი შევებულების ვადის დასრულების შემდგომ, შევებულების ნაწილი შეიძლება აღებულ იქნეს მშობიარობის მოსალოდნელ თარიღამდე, ნაწილი — აუცილებელი მშობიარობის შემდგომი შევებულების ვადის დასრულების შემდგომ; ეს დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის კანონმდებლობაზე.

4. თუ მშობიარობა მოხდა მოსალოდნელი თარიღის შემდეგ, ამ დღემდე აღებული შევებულება გაგრძელებული იქნება, ყოველ შემთხვევაში — მშობიარობის ფაქტიურ დღემდე. ამასთან, აუცილებელი მშობიარობის შემდგომი შევებულება ამის გამო არ შემცირდება.

5. ავადმყოფობის შემთხვევაში, რომელიც სამედიცინო ცნობის მიხედვით ორსულობის შედეგია, ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს შევებულების დამატებით ვადას მშობიარობამდე პერიოდში. შევებულების ვადას განსაზღვრავს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო.

6. ავადმყოფობის შემთხვევაში, რომელიც სამედიცინო ცნობის მიხედვით მშობიარობის შედეგია, ქალს უფლება აქვს მოითხოვოს, მისი მშობიარობის შემდგომი შევებულება. შევებულების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო.

**მუხლი 4.** 1. ქალს, რომელიც მე-3 მუხლის დებულებათა თანახმად, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებულ შევებულებაშია, უფლება აქვს მიიღოს ფულადი და სამედიცინო დახმარება.

2. ფულადი დახმარების მოცულობას ადგენს ქვეყნის კანონმდებლობა იმგვარად, რომ უზრუნველყოს თავად ქალის და ასევე ბავშვის ცხოვრების კარგი პირობები ჰიგიენის თვალსაზრისით და ცხოვრების სათანადო დონე.

3. სამედიცინო დახმარება მოიცავს მშობიარობამდელი, მშობიარობის პერიოდის და მშობიარობის შემდგომ მოვლას და მეთვალყურეობას კვალდიფიკაციური ბებია-ქალების ან ექიმების მიერ, საჭიროების შემთხვევაში — ტრასპორტით ლიზაციას. ამასთან, შესაძლებლობის მიხედვით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სრული თავისუფლება ექიმის არჩევაში, არჩევანის თავისუფლება სახელმწიფო და კერძო სამედიცინო დაწესებულებებს შორის.

4. ფულადი და სამედიცინო დახმარება გაიცემა აუცილებელი სოციალური დაზღვევის სისტემის სახსრებით ან სახელმწიფო ფონდებიდან; ორსავე შემთხვევაში ისინი მიეცემა ყველა ქალს, რომელთა მდგომარეობა აკმაყოფილებს წამოყენებულ პირობებს.

5. ქალებს, რომლებიც ვერ მიიღებენ დასახელებულ ფულად და სამედიცინო დახმარებას, შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი დახმარება საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების ფონდებიდან მათი შემოსავლის შემოწმების პირობით, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების წესით დახმარების აღმოჩენისათვის.

6. როდესაც ფულადი დახმარება გაიცემა აუცილებელი სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, მისი მოცულობა განისაზღვრება ხელფასის საფუძველზე და იგი უნდა შეადგენდეს სულ მცირე, ხელფასის ორ მესამედს.

7. ყოველგვარი შესატანი, რომელიც გადახდილია აუცილებელი სოციალური დაზღვევის სისტემის თანახმად, ითვალისწინებს დახმარებას ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით, ასევე გადასახადები; დაფუძნებული გადასახდელი ხელფასის საერთო მოცულობაზე და შეკრებილი ამგვარი დახმარების გასაწევად, გადახდილი იქნება მოცემულ დაწესებულებაში დასაქმებული მამაკაცების და ქალების მიერ სქესის საფუძველზე განსხვავების გარეშე და დამოუკიდებლად იმისაგან, იხდიან მას მშრომელები და მეწარმენი, თუ მხოლოდ მეწარმენი.


8. მეწარმე არავითარ შემთხვევაში პირადად არ არის პასუხისმგებელი მასთან და დასაქმებული ქალებისათვის ამგვარი დახმარების გაცემაზე დახარჯული თანხებისათვის.

**მუხლი 5. 1.** თუ ქალი ძუძუთი კვებას ბავშვს, მას უფლება აქვს ბავშვის გამოკვების მიზნით, რამდენიმე შესვენებით შეწყვიტოს სამუშაო დღე. შესვენებების ხანგრძლივობას ადგენს ქვეყნის კანონმდებლობა.

2. შესვენება ითვლება სამუშაო საათებში და ანაზღაურდება იმ შემთხვევებში, როცა ეს საკითხი რეგულირებულია კანონმდებლობით ან მის შესაბამისად; იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი რეგულირებულია კოლექტიური ხელშეკრულებით, იგი განისაზღვრება ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

**მუხლი 6.** როდესაც ქალი მე-3 მუხლის დებულებათა თანახმად, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებულ შევთულებაშია, მეწარმის მიერ ქალის დათხოვნის ბრძანებულება, გაცემული მისი არყოფნის დროს ან იმ დროს, როდესაც შესრულების ვადა ემთხვევა მის არყოფნას, წარმოადგენს უკანონოს.

**მუხლი 7. 1.** შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა მოცემული კონვენციის რატიფიცირება, შეუძლია სარატიფიკაციო დოკუმენტზე დანართით განაცხადოს, რომ მოცემული კონვენცია არ ვრცელდება:



a) ზოგიერთი კატეგორიის არასამრეწველო სამუშაოებზე;

b) სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შესასრულებელი ზოგიერთი კატეგორიის სამუშაოებზე (გარდა პლანტაციებში შესასრულებელი სამუშაოებისა);

c) კერძო მეურნეობებში შესასრულებელ ზოგიერთი სახის საშინაო დაქირავებულ შრომაზე;

d) ზოგიერთი კატეგორიის შინახელოსანთა შრომაზე;

e) ზღვით მგზავრთა გადამყვანი და ტვირთის გადამტანი ზოგიერთი კატეგორიის სატრანსპორტო საწარმოებზე.

2. კატეგორიები სამუშაოებისა და საწარმოებისა, რომელთა მიმართ გამოყენებული იქნება მოცემული მუხლის 1 პუნქტის დებულებები, მითითებული იქნება სარატიფიკაციო დოკუმენტზე დართულ განცხადებებში.

3. ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მსგავსი განცხადება გააკეთა, შეუძლია სრულებით ან ნაწილობრივ მოახდინოს მისი ანუღირება ახალი განცხადებით.

4. ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლის მიმართაც ძალაში შევიდა ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება, აცნობებს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში ამ კონვენციის გამოყენების, თავისი კანონმდებლობის და პრაქტიკის მდგომარეობის შესახებ სამუშაოებისა და საწარმოების მიმართ, რომლებზედაც განცხადების თანახმად, ვრცელდება მოცემული მუხლის 1 პუნქტი; ასევე იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში კონვენცია, ან როგორ გატარდება იგი მოცემული სამუშაოების და საწარმოების მიმართ.

5. კონვენციის თავდაპირველი ძალაში შესვლიდან ხუთწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭო კონფერენციას წარუდგენს სპეციალურ მოხსენებას ამ გამოწვევის გამოყენების შესახებ. მოხსენებაში მითითებული უნდა იყოს ღონისძიებანი, რომლებიც ამ თვალსაზრისით მისაღებია.

**მუხლი 8.** მოცემული კონვენციის რატიფიცირების შესახებ ოფიციალური დოკუმენტები რეგისტრაციისთვის ეგზავნება შრომის საერთაშორისო ბიუროს დირექტორს.

**მუხლი 9.** 1. მოცემული კონვენცია აკავშირებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იმ წევრებს, რომელთა სარატიფიკაციო დოკუმენტები რეგისტრირებულია გენერალური დირექტორის მიერ.

2. კონვენცია ძალაში შედის 12 თვის შემდეგ; ორგანიზაციის ორი წევრის სარატიფიკაციო დოკუმენტის რეგისტრაციას მოახდენს გენერალური დირექტორი.

3. შემდგომ მოცემული კონვენცია ორგანიზაციის ყოველი წევრისათვის ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღიდან 12 თვის გასვლის შემდეგ.

**მუხლი 10.** 1. შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე ვაგზავნილი განცხადებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიცავს მითითებებს:

a) ტერიტორიების შესახებ, რომელთა მიმართ ორგანიზაციის მოცემული წევრი კონვენციის დებულებებს გამოიყენებს უცვლელად;

b) ტერიტორიების შესახებ, რომელთა მიმართ ორგანიზაციის მოცემული წევრი კონვენციის დებულებებს გამოიყენებს ცვლილებებით და ამ ცვლილებათა დეტალებს;

c) ტერიტორიების შესახებ, სადაც არ შესრულდება მოცემული კონვენცია და ამის მიზეზები;

d) ტერიტორიების შესახებ, რომელთა მიმართ ახდენს თავისი გადაწყვეტილების რეზერვირებას მდგომარეობის შემდგომ განხილვამდე.

2. მოცემული მუხლის 1 პუნქტის a და b პუნქტებში მითითებული ვალდებულებანი რატიფიკაციის განუყოფელი ნაწილია და მასთან თანაბარი შედეგები აქვს.

3. ორგანიზაციის ყოველ წევრს შეუძლია ახალი განცხადებით მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას ამ მუხლის 1 პუნქტის b, c, d ქვეპუნქტებში განცხადებულ შენიშვნებზე.

4. ორგანიზაციის ყველა წევრს შეუძლია პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ამ კონვენციის დენონსირება მე-12 მუხლის თანახმად, გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნოს ახალი განცხადება, რომელიც ნებისმიერი სხვა დამოკიდებულებით ცვლის წინა განცხადების პირობებს და აცნობებს გარკვეულ ტერიტორიებზე ამჟამად არსებულ ვითარებას.

**მუხლი 11.** 1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების 35-ე მუხლის 4 და 5 პუნქტების თანახმად, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი განცხადებები მიუთითებენ, მოცემული კონვენცია შესაბამის ტერიტორიაზე გამოიყენება უცვლელად თუ ცვლილებებით. თუ განცხადებაში ნათქვამია, რომ კონვენცია გამოიყენება ცვლილებებით, მითითებული იქნება ეს ცვლილებები.

2. ორგანიზაციის შესაბამის წევრს ან წევრებს ან საერთაშორისო ხელისუფლებას შეუძლია ახალი განცხადების საფუძველზე სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას წინა განცხადებაში მითითებული ცვლილებების გამოყენების უფლებაზე.

3. ორგანიზაციის შესაბამის წევრს ან წევრებს, ან საერთაშორისო ხელისუფლებას შეუძლია პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შეიძლება კონვენციის დენონსირება მე-12 მუხლის დებულებათა თანახმად, გენერალურ დირექტორს გაუგზავნოს განცხადება, რომელიც ნებისმიერი სხვა სახით ცვლის წინა განცხადებას და აცნობებს ამ კონვენციის გამოყენების თვალსაზრისით, შესაბამისი მდგომარეობის შესახებ.

**მუხლი 12.** ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება, შეუძლია მისი თავდაპირველი ძალაში შესვლის დროიდან ათწლიანი პერიოდის გასვლის შემდგომ შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილი დენონსაციის შესახებ აქტივით მოახდინოს კონვენციის დენონსირება. აქტის რეგისტრაციას ახდენს გენერალური დირექტორი, დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის შესახებ აქტის რეგისტრაციიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ\*.

\* კონვენციის 18-17 მუხლები მისი რატიფიცირების, დენონსაციის, გადახინჯვის, ენების შესახებ მოყვანილი არ არის.



**მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები,**

**მხედველობაში იღებენ,** რომ მოქალაქეობასთან დაკავშირებული კოლიზიები სამართალსა და პრაქტიკაში არის შედეგი ქალის მიერ გათხოვების, განქორწინების დროს მოქალაქეობის მიღების ან დაკარგვის, ან ქორწინების დროს ნეულის მიერ მოქალაქეობის შეცვლისას მოქალაქეობის შექმნის ან დაკარგვის შესახებ არსებული დადგენილებებისა,

**მხედველობაში იღებენ,** რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიუთითა: „ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება“ და რომ „არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება“.

**სურთ რა,** ითანამშრომლონ გაეროსთან, რათა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს იცავდნენ საყოველთაოდ, სქესის განურჩევლად, შეთანხმდნენ ჭვემორე მუხლების გამო:

**მუხლი 1.** მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე თანხმდება, რომ მის მოქალაქესა და უცხოელს შორის არც დაქორწინება, არც განქორწინება, არც ნეულის მიერ მოქალაქეობის შეცვლა ავტომატურად არ აისახება ცოლის მოქალაქეობაზე.

**მუხლი 2.** მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარე თანახმაა, რომ მისი მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება, ან თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმა ხელს არ შეუშლის მის ცოლს შეინარჩუნოს თავისი მოქალაქეობა.

**მუხლი 3.** 1. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე თანხმდება, რომ უცხოელ ქალს, რომელიც ცოლად გაჰყვა მის მოქალაქეს, შეუძლია თავისი თხოვნის საფუძველზე მიიღოს ქმრის მოქალაქეობა ნატურალიზაციის გამარტივებული წესით. მოქალაქეობის ამგვარად მინიჭება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე.

2. მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე თანხმდება, რომ მოცემული კონვენცია არ უნდა იყოს ისე გაგებული, თითქოს ლახავს რაიმე კანონმდებლობას ან სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, მის მოქალაქეზე გათხოვილი უცხოელი ქალი იღებს ქმრის მოქალაქეობას.

**მუხლი 4.** 1. მოცემული კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად და რატიფიცირებისათვის გაეროს ნებისმიერი წევრი-სახელმწიფოსათვის, ასევე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის ან მომავალში გახდება გაეროს რომელიმე სპეციალიზებული დაწესებულების ან საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის წევრი; ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც მიწვევა გაუზავნა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ.

2. მოცემული კონვენცია რატიფიცირდება. სარატიფიკაციო სიგელები შესაძლებელია ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

\* კონვენცია ქალთა უფლებების შესახებ 1958 წლის 11 აგვისტოს.

**მუხლი 5.** 1. მოცემული კონვენცია მიმხრობისათვის ღიაა მე-4 მუხლის 1 პუნქტში მითითებული ყველა სახელმწიფოსათვის.

2. მიმხრობა ხორციელდება გაეროს გენერალური მდივნისათვის მიმხრობის შესახებ სიგელის შესანახად გადაცემით.

**მუხლი 6.** 1. მოცემული კონვენცია ძალაში შედის მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ სიგელის შესანახად გადაცემიდან 90-ე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც მიემხრობა ამ კონვენციას ან მოახდენს მის რატიფიცირებას მეექვსე სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ სიგელის შესანახად ჩაბარების შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ სიგელის შესანახად გადაცემიდან 90-ე დღეს.

**მუხლი 7.** 1. მოცემული კონვენცია გამოიყენება ყველა არათვითმმართველობითი, კოლონიალური, მზრუნველობის ქვეშ მყოფი და მეტროპოლიაში არშემავალი სხვა ტერიტორიების მიმართ, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხს აგებს მოლაპარაკებაში მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო. ამ მუხლის დებულებების დაცვის პირობით ეს სახელმწიფო ხელმოწერის, რატიფიცირების ან მიმხრობის დროს აცხადებს მეტროპოლიაში არშემავალი რომელი ტერიტორიების მიმართ გამოიყენება ეს კონვენცია ipso facto ამგვარი ხელმოწერის, რატიფიცირების ან მიმხრობის შედეგად.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც არ განიხილება მეტროპოლიაში არშემავალი ტერიტორიის საკითხი, ვინაიდან საქმე ეხება მეტროპოლიის ტერიტორიის ერთიან მოსახლეობას, ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემული კონვენციის გამოყენებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის საკონსულტაციო კანონების ან პრაქტიკის ან მეტროპოლიაში არშემავალი შესაბამისი ქვეყნის საფუძველზე საჭიროა ამ უკანასკნელის თანხმობა, მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ამ ტერიტორიის თანხმობა სახელმწიფოს კონვენციის ხელმოწერიდან 12 თვის ვადაში. თანხმობის არმიღების შემთხვევაში იგი აცნობებს ამის შესახებ გაეროს გენერალურ მდივანს. მოცემული კონვენცია შეტყობინებაში ნახსენები ტერიტორიის ან ტერიტორიების მიმართ გამოიყენება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან.

3. ამ მუხლს მე-2 პუნქტში ნახსენები 12 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ მოლაპარაკებაში მონაწილე შესაბამისი მხარეები აცნობებენ გენერალურ მდივანს მეტროპოლიაში არშემავალ ტერიტორიებთან კონსულტაციის შედეგებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ისინი აგებენ პასუხს, და რომელთაგანაც ვერ მიიღეს თანხმობა ამ კონვენციის გამოყენების თაობაზე.

**მუხლი 8.** 1. ამ კონვენციის 1 და 2 მუხლების გარდა, ნებისმიერი მუხლის-სადმი შეიძლება შენიშვნის გაკეთება ხელმოწერის, რატიფიცირების ან მიმხრობის დროს.

2. თუ რომელიმე სახელმწიფო შენიშვნას აკეთებს ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ამ კონვენციას აუცილებელი ხასიათი აქვს შენიშვნის გამკეთებელ სახელმწიფოსა და კონვენციის სხვა მონაწილეებს შორის ურთიერთობებში, გარდა იმ დებულების ან დებულებებისა, რომელთა მიმართაც გაკეთებულია შენიშვნა. გაეროს გენერალური მდივანი ამ შენიშვნის ტექსტს აცნობებს მოცემული კონვენციის ყოველ წევრს, ასევე სახელმწიფოებს, რომლებიც გახდენ-

ბიან მისი წევრები. ნებისმიერ წევრს ან მომავალ წევრს შეუძლია გაეროს გენერალური მდივანს შეატყობინოს, რომ იგი არ თვლის თავს ვალდებულად კონვენციით დაკავშირებული იყოს სახელმწიფოსთან, რომელმაც გააკეთა შენიშვნა. ამგვარი შეტყობინება კეთდება მოცემული კონვენციის წევრების მიერ გენერალური მდივანს შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში; შემდგომი მონაწილენი შეტყობინებას აკეთებენ სარატიფიკაციო ან მიმხრობის შესახებ სიგელის დებონირებიდან 90 დღის ვადაში. ამგვარი შეტყობინების შემთხვევაში კონვენცია არ მოქმედებს შეტყობინების და შენიშვნის განმცხადებელ სახელმწიფოებს შორის.

3. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც შენიშვნა გააკეთა ამ მუხლის 1 პუნქტის თანახმად, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს იგი ნებისმიერ დროს გენერალური მდივანს სახელზე გაგზავნილი შეტყობინებით. შეტყობინება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

**მუხლი 9.** 1. მოლაპარაკებაში მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გაეროს გენერალური მდივანს აცნობოს მოცემული კონვენციის დენონსირების შესახებ. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივანს მიერ შეტყობინების მიღებიდან 1 წლის შემდეგ.

2. მოცემული კონვენცია ძალას კარგავს დენონსაციის შემდეგ, რომლის შემდეგაც კონვენციის მონაწილეთა რიცხვი ექვსზე ნაკლებია.

**მუხლი 10.** ნებისმიერი დავა მოლაპარაკებაში მონაწილე ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის ამ კონვენციის ვაგების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც არ წყდება მოლაპარაკებებით, დავაში მონაწილე ნებისმიერი მხარის მოთხოვნით, გადასაწყვეტად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ რეგულირების სხვა წესის შესახებ\*.

## კონვენცია დაქორწინებაზე თანხმობის ქორწინების ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ

1982 წლის 7 ნოემბერი\*

### მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოები,

სურთ რა, რომ გაეროს წესდების თანახმად, წახალისონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემა და დაცვა რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად;

მხედველობაში იღებენ, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლით ვათვალისწინებულია შემდეგი:

„1) მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც სრულწლოვანებას მიაღწიეს, უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის საფუძველზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი. ისინი სარგებლობენ თანაბარი უფლებებით დაქორწინების, ქორწინების პერიოდის და განქორწინების დროს.

\* კონვენციის 11 და 12 მუხლები კონვენციის წევრებისათვის მიხი ხელმოწერის, რატიფიცირების, დენონსაციის ცნობების და ენების შესახებ მოყვანილი არ არის.

\* კონვენცია ძალაში შევიდა 1984 წლის 9 დეკემბერს. სსრკ-ს არ მოუხდენია მისი რატიფიცირება.

2) დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობის შემთხვევაში“.

**მხედველობაში იღებენ** აგრეთვე, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის 1954 წლის 17 დეკემბრის 843 (IX) რეზოლუციაში მითითებულია ზოგიერთი ადამიანი, მოძველებული კანონი და პრაქტიკა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება გაეროს წესდებაში და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს;

**ადასტურებენ**, რომ ყველა სახელმწიფომ, მათ შორის მათ, რომელთაც ეკისრება ან რომელიც თავის თავზე იღებს არათვითმმართველობითი და მზრუნველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიების მართვას მათ მიერ თავისუფლების მიღწევამდე, უნდა მიიღოს ზომები, რათა გაუქმდეს ასეთი ადამიანი, მოძველებული კანონები და პრაქტიკა. კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეუღლის თავისუფალი არჩევის და არასრულწლოვანთა ქორწინების გაუქმების პრაქტიკის დაწესება, აიკრძალოს გოგონების სქესობრივ მოუმწიფებლობამდე წინასწარი შეთანხმებების დადება მათი გათხოვების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში დადგენილი იქნეს საჭირო სასჯელები და შემოღებულ იქნეს მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეესტრი ან სხვა რეესტრი, რომლითაც მოხდება ყველა ქორწინების რეგისტრაცია;

**შეთანხმდნენ** შემდეგი მუხლების გამო:

**მუხლი 1.** 1. არ დაიშვება ქორწინება მექორწინე მხარეების სრული და თავისუფალი თანხმობის გარეშე, რაც მათ უნდა გამოთქვან პირადად, კანონის შესაბამისად, სათანადოდ გამოკვლავების შემდეგ, მოწმეებისა და ხელისუფლების წარმომადგენლის თანდასწრებით, რომელსაც აქვს ქორწინების გაღორმების უფლება.

2. მაგრამ მიუხედავად ამ მუხლის 1 პუნქტის დებულებებისა, ერთ-ერთი მხარის დასწრება არ არის აუცილებელი, თუ ხელისუფლების კომპეტენტური წარმომადგენელი დარწმუნდება, რომ ადგილი აქვს განსაკუთრებულ შემთხვევას და რომ, ამ მხარემ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის წინაშე, კანონით დადგენილი წესით, განაცხადა თანხმობა.

**მუხლი 2.** კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ გამოქვეყნებული იქნება საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც დადგენილი იქნება მინიმალური საქორწინო ასაკი. დაუშვებელია დაქორწინება პირისა, რომელსაც დადგენილი ასაკისათვის არ მიუღწევია, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ მექორწინე მხარეთა ინტერესების დასაცავად დაუშვა გამონაკლისი სერიოზული მიზეზების გამო.

**მუხლი 3.** ყოველი ქორწინების რეგისტრაცია ხდება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ შესაბამის ოფიციალურ რეესტრში.

**მუხლი 4.** 1. მოცემული კონვენცია 1963 წლის 31 დეკემბრამდე ღიაა ხელმოსაწერად გაეროს ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი-სახელმწიფოებისათვის, ასევე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციის წევრად მიიწვია გენერალურმა მდივანმა.

2. მოცემული კონვენცია რატიფიცირდება. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებულია გაეროს გენერალურ მდივანთან.

**მუხლი 5.** 1. მოცემული კონვენცია მიმხრობისათვის ღიაა, მეოთხე მუხლის 1 პუნქტში მითითებული სახელმწიფოებისათვის.

2. მიმხრობა ხორციელდება მიმხრობის შესახებ სიგელების გაეროს გენერალურ მდივანთან დეპონირებით.

**მუხლი 6.** 1. მოცემული კონვენცია ძალაში შედის მერვე სარატიფიკაციო სიგელის ან მიმხრობის შესახებ სიგელის დეპონირებიდან 90-ე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც მიემხრობა ამ კონვენციას ან მოახდენს მის რატიფიცირებას მერვე სარატიფიკაციო ან მიმხრობის შესახებ სიგელების დეპონირების შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო ან მიმხრობის შესახებ სიგელის დეპონირებიდან 90-ე დღეს.

**მუხლი 7.** 1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გაეროს გენერალურ მდივანს წერილობით აცნობოს მოცემული კონვენციის დენონსირების შესახებ. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

2. მოცემული კონვენცია ძალას კარგავს დენონსაციის შემდეგ, რომლის შედეგადაც კონვენციის მონაწილეთა რიცხვი რვაზე ნაკლებია.

**მუხლი 8.** ნებისმიერ ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის წამოჭრილი დავისას ამ კონვენციის გაგების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც მოლაპარაკებებით არ წყდება, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ რეგულირების სხვა წესის შესახებ, დავაში მონაწილე ყველა მხარის მოთხოვნით საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს.

**მუხლი 9.** გაეროს გენერალური მდივანი გაეროს ყველა წევრ-სახელმწიფოს, აგრეთვე, მოცემული კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტში მითითებულ არაწევრ სახელმწიფოებს აცნობებს:

a) კონვენციის ხელმოწერის და სარატიფიკაციო სიგელის მიღების შესახებ მე-4 მუხლის თანახმად;

b) მიმხრობის შესახებ სიგელის მიღებისას მე-5 მუხლის თანახმად;

c) მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის დღის შესახებ მე-6 მუხლის თანახმად;

d) მე-7 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, მიღებული დენონსაციის შეტყობინებების შესახებ;

e) კონვენციის მიერ ძალის დაკარგვის შესახებ მე-7 მუხლის 2 პუნქტის თანახმად;

**მუხლი 10.** 1. მოცემული კონვენცია, რომლის ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტურია, შესანახად გადაეცემა გაეროს არქივს.

2. გაეროს გენერალური მდივანი ამ კონვენციის დამოწმებულ ასლებს გადასცემს გაეროს წევრ-სახელმწიფოებს და მე-4 მუხლის 1 პუნქტში მითითებულ არაწევრ სახელმწიფოებს.

## გაფართოებული კოლეგიის სხდომა

1991 წლის 19 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში გაიმართა გაფართოებული კოლეგიის სხდომა, სადაც განიხილეს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მიერ მიმდინარე წლის ცხრა თვეში ჩატარებული მუშაობის შედეგები.

გაფართოებული კოლეგიის სხდომა გახსნა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცუთიანმა. ასეთი ღონისძიება პირველად ტარდება, აღნიშნა მან და იმედი გამოთქვა, რომ იგი ბევრად შეუწყობს ხელს სასამართლო ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. შემდეგ მინისტრი შეეხო მოსამართლეთა სამუშაო და მატერიალური პირობების გაუმჯობესების რეალურ პერსპექტივებს.

რესპუბლიკის სასამართლოების მუშაობის ცხრა თვის შედეგებზე ვრცელი მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ტალიაშვილმა.

საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გართულებას თან მოჰყვა დანაშაულის მკვეთრი ზრდა, — თქვა მომხსენებელმა, — იმატა მძიმე კატეგორიის დანაშაულობათა რიცხვმა; მათ შორის, განზრახ მკვლელობამ — 46,5 პროცენტით, ძარცვამ — 17,7, სხეულის მძიმე დაზიანებამ 37,4, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის გატაცებამ — 196,4 პროცენტით. დამაფიქრებელია, რომ დანაშაულის ასეთი მკვეთრი ზრდის პერიოდში სასამართლოებში კლებულა განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა ოდენობა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის სასამართლოებმა განიხილეს 4025 სისხლის სამართლის საქმე 4569 პირის მიმართ, რაც 24,9 პროცენტით ნაკლებია გასულ წელთან შედარებით. დანაშაულის წინააღმდეგ რომელ ბრძოლაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ყაჩაღობა წინა წელთან შედარებით გაზარდილია 201,6 პროცენტით, ხოლო სასამართლოებში ყჩაღობისათვის მსჯავრდებულთა რიცხვმა, პირიქით, 23,4 პროცენტით იკლო. ეს ცხადია, საოცარი დისბალანსია, მაგრამ, ამჯერად, სხვა საკითხი უფრო გვიინტერესებს — როგორ მოხდა, რომ სასამართლოებში განსახილველად შესული საქმეების ოდენობამ იკლო, ხოლო ვადის დარღვევებმა მოიმატა — სტატისტიკის მიხედვით, ცხრა თვეში სასამართლოებმა ვადის დარღვევით განიხილეს 356 სისხლის სამართლის საქმე, ე. ი. განხილულ საქმეთა 8,8 პროცენტი, რაც მეტია წინა წელთან შედარებით (6,8 პროცენტი). მიზეზებს რა გამოიღვეს, მაგრამ როგორ შეძლო კოათურის, ტყისულის, გურჯაანის, სიღნაღის და სხვა ათმა სასამართლომ, რომ არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ვადა არ დაერღვია, ხოლო ზესტაფონის სასამართლოში ყოველი მეხუთე საქმე ვადის დარღვევით არის განხილული, ქარელის რაიონში ვადის დარღვევამ 13,6 პროცენტი შეადგინა, თელავის სასამართლოში — 15,6, ხოლო წყალტუბოს რაიონში — 31,6 პროცენტი, როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ გარდაბნის რაიონის მოსამართლე ქალაქშილი განხილული 98 სისხლის სამართლის საქმიდან მხოლოდ 7 საქმეზე არღვევს ვადას, ხოლო თბილისის დიდუბის რაიონის 4 მოსამართლე იხილავს სულ 88 სისხლის სამართლის საქმეს და ორჯერ მეტ საქმეზე არღვევს ვადას. როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, — ვადის დარღვევების ძირითადი მიზეზებია უსაფუძვლო ექსპერტიზები, უკანონო შეჩერებები, არასწორი აცილებები და პროცესის მოუშაადებლობის ფაქტები. მაგალითად, ე. თთარაშვილის სისხლის სამართლის საქმე თელავის რაიონის სასამართლოში განსახილველად შევიდა 1990 წელს, ასცილდა მოსამართლე ლ. გარსევანიშვილს, ხოლო 1991 წლის 15 თებერვლიდან წარმოებაში ჰქონდა სასამართლოს თავმჯდომარეს მ. პოპიაშვილს, რომელიც ჯერ ეცადა უსაფუძვლოდ აცილებინა ეს საქმე, შემდეგ კი პროცესის მოუშაადებლობის გამო საქმის განხილვა მრავალჯერ გადადო და საქმე დღესაც განუხილველია. მსგავსი ფაქტები სხვაგანაც მრავლად გვხვდება. ყოველად მოუთმენელია, რომ დღეისათვის რესპუბლიკის სასამართლოებში 6 თვეზე მეტი ხნით

გაჭიანურებულია 29 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო სიღნაღის, წყალტუბოს, ზესტაფონის, ზუგდიდის, მარნეულის, თეთრი წყაროს, თბილისის დიდუბის, ისინისა და გლდანის რაიონებში სისამართლოებში წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა განხილვა ბუღია ერთ წელზე მეტი ხნის ვადით.

მიმე მდგომარეობაა სამოქალაქო საქმეთა განხილვის მხრივაც — 9 თვეში ვადის დარღვევით განხილულია 674 საქმე. ამ მხრივ, განსაკუთრებით სცოდავენ თბილისის მთაწმინდისა და დიდუბის, წყალტუბოს რაიონებისა და ქ. ქუთაისის სისამართლოები. მაგალითად, ამ უკანასკნელს 774 სამოქალაქო საქმიდან ვადის დარღვევით განხილული აქვს 56 საქმე, ხოლო თბილისის დიდუბის რაიონის სისამართლოში 489 სამოქალაქო საქმიდან ვადის დარღვევით განხილულია 103 საქმე, ე. ი. საქმეთა 21,1 პროცენტი.

ახლა განვიხილოთ, — განაგრძო შემდეგ მომხსენებელმა, — სისამართლოების მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები — გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობა. რამდენადმე მისასაღმებელია ის, რომ გასულ წელთან შედარებით გარკვეულად გაუმჯობესდა სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის მაჩვენებლები. ამ მიმართებით მისაბაძია ტყიბულის, ჭიათურის, ასპინძის, ახმეტის, ცაგერის, ხარაგაულის და სხვა რამდენიმე სისამართლოს საქმიანობა — ამ რაიონებში, როგორც საკასაციო, ასევე ზედამხედველობის წესით არ გაუუქმებიათ და არ შეუცვლიათ არც ერთი განაჩენი. სამაგიეროდ, ჩოხატაურის სისამართლოს გაუუქმდა განაჩენთა 28,5 პროცენტი, ხოლო თბილისის საქალაქო სისამართლოს, რომლის კომპეტენტურობაში ეჭვი არ გვინდა შევიტანოთ, გაუუქმდათ განაჩენთა 22,5 პროცენტი.

სისხლის სამართლის საქმეებისაგან განსხვავებით, გაუარესდა სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში გაუქმდა 880 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება. ამ მხრივ, განსაკუთრებით სცოდავენ ქალაქების ქუთაისისა და ჭიათურის, კასპის რაიონისა და სხვა სისამართლოები.

ცნობილია, რომ სწორი დასჯითი პრაქტიკის განხორციელება სისამართლო ორგანოების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე, სხვა სასჯელებთან შედარებით, თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი ყოველწლიურად კლებულობდა. მიმდინარე წლის 9 თვეში კი ეს ტენდენცია შეიცვალა. ამ პერიოდში დასჯითი პრაქტიკა შეადგენს 39,4 პროცენტს (1991 წელს — 29,3). ცხადია, დანაშაულის ასეთი ზრდის ფიქარებაში, როცა მკაცრდება სანქციები დანაშაულის ცალკეულ სახეობებზე, დასჯითი პრაქტიკის ზრდა ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ თუ სასჯელთა ვადებს მივაქცევთ ყურადღებას, ვნახავთ, რომ მისჯილთა თითქმის ნახევარს (49,9 პროცენტი) შეფარდებული აქვს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, 3-დან 5 წლამდე — 24,9 პროცენტს, ხოლო 5-დან 10 წლის ჩათვლით თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული აქვს 11 პროცენტს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავისუფლების აღკვეთა ხდება ძირითადად მოკლევადიანი სასჯელების ხარჯზე. ვფიქრობთ, დანაშაულის ზრდის არნახული მასშტაბების ფიქარებაში, სისამართლოების დასჯითი პრაქტიკა გადასახედია.

მიმდინარე წლის 30 იანვრიდან საგრძნობლად გამკაცრდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ავტომანქანების გამტაცებელთა მიმართ, მაგრამ სისამართლოები მაინც ხშირად საოცარ გულმოწყალებას იჩენენ დამნაშავეთა მიმართ. მაგალითად, ქ. ქუთაისის სისამართლომ (სისამართლო გიული კლასონია) განიხილა სისხლის სამართლის საქმე ზ. ლანჩავას მიმართ, რომელსაც მსჯავრი დაედო ნასვამ მდგომარეობაში ორჯერ ავტომანქანის გატაცების მცდელობისათვის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. სისამართლომ ასეთ შემთხვევაში საშუალებათვით გამოიყენა ჯერ სსკ 45-ე, შემდეგ 251 მუხლი და საბოლოოდ ზ. ლანჩავას შეეფარდა 3 წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით. განაჩენი, როგორც აშკარად ლმობიერი; გაუქმებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სისამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სისამართლო კოლეგიის მიერ. ასეთივე მოტივით გაუქმდა იგივე მოსამართლის მიერ გამოტანილი სხვა განაჩენიც, აგრეთვე თბილისის ისინის რაიონის მოსამართლის ალექსანდრე გვანცელაძის განაჩენი ე. ქეგნიშვილისა და დ. შეყილაძის მიმართ.

სამწუხაროდ, მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში ასევე „რბილად“ ეყიდეებიან ქურდებსაც. მაგალითად, თბილისის ისინის რაიონის მოსამართლეს ალექსანდრე გვანცელაძის 1991 წლის 12 აპრილის განაჩენით ო. პეტროსიანის და ნ. ტრაპიძის მსჯავრი დაედოთ მოქალაქის ბინიდან 9:10 მანეთის ღირებულების ნივთების ქურდობისათვის. სისამართლომ ორივეს შეუფარდა ხუთ-ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, გამოიყენა სსკ 46-ე მუხლი და პატიმრობიდან გაათავისუფლა ისინი. აშკარად ლმობიერების მოტივით ეს განაჩენი, ცხადია, გაუქმებულია. ასე-



თივე საქმეებზე გამოტანილი განაჩენები აშკარად ლმობიერების მოტივით გაუუქმდა რევიზორი ქ. ქუთაისის მოსამართლე ზურაბ ყვავაძეს, თბილისის ვაკის რაიონის მოსამართლე გიორგი ყვავაძეს და სხვ. კიდევ ვიმეორებთ, დანაშაულის კატასტროფული ზრდის პერიოდში დანაშაულების მიმართ ასეთი ლმობიერი განაჩენების გამოტანა დაუშვებლად მიგვაჩნია. ამიტომ განზრახული გვაქვს რესპუბლიკის პროკურორატისათან და უზანაეს სასამართლოსთან ერთად, ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა კატეგორიის საქმეების შესწავლა და საკითხების იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე განხილვა.

სასამართლო ორგანოების მუშაობაზე სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, — თქვა შემდეგ მომხსენებელმა, — უნდა გავანალიზოთ სასამართლოთა აღმასრულებლების საქმიანობაც. 1991 წლის 9 თვეში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალი შეადგენს 322626 მანეთს, ამოღებულია 315345 მანეთი, ე. ი. 97,7 პროცენტი. ამოსაღები თანხის ოდენობა ცხადად მიგვანიშნებს, რომ სასამართლოებში საგრძნობლად იკლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების საქმეების განხილვამ, რითაც აღმასრულებლების მუშაობის ამ მნიშვნელოვანმა უბანმა რამდენადმე მეორე პლანზე გადაინაცვლა. დღეისათვის აღმასრულებლების მუშაობის ძირითადი სფეროა თვითნებურად დაკავებული ბინებიდან გამოსახლებისა და სააღმენტო საქმეების აღსრულება. როგორც ვიცით, ბინაში თვითნებურად შეჭრა უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია (სსკ 220<sup>2</sup> მუხლი), ამდენად დადგა საკითხი თუ რა მოუხერხოთ ძველ აღსრულების საქმეებს. დანაშაული განგრძობადია და შესაძლებელია მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, მაგრამ, ვფიქრობთ, უკეთესი იქნება თუ სასამართლო ორგანოები იმუშაებენ ამ საკითხებზე და პროკურატურას გადასცემენ მხოლოდ ისეთ მასალებს, სადაც აღმინისტრაციული წესით გამოსახლება შეუძლებელია.

თბილისის ისნის, საბურთალოსა და სამგორის რაიონის სასამართლოებში აღვიღო აქვს სააღმენტო საქმეების აღსრულების უკანონოდ გაჭიანურების ფაქტებს. ამ მიმართებით ცუდად მუშაობენ აგრეთვე ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, ქ. რუსთავის, ახმეტის, გურჯაანისა და წყალტუბოს რაიონის აღმასრულებლები. ირკვევა, რომ მოსამართლეები სისტემატურად არ ამოწმებენ აღმასრულებლების საქმიანობას და არ აწესებენ სათანადო კონტროლს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე.

შემდეგ ორატორი შეეხო იმ ობიექტურ მიზეზებს, რომლებიც სასამართლო ორგანოებს ხელს უშლიან მუშაობაში. არის ფაქტები, — თქვა დასასრულს მომხსენებელმა, — როცა მოსამართლეებზე ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენენ ცალკეული თანამდებობის პირები. მაგალითად, თელავის რაიონის სასამართლოში წარმოებაში იყო ერთი სისხლის სამართლის საქმე. ახმეტის რაიონის პრეფექტი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ი. ტურაშვილი თელავის სასამართლოსაგან კატეგორიულად მოითხოვდა საქმის ახმეტის სტადიონზე განხილვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალებულსა და მოწმეებს უკრძალავდა პროცესზე გამოცხადებას. უფრო მეტიც, ბატონმა პრეფექტმა ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, სადაც, საქმის მასალების საწინააღმდეგოდ, განუხილველ საქმეზე გამოთქვა თავისი აზრი. ცხადია, ყოველად შეუწყნარებელია მსგავსი ფაქტების არსებობა. ჩვენი უპირველესი მოვალეობა სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობის დაცვის უზრუნველყოფა „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ კანონის განუხრელი განხორციელებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ამირან ნაკაშიძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო აჭარის სასამართლო ორგანოების მუშაობის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები და დაასკვნა, რომ რესპუბლიკის ამ რეგიონში არსებითად იგივე ტენდენცია შეინიშნება, რაც მთლიანად საქართველოში. შემდეგ მან ილაპარაკა იმ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე, რის გამოც ადგილი აქვს საქმეთა განხილვის გაჭიანურებებს. კერძოდ, აღნიშნა, რომ ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა ჭიანჭურვით განსასჯელთა ეტაპირების მოუგვარებლობის გამო. საქმე ისაა, რომ ბათუმის იზოლატორი დროებით არ მუშაობს, ქუთაისის იზოლატორიდან კი პატიმრები დიდი შეფერხებებით ჩამოჰყავთ. ამის თაობაზე მრავალჯერ დავსვით საკითხი, მაგრამ ჭერ-ჭერობით წესრიგი ვერ დამყარდა.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ თემურაზ ანდლულაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო არასრულწლოვანთა მსჯავრდების საკითხს. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნა მან, ქ. თბილისში მსჯავრი დაედო 98 არასრულწლოვან პირს, მაგრამ ეს ციფრი არ ასახავს რეალურ ვითარებას, რადგან ვიცით, რომ გაცილებით მეტი არასრულწლოვანი სჩადის დანაშაულს, მაგრამ საქმე ისაა, რომ დღეისათვის არასრულწლოვანებს სამართალში მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის აძლევენ, სხვა შემთხვევაში კი, მიმართავენ, ე. წ.



აღმზრდელით ღონისძიებებს. ის ფაქტი, რომ ქალაქის რაიონებში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პროცენტი მკვეთრად განსხვავებულია, ცხადად მიანიშნებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში არასრულწლოვანთა მიცემის ერთიანი პრაქტიკის უქონლობას, რაც ხელს უშლის მათთან აღმზრდელითი მუშაობის ეფექტიანობის ამოღებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის ხერხები და მეთოდები, რომლებსაც ამჟამად ამ სფეროში ვიყენებთ, პირდაპირ აღებულია რუსეთის პრაქტიკიდან და ამას ბოლო უნდა მოედოს, რადგან განუწყვეტელი იზრდება არასრულწლოვან დამნაშავეთა რიცხვი, რაც საზოგადოების სამართლიან აღმფრთხილებას იწვევს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმიანობაში, — აღნიშნა ორატორმა, — ზედამხედველობის წესით სამოქალაქო საქმეების გადასინჯვის შესახებ საჩივრების შესწავლა საქმეობრივად წარმოადგენს სამუშაოა. 9 თვეში უკვე 667 საჩივრია შემოსული. დამთავრებულია 632 სახელმძღვანელო წარმოება. საჩივრების დიდი ნაწილი უსაფუძვლო და უკანონოა. არის შემთხვევები, როცა ქონებრივი დავის დროს საქმეში მონაწილე პირები, იმისათვის, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდას აარიდონ თავი, სასამართლოს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით არ ასაჩივრებენ და საკასაციო ვადის გასვლის შემდეგ შემოაქვთ საჩივრები საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის მიზნით. ამიტომ, ვფიქრობთ, მომჩივანმა ამ შემთხვევაშიც უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი იმავე ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საკასაციო საჩივრისათვის. აქედან, საქირა, რომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილების შეტანის მიზნით, იუსტიციის სამინისტრო საკანონმდებლო ინიციატივით შევიდეს უზენაეს საბჭოში.

თბილისის ისნის რაონის სასამართლოს თავმჯდომარემ შენგელი ფიცხელაურმა მიმოიხილა საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ გაწეული მუშაობის შუქ-ჩრდილები და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საცხოვრებელი ბინების თვითნებურად დაკავების პრობლემას. საოცარია, — აღნიშნა მან, — მაგრამ ფაქტია, რომ არის შემთხვევები, როცა მოქალაქეები კოლექტიურად მთელ კორპუსებს იკავებენ. აქედან გამომდინარე, ადგილი მისახვედრია აღმასრულებლის მდგომარეობა, როცა მას 100-200 ადამიანი უწევს წინააღმდეგობას. მიმდინარე წლის 9 თვეში სასამართლოში შემოვიდა პროკურატორის დადგენილება 200-მდე ოჯახის გამოსახლების თაობაზე. დღეისათვის მხოლოდ 25 ოჯახის გამოსახლება მოვახერხეთ, რადგან ამ საქმეში მილიცია ჭეშოვანად ვერ გვეხმარება. საერთოდ კი, მივესალმებით იმ ფაქტს, რომ იუსტიციის სამინისტრომ რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი, რათა გამოსახლების შესრულება დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც ეს ადრე იყო. თუ ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტა დაჩქარდება, სასამართლო ორგანოებისათვის ეს დიდი დახმარება იქნება.

გურჯაანის რაიონის სასამართლოში, — თქვა ამ სასამართლოს თავმჯდომარემ იოსებ უტიაშვილმა, — ამჟამად წარმოებაში გვაქვს 465 საალიმენტო საქმე. მართალია, უკანასკნელ ხანს ამ მიმართებით ბევრად გააუმჯობესეთ მდგომარეობა და საგრძნობლად იკლო მოქალაქეთა საჩივრებამაც, მაგრამ სასურველ ვითარებამდე ჯერ კიდევ შორს ვართ, რადგან ზოგჯერ სასამართლოს აღმასრულებლები ვერ იჩენენ ჭეშოვან ოპერატიულობას, ადგილებზე არ ამოწმებენ ალიმენტების დაკავებისა და გაგზავნის კანონიერებას.

წალკის რაიონის მოსამართლემ გივი პაპუაშვილმა ილაპარაკა ამ რაიონისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრობლემებზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ წლების მანძილზე რაიონში სამართალწარმოება ხორციელდებოდა რუსულ ენაზე, რაც კანონის მოთხოვნათა დარღვევა იყო. ასეთი ვითარების გამოსწორების მიზნით, გადაეხალისეთ სასამართლოს ტექნიკური პერსონალის კადრები, შეეცვალეთ სხდომის მდივანი და თარჯიმანი, შევიძინეთ ქართული საბეჭდი მანქანები. მოვავარეთ ქართული ენის მცოდნე მსაჯულების საკითხიც. ამ საშუალო პრობლემების დროულად გადაჭრის საქმეში დიდი თანადგომა გავციწია იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას, — თქვა თბილისის კრწანისის რაიონის აღმასრულებელმა ზურაბ ცინცაძემ, — თან ახლავს სირთულეები, რომლებიც ხშირად წარმოიქმნება არამართო აღსრულების პროცესის სპეციფიკურობით, არანედ მთლიანად სააღმსრულებლო წარმოების არასწორი ორგანიზაციითაც. ჩვენი საქმიანობის „აქტიურობის ქულად“ იქცა ბინებში უკანონოდ შეჭრა და გამოსახლება. მიმანია, რომ სასამართლოში არსებულ გამოსახულებას საქმეებზე რეაგირება უნდა მოახდინო პროკურატურისა და მილიციის ორგანოებმა. ამ მიზნით, სსკ 2202 მუხლისა და იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე პროკურატურას დაუბრუნეთ ჩვენს საქმისწარმოებაში არსებული ყველა ადმინისტრაციული გამოსახლების საქმე როგორც სასამართლოს არაქვემდებარე.

გაფართოებული კოლეგიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს რესპუბლიკის აღ-  
გოკატა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარემ ჯამბაყურ ბაქრაძემ, უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ დედვარიანმა და უზენაესი სასამართლოს წევრმა გივი  
ქორდანიამ; კონკრეტულ საკითხზე განმარტება მისცა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს  
წევრმა მარიკა ცისკაძემ.

გაფართოებული კოლეგიის სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის იუს-  
ტიციის მინისტრმა ჯონი ხეცუარიანმა.

სხდომას ესწრებოდნენ იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანი, უზენაესი სასა-  
მართლოს თავმჯდომარე შინდია უგრეხელიძე, მისი მოადგილე ჯიმი ყიფიანი, იუსტიციის მინის-  
ტრის პირველი მოადგილე ტარიელ კულუღაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოად-  
გილე დავით სალარიძე, უზენაესი სასამართლოს წევრი ალექსანდრე ღულუნიშვილი, ყურნალ  
„სამართლის“ მთავარი რედაქტორი თედო ნინიძე.

სხდომის შემდეგ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მოსამართლეთა კონფერენცია, რო-  
მელმაც აირჩია მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია.

კოლეგიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს  
თავმჯდომარე ნუგზარ ბირკაია, მოადგილედ — თბილისის საბურთალოს რაიონის მოსამართლე  
— ლეილა ნარიშანიძე.

გელა ბარქანიშვილი




© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 380048, თბილისი, გრიგოლშვილის 19  
ტელ. 99-02-45, 99-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 29.11.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.02.92 წ.  
ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. № 2161, ტირაჟი 10 000

საქართველოს შუახალ-გაზეთების გამომცემლობა „საზოგადო“ სტამბა.  
380009, თბილისი, 8. კოსტავას 14

КОНТРОЛЬНЫЕ



**«САМАРТАЛИ» («ПРАВО»)** (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

**Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.**

**Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло», 380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.**

2812/2



ფანო 2 835.

0590360 76185

Handwritten scribbles and marks on the left edge of the page.